ეროვნული ბიბლიოთეკა

თოშრჰატლურ გუჰტორმსონი

უკანასკნელი კათოლიკე episkopos



ÞÓRHALLUR GUTTORMSSON

ეროვნული ბიბლიოთეკა

JÓN BISKUP ARASON

Þýðing - **Grigol Matsjavariani**

útgefandi "Agmasenebeli"
Tbilisi
1997

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოურჰატლურ გუჰტორმსონი

უკანასკნელი კათოლიკე ეპისკოპოსი

ისლანდიურიდან თარგმნა და განმარტებები დაურთო
გრიგოლ მაჭავარიანმა

გამომცემლობა „აღმაშენებელი“
თბილისი
1997

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნი მოგვითხრობს ისლანდიის ერთ-ერთი ეროვნულგმირის ეპისკოპოს იოუნ არასონის ცხოვრების, მოღვაწეობისა და ბრძოლის შესახებ. ამ ტრაგიკული პიროვნების ფიგურა იმითაცაა საინტერესო, რომ იგი არა მხოლოდ ისლანდიის, არამედ მთელი სკანდინავიის უკანასკნელი კათოლიკე ეპისკოპოსია, რომელსაც პროტესტანტებისა და მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში უკანასკნელ წამამდე არ მოუხრია ქედი. ისლანდიაში ბავშვმაც კი იცის მისი ვინაობა და მასზე გავრცელებულია ასეთი ფრთოსანი გამოთქმაც: „იოუნ არასონი უკანასკნელი ისლანდიელია“.

რაც არ უნდა საკვირველი იყოს, სკანდინავიელი ისტორიკოსების მიერ დღემდე არ არის მკვეთრად გამიჯნული ისლანდიის დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა ეს დიდი პიროვნება თუ მხოლოდ კათოლიციზმის შესანარჩუნებლად. ამ კითხვებს დამაჯერებლად პასუხობს წიგნის ავტორი, გამოჩენილი ისლანდიელი ისტორიკოსი თოურჰატლურ გუჰტორმსონი.

გზა და გზა ავტორი ქსოვს ნათელ ისტორიულ ფონს და აუჩქარებლად მიიწევს მთავარი საგნისაკენ, რაც, ალბათ, ისლანდიურ საგებს მოგვაგონებს.

წიგნის ისლანდიურ გამოცემას ეწოდება „ეპისკოპოსი იოუნ არასონი“, ხოლო ავტორისა და მთარმგნელის შეთანხმებით ქართულ თარგმანს სახელი შეეცვალა.

წიგნი ითარგმნა უმნიშვნელო შემოკლებით. განმარტებები ანბანურად არის დალაგებული.

წიგნი გამოიცა ისლანდიის მთავრობისა და საქართველოს ავიაკომპანია „აირ ჯორჯია“ -ს თანადგომითა და შეწევნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„უკანასკნელი კათოლიკე ეპისკოპოსის“ ძვირფას ქართველ მკითხველს

მე, ამ წიგნის ავტორს, საჭიროდ მიმაჩნია ორიოდ სიტყვა წავუმძღვანიო წიგნს იმ ადამიანის შესახებ, რომელმაც დიდი ადგილი დაიმკვიდრა ისლანდიელთა გულებში.

ასე ასწავლიან ისლანდიურ სკოლებში და ეს მრავალი ისლანდიელის აზრიცაა, რომ თავისი სიკვდილით ეპისკოპოსმა იოუნ არასონმა გაუტეხელი დაუმორჩილებლობა უჩვენა უცხოელთა ხელისუფლებას. ესეც არ იყოს, იგი ამ ქვეყნის უკანასკნელი კათოლიკე ეპისკოპოსი იყო და კათოლიციზმი მასთან ერთად იქნა დასამარებული. ჩვენ, ისლანდიელები, 1262-1918წ.წ. უცხოელთა, კერძოდ ნორვეგიელთა, შემდეგ კი დანიელთა ხელისუფლების ქვეშ ვიყავით მოქცეულნი და ის ადამიანები, რომლებიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წინა ხაზზე იდგნენ, ძვირფასსახსოვარნი და პატივდებულნი არიან ჩვენგან. უპირველესნი მათ შორის გახლავთ კათოლიკე იოუნ არასონი (1483-1550) და ლუთერანი იოუნ სიგურდსონი (1811-1879)*.

იოუნ არასონი არასოდეს ყოფილა ისლანდიელი ხალხისაგან წმინდანად შერაცხული, რადგან მასთან ერთად დაასამარეს ოფიციალური კათოლიციზმი და ამის შემდეგ აღარავინ შემატებია წმინდანთა რიცხვს. მეორე მხრივ იმ ისლანდიელთათვის, რომლებიც უცხოელთა ძალმომრეობის წინააღმდეგ იბრძოდნენ და არც სულით დაცემულან ოდესმე, იოუნ არასონი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სიმბოლო გახლდათ. მას ხშირად იხსენიებენ ხოლმე დღესასწაულების დროს და ლუთერანიზმი ვერას აკლებს რომ იგი დარჩეს ისლანდიის უკანასკნელ და უპირველეს კათოლიკედ, თუმცა აგერ უკვე 443 წელიწადია, რაც ჩვენ ლუთერანობას ვაღიარებთ (1993 წლისათვის).

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მისი მაგალითი განსაკუთრებით გასული საუკუნის პირველ ნახევარში აიტაცეს. მაგალითად სასულიერო პირმა და დიდმა პოეტმა მათიას იოქუმსონმა მასზე პიესაც კი შექმნა, რომელიც სახალხო თეატრში ამ რამდენიმე წლის წინ დაიდგა.

ყველა ნაციონალისტის აზრით იოუნ არასონი ისლანდიის ერთ-ერთი უდიდესი ადამიანია და მცირეოდენთ თუ ღირსებიათ ასეთი დიდი პატივი სიტყვაკაზმულ მწერლობაში.

თოურჰატლურ გუჰტორმსონი
რეიკიავიკი
1993 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შესავალი

–I–

ჰიალტადალურს ეძახიან იმ ველს, რომელიც სკაგაფიორდურის* დასასრულის აღმოსავლეთ ნაპირიდან სამხრეთისაკენ იჭრება. არის ამ ველზე ერთი ადგილი, სადაც ადრეული ქრისტიანობიდან მოყოლებული ისლანდიის ისტორია ყველა სხვა ადგილზე უკეთ გამოიძერწა. ეს გახლავთ ჰოულარი, რომელიც დღის სინათლეზე XII ს-ის დამდეგს გამოვიდა. ამ დროისათვის გავლენიანმა პასტორმა იტლუი ბიარტნარსონმა თავის მამულს ხელი უშვა და საეპისკოპოსოს გადასცა იგი. რა ისტორიამ ამ ჟამს მოაღწია, ეპისკოპოსის რეზიდენცია თითქმის უკვე ნახევარი საუკუნის დაარსებული იყო სკაულჰოლტში, მაგრამ ჩრდილოეთ ისლანდიელებს ამ სიშორეზე სიარული ეძნელებოდათ და საკუთარი საეპისკოპოსო ისურვეს. მაშინ სკაულჰოლტის ეპისკოპოსმა გისურ ისლეიფსონმა საყოველთაოდ ცნობილი კეთილშობილებითა და უშურველობით თავისი საეპისკოპოსოს ნახევარი გასცა, რათა ჩრდილოელებს ეპისკოპოსის საკუთარი რეზიდენცია ჰქონოდათ. ამ რეზიდენციას კარგი ადგილი შეურჩიეს — ჩრდილოეთ ისლანდიის შუაგულში. ამით შემცირდა იმის საშიშროებაც, რომ ქვეყანა უეპისკოპოსოდ დარჩებოდა, რაკი აქ ამიერიდან ორი ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო.

ჰოულარის პირველი ეპისკოპოსი იოუნ ეგმუნდსონი იყო, ბრეიდაბოულსტადურელი პასტორი. იგი დიდებული ადამიანი ჩანდა, მტკიცე, წესიერი და ლამაზ ხელოვნებათა მოტრფიალე. იმას, რომ ეკლესიის პირველი მეთაურები ასეთი ღირსეული ხალხი იყო, ისლანდიელი ერის ნორჩი ქრისტიანობისათვის დიდი ბედნიერება მოჰქონდა. იოუნ ეგმუნდსონი ეპისკოპოსად 1106 წელს აკურთხეს. ჰიალტადალურის ჰოულარი ჩრდილოეთ ისლანდიის თავად და თავად იქცა, ვიდრე 1801 წელს ეპისკოპოსის რეზიდენცია არ გაუქმდა. თავისი ეპისკოპოსობის პირველსავე წლებში იოუნმა აქ სკოლა გამართა. ამ ქვეყანაში ეს პირველი რეგულარული ლათინური სკოლა იყო. მისგან მთელს საეპისკოპოსოს კულტურისა და განათლების ცინცხალი სული განეფინა. ამ სკოლაში ქალებიც კი დადიოდნენ და დიდი ხნის განმავლობაში მისგან ქვეყნის ამ ნაწილის უგანათლებულესი ხალხი გამოდიოდა.

ადამიანი, რომლის შესახებაც ამ წიგნში უნდა ვისაუბროთ, იოუნ არასონი გახლავთ, უკანასკნელი კათოლიკე ეპისკოპოსი ჰოულარისა. მრავალ მიზეზთა გამო იოუნ არასონის ისტორია ჩვენთვის ძვირფასსახსოვარია. ეს იყო კაცი, რომელმაც ჰოულარს ახლიდან მოჰფინა შუქი მას შემდეგ, რაც იქ ჯანღი ჩამოიბურა და კარის ღრიჭოებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავბედითი ქარები ასისინდნენ. მაგრამ იოუნ არასონს სხვა მრავალ კარგ კაცთა დარად წაუვიდა საქმე და ვერ იძალა მჭედელი ყოფილიყო თავისი ან მთელი ხალხის კეთილდღეობისა. მისი ამბავი ხალხის ისტორიის შემოფარგლული მონაკვეთი ან ერთ-ერთი თავი როდია. ამ ისტორიას ვერ მოვგლეჯთ იმ მოვლენებს, რომელსაც უკვე მანამდე ჰქონდა ადგილი. ამის გამო შევეცდებით დავუხატოთ მკითხველს გარკვეული ისტორიული ფონი და ავუწეროთ ის პირობები, რომელშიც ისლანდიელი ერი ცხოვრობდა XIII ს-ის ანუ დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდგომ ვიდრე ლუთერანიზმის შემოღებამდე. არსებობდა ორი ძალა, რომელიც ამ პერიოდში მოვლენათა მსვლელობას ყველაზე მეტად მართავდა, ზოგჯერ ერთობლივადაც, ზოგჯერაც ურთიერთქიშპში. ეს იყო სამეფო და საეკლესიო ძალაუფლება. ორივე უცხოური ბაგირისგან გახლდათ დაწნული და ისლანდიელთა ისტორიაც ამ ხელისუფლების სახის გამოვლინებისდა მიხედვით გამოიძერწა.

–II–

ისლანდიელთა ისტორიის ბედი ყველაზე მეტად 1262-1264 წლებმა გადაწყვიტეს. ამ დროისათვის ჩაკვდა სახალხო მმართველობა* და თავისი მართვა-გამგებლობა ისლანდიელებმა ნორვეგიის მეფეს გადასცეს. ქვეყნის სახელმწიფოებრივ წყობაში ძირეული ცვლილებები მოხდა. გოდების* მმართველობის პერიოდმა თავისი მოჭამა, თუმცა მისი დედაბოძი უკვე სტურლუნგთა პერიოდშივე* აჭრიალდა. გოდების ადგილზე მეფის მოხელეები მოვიდნენ ანუ ჰირდსტიოური*, ლეგმადურები* და სისლუმადურები*. ისლანდიელთა ალთინგი*, რომელიც თავიდან საკანონმდებლო და სასამართლო საბჭო იყო, პირველ რიგში ტრიბუნალად იქცა, თუმცა საკანონმდებლო ხელისუფლებას ახლა მეფესთან ერთად ახორციელებდა. ეს ახალი პოლიტიკური წყობა უმთავრესად ახალი კოდექსების „იაურტნსიდასა“ (1271-73) და „იოუნსბოუკის“ (1281) შემოღებასთან ერთად დამყარდა. მიუხედავად ისლანდიელთა მხრიდან ცივი მიღებისა, „იოუნსბოუკი“ მეფის გამოხტომებსა და სიხარბესთან ბრძოლაში დიდი ხნით მათ მთავარ საყრდენად იქცა. მუდამ, როცა კი ხარკის მოთხოვნისას ან სხვა ღონისძიებებისას მეფე მეტისმეტად შორს შეტოპავდა, ისლანდიელები ფარად „იოუნსბოუკის“ მუხლებს იფარებდნენ ხოლმე.

ეპოტინებოდა რა ისლანდიაში უმაღლეს ხელისუფლებას, ნორვეგიის მეფის მიზანი ამ ქვეყნიდან შემოსავლის მიღება იყო. შემოსავლის წყარო კი ხარკი, ჯარიმები, კონფისკაციაქმნილი მიწები და ვაჭრობით მიღებული მოგება გახლდათ. აქ კიდევ სხვა მაგალითების მოყ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვანაც შეიძლებოდა.

როგორც უკვე ითქვა, ჰირდსტიოურებმა, ლეგმადურებმა და სისლუმადურებმა მეფის ხელისუფლება დაამყარეს. ჰირდსტიოური მეფის უმაღლესი მოხელე გახლდათ. ქამთა სვლაში სულ უფრო და უფრო ხშირად ხდებოდა ის, რომ მათ დანიელთაგან, გერმანელთაგან ან ჰოლანდიელთაგან ირჩევდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, აქაურთა ინტერესები ზოგიერთ მათგანს არც თუ ახლოს მიჰქონდა გულთან. ამიტომაცაა, რომ მრავალი მათგანი არც ისლანდიელებს ეხატათ გულზე. საქმე არც იმას გამოუსწორებია, რომ XIV ს-ში მეფემ ქვეყანა ჰირდსტიოურებს მიაქირავა. არც თუ იშვიათად მეფის მოხელეები საშინელ სიხარბეს იჩენდნენ, ხშირად მიმართავდნენ ძალადობას და ისე სძალავდნენ აქაურებს ქონებას,რომ ხალხი თავ-ბედს იწყევლიდა. მაგრამ ისლანდიელთა წინააღმდეგობის ძალებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ხუნდები დადებული და ერთ-ერთი უკანასკნელი ჰირდსტიოურის სმიდ ანდერსონის სიცოცხლე ეიაფიორდურში, გრუნდში შეამოკლეს.

ლეგმადურები ორნი იყვნენ, ერთი სამხრეთ-აღმოსავლეთს განაგებდა, მეორე ჩრდილო-დასავლეთს.მათი დანიშვნის უფლება თავდაპირველად მეფემ თავის თავზე აიღო, მაგრამ გავიდა დრო და აქაურებმა მოითხოვეს, რომ ლეგმადურებად დაენიშნათ ისინი, ვისაც ლეგრეტა* დაამტკიცებდა, ამასთან ესენი ისლანდიელები უნდა ყოფილიყვნენ. XVI ს-ში ლეგმადურები მართლაც ალთინგმა აირჩია, მეფემ კი დაამტკიცა მისი არჩევანი. ლეგმადურები სასამართლო მოღვაწეობას ეწეოდნენ. ისინი ლეგრეტას თავმჯდომარეებიც იყვნენ, ხოლო როგორც ზევით ითქვა, მონარქიის დამყარებამდე საკანონმდებლო ხელისუფლებას ალთინგი მეფესთან ერთად ახორციელებდა. მრავალი ლეგმადურთაგანი ბრწყინვალე პიროვნება იყო და მეფისა თუ საეკლესიო ხელისუფლებასთან შეტაკებებში ისლანდიელთა საყრდენსაც წარმოადგენდა.

სისლუმადურთა როლი მეფისთვის ხარკის შეგროვებასა და შემდეგ მისი ჰირდსტიოურისათვის გადაცემაში მდგომარეობდა. მათი ადმინისტრაციული რაიონები ადრე გაცილებით დიდი იყო*. იმ ტერიტორიებს, რომელთა მიხედვითაც დღევანდელი სისლებია* დალაგებული, წინათ თინგები ერქვათ. ჰოულარის საეპისკოპოსოში, თუ დასავლეთის მხრიდან გადავითვლით, შემდეგი თინგები იყო: ჰუნავასთინგი, ჰეგრანესთინგი, ვედლათინგი და თინგეიართინგი.

ლუთერანიზმის შემოღებამდე ისლანდიელებს მეფის ხელისუფლების გარკვეულ მუხრუჭებზეც მიუწვდებოდათ ხელი. მყარად ჩაფრენოდნენ ე.წ. ძველი ტრაქტატის* იმ მუხლს, რომლის მიხედვითაც მეფისადმი ერთგულება იქამდე უნდა შეენახათ, ვიდრე ტრაქტატის მუხლებს თვით მეფე არ დაარღვევდა. ვერავინ გახდა ისლანდიის კანონიერი მეფე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანამ აქაურებმა ერთგულების ფიცი არ დაუდეს. ეს კი მანამდე არ მოხდა, ვიდრე თვით მან არ დადო ტრაქტატის დაცვის აღთქმა. ყოველივე ამის მნიშვნელობა დღესავით ნათელია და განხილვას არ საჭიროებს. ლუთერანიზმის შემოღებისას პირველად აეწყო ისე, რომ ისლანდიელებს საკუთარ სახლში აღარ ემასპინძლებოდათ, მაგრამ უბრწყინვალეს ჰევდინგებს* მეფისა და საეკლესიო ხელისუფლებისათვის ქედი არ მოუხრიათ. მათი სიდიადე, ცხადია, სიმდიდრეს ემყარებოდა, როგორც ეს ხდება ხოლმე, დიდება კი საკმაო ჰქონდათ, რათა არავის დაერღვია მათი მყუდროება, არ აელაგმა დამოუკიდებლობა და არ გაექელა მათი ინტერესები. შემორჩენილია ამის დამამტკიცებელი საბუთებიც. 1375 წლის ე.წ. სკაულჰოლტის დადგენილებაში ნათქვამია, რომ ისლანდიელებს სურთ ყველა ლეგმადური და სისლუმადური ეროვნებით ისლანდიელი ჰყავდეთ, რომ არ სურთ არავითარი სიახლე ან იმაზე მეტი გადასახადები, რომელსაც ძველი სამოქალაქო ვალდებულებები მოითხოვდნენ, რომ არ სურთ მიიღონ ქვეყანაში ის სისლუმადური ან ნაცვალი, რომელიც იქირავებს სისლას ან იკისრებს ახალი გადასახადების აკრეფას. აქ ნათქვამია ისიც, რომ თუ ხალხს ფულადი დახმარება ქვეყნის სხვა ნაწილებიდან დასჭირდება, ყველა ვალდებული უნდა იყოს აღმოუჩინოს მას შეწევნა, სხვასაც დაეხმაროს კანონიერების განხორციელებაში და უფლებების დაცვაში.

1496 წელს სკეიდირში, აუსჰილდარმირისთან, შეიკრიბნენ სამხრეთელი გლეხები და ლეგრეტუმადურები* და მოითხოვეს, რომ დაცული ყოფილიყო ძველი ტრაქტატი, რომელშიც მათი აზრით ახლა დიდ დარღვევებს ჰქონდა ადგილი. აუსჰილდარმირის დადგენილებაში ტრაქტატის დარღვევას, ქონების ჩამორთმევას და სხვა უკანონობას ჩივიან. სამხრეთელები აცხადებენ, რომ არც ერთ ნაცვალს არ დაამტკიცებენ თავიანთ თინგზე* თუ იგი ისლანდიელი არ იქნება. 1513 წლის ლეიდარჰოულმურის დადგენილებით კი ჩრდილოელი თუ დასავლეთელი საერო ბელადები საეკლესიო ხელისუფლების შერყევას შეეცადნენ. ეპისკოპოსთა და სხვა მოძღვართა ქცევა აქ ფრთოსანი სიტყვებითაა აღწერილი. მათ ბრალი ედებათ ათასგვარ უსამართლობაში, ჩაგვრაში, გაუმაძღრობასა თუ ხალხის წამებაში, რომელიც იმდენად გადასცდა საზღვრებს, რომ ცხოვრება შეუძლებელი გახდა. მსგავსი გრძნობები გამოხატა ხალხმა ლუთერანიზმის შემოღების შემდეგაც და სამეფო ხელისუფალთა ქცევა პეტიციებსა თუ მეფისადმი მორჩილ დანაბარებში აღწერა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

-III-

ახლა თხრობა საეკლესიო ხელისუფლებაზე გადავიტანოთ. ისლანდიური ეკლესია ადრიანი სახალხო მმართველობის პერიოდიდანვე ხალხურ ინსტიტუტს წარმოადგენდა. იგი ერის საკანონმდებლო ხელისუფლებაზე იყო დამოკიდებული, ხოლო ეპისკოპოსები თავიდან გამოცდილ და წიგნიერ ჰევდინგთა მიერ ირჩეოდნენ. არჩევის შემდეგ პაპის ან არქიეპისკოპოსის* კურთხევის მისაღებად მომავალი ეპისკოპოსი, რაღა თქმა უნდა, ისლანდიიდან მიემგზავრებოდა. ეკლესიები საერო წინამძღოლთა ხელში იყო, რომლებიც ნებას იძლეოდნენ შენობა მათ მიწაზე აეგოთ.ისინი ნიშნავდნენ პასტორებს და ჯამაგირსაც უხდიდნენ. ზოგიერთი პასტორი კი იმავდროულად ეკლესიის მფლობელიც იყო და საერო წინამძღოლიც. XIII ს-ის შუამდე ყველა ეპისკოპოსი ისლანდიელი იყო. მრავალი მათგანი ბრწყინვალე პიროვნება გახლდათ და მათი ზემოქმედება ერის ცხოვრების მრავალ სფეროზეც ვრცელდებოდა.მათ მოსახლეობის ნდობა ჰქონდათ და უდავოა, რომ ქვეყანაში უკეთესი ყოფა-წესის დამკვირებას უწყობდნენ ხელს.

1238 წელს მოხდა ცვლილება. ახლადარჩეული ეპისკოპოსები ნორვეგიას გეემგზავრნენ, რათა იქ კურთხევა მიეღოთ, მაგრამ საქმე ისე შემობრუნდა, რომ უარი მიიღეს. მათ არჩევაში უთუოდ ფორმის რაღაც დარღვევას უნდა ჰქონოდა ადგილი ანდა იქნებ ყოველივე მხოლოდ შეკოწიწებული მიზეზი იყო? მათ მაგიერ აქ ნორვეგიელი ნაკურთხი პასტორები გამოგზავნეს. ეს ღონისძიება ლატერანის საეკლესიო ყრილობის* გადაწყვეტილებებთან იყო კავშირში, რომელიც ამ მოვლენამდე ადრე ვატიკანში შედგა. გადაწყვეტილების თანახმად ეპისკოპოსები ამიერიდან იმ საეპისკოპოსო სინოდის მიერ უნდა ყოფილიყვნენ არჩეულნი, საიდანაც ეპისკოპოსი იყო. აქ კი ასეთი კრებები საეპისკოპოსოებში საერთოდ არ იმართებოდა. ამიტომ ნიდაროსის* არქიეპისკოპოსმა ჩათვალა, რომ ისლანდიელ ეპისკოპოსთა არჩევანი ნიდაროსის სასულიერო პირთა ხელში უნდა ყოფილიყო, რომლებიც კანონიკებად იწოდებოდნენ. ამის შემდეგ ვიდრე ლუთერანიზმის შემოღებამდე ეპისკოპოსებს აქ უმეტესად ნიდაროსელი კანონიკები ნიშნავდნენ (XVI ს-ის გარდა). ეს მოვლენა ისლანდიური ეკლესიისთვის საბედისწერო გამოდგა. იმის მაგივრად, რომ საერო ხელისუფლებასთან მჭიდრო კავშირში მყოფ ხალხურ ინსტიტუტად დარჩენილიყო, ისლანდიური ეკლესია განშტოებად იქცა დასავლური კათოლიკური ეკლესიისა, რომლის მმართველობას შემდგომ თეოკრატია ეწოდა.

თეოკრატიას დასაბამი კლუნელებმა დაუდეს, რომელთა სახელიც საფრანგეთის ერთ-ერთ მონასტერს უკავშირდება. კლუნელებს ბრძო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა ეკლესიის თავისუფლებისა და საერო ხელისუფლებისაგან დამოუკილებლობისათვის ჰქონდათ გაჩაღებული. თეოკრატიის მომხრეები თავს არ ზოგავდნენ, რათა საეკლესიო საქმეებში მოხელეთა დანიშვნა, საკანონმდებლო და სასამართლო ეკლესიისავე ხელში გადასულიყო. 1153 წელს ნიდაროსის საარქიეპისკოპოსოს დაარსებასთან ერთად ეს მოძრაობა სკანდინავიაზეც გავრცელდა. ისლანდიური ეკლესია კი ნიდაროსის არქიეპისკოპოსს ემორჩილებოდა და ამრიგად თეოკრატიამ გზა ამ ქვეყანაშიც გაიკაფა. ამ ვნებათა ღელვის ნაყოფი აქ XII ს-შივე წარმოჩინდა, როდესაც ეპისკოპოსმა თორლაუკურ თოურჰალსონმა ეკლესიის ე.წ. ადგილებზე გაბატონებისათვის გაილაშქრა ანუ იმ კარ-მიდამოების მართვისათვის, რომლებზედაც საეკლესიო დაწესებულებები იყო აღმაართული. XIII ს-ის მიწურულს ეს მეცადინეობა სამღვდელოებასა და კარ-მიდამოების მფლობელთა შორის ე.წ. საადგილო კონფლიქტით დასრულდა. სიდინჯითა და შემპარავი ლიქნით, ხანაც სუსხით, მუქარითა და ძალმომრეობით ეკლესია საფეხურიდან საფეხურზე მიიწევდა იმ მიზნისაკენ, რომ საერო ხელისუფლებაზე არ ყოფილიყო დამოკიდებული. თავისი საქმეები მან ვერც სამეფო ხელისუფლებასთან შეტაკებას ააცილა. 1277 წ. მეფე მაგნუს ჰოქონსონთან არქიეპისკოპოსმა იშუამდგომლა და ამ მოლაპარაკებას თენსბერგის* საშემრიგებლო ეწოდა. 1297 წ. კი ეპისკოპოსი აურტნი თორლაუკსონი ნორვეგიაში, ეგვალდსნესში მეფე ერიქ მაგნუსონს და არქიეპისკოპოსს შეხვდა. აქ მოეღო ბოლო საადგილო კონფლიქტს. ამ-იერიდან ეპისკოპოსი განაგებდა იმ ადგილებს, სადაც ეკლესიები იდგა, ხოლო კარ-მიდამოთა მფლობელები — თავისივე მიწის ნახევარს ან ნაკლებსაც კი. ასე მიიღო ეკლესიამ ის, რაც თავისთვის ჰქონდა დაგულებული.

მიუხედავად იმ გამარჯვებისა, რომელიც ისლანდიურმა ეკლესიამ საადგილო კონფლიქტის დასასრულისათვის მოიპოვა, არ შეიძლება ვიფიქროთ, თითქოს იგი უხიფათო ნავსადგურში შესულისყოს. მის წიაღში იზრდებოდნენ ისეთი ხორცმეტები, რომელთაც თავისუფლად შეეძლოთ ჭირი შეეყარათ მისთვის.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ 1238 წ. ისლანდიელ ეპისკოპოსთა არჩევა ნიდაროსის კანონიკთა ხელში გადავიდა. ამას კვალად მოჰყვა ის, რომ ამ დროიდან, მცირეოდენი გამონაკლისების გარდა, ეპისკოპოსის საარძლისათვის უცხოელები ირჩეოდნენ. 1238 წლიდან 1380 წლამდე, თუ ოთხ ისლნადიელს არ ჩავთვლით, ჰოულარის ყველა ეპისკოპოსი ნორვეგიელი იყო.

1380 წ. მოხდა დიდი ამბავი. ულავ ჰოქონსონი ნორვეგიისა და მისი მოხარკეების მეფე გახდა, მანამდე კი, რამდენიმე წლით ადრე, იგი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უკვე დანიის მეფედ იყო არჩეული. ასე დამყარდა უნია ნორვეგიას, დანიასა და ისლანდიას შორის (ისლანდია-დანიის უნია შენარჩუნებული იქნა 1944 წლის 17 ივნისამდე). ულავს დიდხანს არ უცოცხლია, 1387 წ. იგი ჯერ კიდევ პირტიტველა გარდაიცვალა. სამეფოები მისმა დედამ მარგარეტმა ჩიაბარა, ვალდიმარ ატერდაგის ასულმა, და 1397 წ. ქალმარის* უნიით ყველა სკანდინავიური სახელმწიფო გააერთიანა.

როდესაც ისლანდია დანიის მეფის გავლენის ქვეშ მოექცა, ეპისკოპოსთა არჩევანში კიდეთ ერთი ცვლილება მოხდა. დედოფალმა მარგარეტმა ხელსაყრელი შემთხვევა მონახა, რათა ნორვეგიასა თუ მის მოხარკე ქვეყნებზე (ისლანდია, ფარერისა* და ორკნეის* კუნძულები, გრენლანდია) დანიის გავლენა გაეძლიერებინა და თანამდებობებზე დანიელები დაენიშნა. ეპისკოპოსთა არჩევა-კურთხევაში მან კანონიკებსაც აუარა გვერდი და ნიდაროსის არქიეპისკოპოსსაც. ახლა პაპი აკუთრხებდა ეპისკოპოსებს, ხშირად არქიეპისკოპოსის ჯინზეც კი, რაც უდიდეს შეცბუნებას იწვევდა. მარგარეტის გარდაცვალების შემდეგ დანიის მეფე არარად ჩააგდეს. მიმართავდა რა პირდაპირ პაპს, ისლანდიის ეპისკოკოსების თანამდებობებს ათასი ჯურის ნაძირალა და ავანტიურისტი დაითრევდა ხოლმე. ხდებოდა ისიც, რომ ამ თანამდებობებს პაპი მათზე ყიდდა, ვინც უფრო მაღალ თანხას იძლეოდა. ბევრი ჩაძიება არ სჭირდება იმის გაგებას, რომ ამ გარემოებას ეკლესიის შიგნით დიდი უწესრიგობა და არეულობა გამოეწვია. უცხოელი ეპისკოპოსები იმაზე უფრო ზრუნავდნენ, რომ თავის წისქვილზე დაესხათ წყალი და ძალაუფლება ხალხიდან ქონების ამოსაქაჩად გამოეყენებინათ, ვიდრე სათნოებითა და სინდისიერებით შეესრულებინათ მოვალეობა. დადგა XV საუკუნე და ასეთმა მმართელობამ არა მხოლოდ ხალხის, არამედ არქიეპისკოპოსისა და თვით დანიის მეფის უკმაყოფილებაც კი გამოიწვია. საუკუნის შუა ხანებში მოვლენები კიდევ უფრო სხვანაირად განვითარდა. პაპმა და არქიეპისკოპოსმა ჰოულარის ეპისკოპოსები თითქმის ერთდროულად დანიშნეს. მოხდა საოცრება და თანამდებობა არქიეპისკოპოსის მიერ კურთხეულმა ნორვეგიელმა პასტორმა ჩაიბარა, პაპის მიერ დანიშნულმა კი ფარ-ხმალი დაყარა. ახლადნაკურთხ ეპისკოპოსს გოტშალქ ქენიქსონი ერქვა. ისევ გაირბინა შავმა კატამ და სკანდინავიაში ჩამოვიდა კაცი, სახელად მათეუსი, რომელიც პაპის მიერ ჰოულარის ეპისკოპოსად იყო დანიშნული. ამან აღავსო მეფისა და არქიეპისკოპოსის მოთმინების ფიალა და ერთად გაიბრძოლეს, რათა მათეუსისთვის ადგილის დასათმობად გოტშალქი სავარძლიდან არ წამომდგარიყო. 1450 წ. მეფე ქრისტიან I-მა* კანონებში ე.წ. ლაუნგარიეჰტარბოუტის კარი შეიტანა. ამ კარის ერთ-ერთ მუხლში ეწერა, რომ სახელმწიფო ღალატში დადანაშაულების მუქარით მეფე ყოველ ადამი-

ანს უკრძალავდა ისლანდიაში იმ უცხოელთა ეპისკოპოსებად მიღებას, რომელთაც არ დაამტკიცებდა მეფე და ნორვეგიის სამეფო საბჭო. მას შემდეგ, რაც სკანდინავის ქვეყნები გაერთიანდნენ, ჰოულარში ორი ნორვეგიელი თუ დანიელი და სამი ინგლისელი ეპისკოპოსი შეიცვალა. სხვა ეროვნების ხალხი ირჩეოდა სკაულჰოლტშიაც.

გოტშალქ ქენიქსონის გარდაცვალების შემდეგ ისლანდიელებმა ეპისკოპოსად მისი ნათესავი ულავ რეგნვალდსონი (1458-94) თავისით აირჩიეს. მის შემდეგ თანამდებობა მისმა ძმისწულმა გოტშალქ ნილსენმა ჩაიბარა (1498-1520). ეს სამივე ნათესავი დიდი ნიჭით დაჯილდოებული ხალხი იყო და მათი მოსვლით ჰოულარის საეპისკოპოსოს მმართველობაში დიდი ცვლილებებიც მოხდა. ულავ რეგნვალდსონისა და გოტშალქ ნილსენის მმართველობის ფორმები სწორედ თეოკრატიამ ჩამოაყალიბა, რომლის შესახებაც უკვე ითქვა. ისინი ყოველ ღონეს მიმართავდნენ, რათა გაეძლიერებინათ და განემტკიცებინათ ეკლესია. მათ გაამკაცრეს კარ-მიდამოების მფლობელთა მიმართ წაყენებული ის მოთხოვნები, რომელიც მიწის მფლობელს ეკლესიისთვის საკადრისი გადასახადების გადახდით ავალდებულებდა. საეკლესიო კანონების მიხედვით ეკლესია დამოუკიდებელი დაწესებულება გახლდათ, რომელიც თავისი მესვეურების გარდა არავის ემორჩილებოდა. ამრიგად ეს იყო სახელმწიფო სახელმწიფოში. მისი სასამართლო ძალაუფლება ვრცელდებოდა იმ საქმეებზე, რომლის მხარეებად ეკლესია და მისი მსახურები გამოდიოდნენ. მისი ხელისუფლება განაგებდა აგრეთვე მემკვიდრეობით სამართალს, ე.წ. მეათედებს,* მარხვისა თუ დღესასწაულთა, მწვალებლობისა თუ ურწმუნოების, სიძვის, ნათესაობისა თუ სისხლის აღრევის საკითხებს. არავინ უწყის მაშინ უფრო ადვილი იყო სათნოების ვიწრო ბილიკის პოვნა თუ სხვა დროს. ერთი კია, რომ გზააბნეული ბეკეკა ეკლესიის შემოსავლის ბარაქიანი წყარო გახლდათ. ზემოთჩამოთვლილ საკითხებში დარღვევებისას ეპისკოპოსები უშურველად იყენებდნენ ქონებრივ ჯარიმებს და, თუ საჭირო იყო შეჩვენებასაც. მაგრამ აქ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ქედმაღალ ჰევდინგებთან, რომლებიც ძალ-ღონის გამოლევამდე იბრძოდნენ, ეპისკოპოსებს შეხლა შემოხლაც მოსდიოდათ. მათ გაამდიდრეს ჰოულარის საეპისკოპოსო, გოტშალქმა კი მას (მოძრავი ქონების ჩაუთვლელად) 2100 ძროხად შეფასებული მიწები უანდერძა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახლა, როდესაც მოკლედ მიმოვიხილეთ საეკლესიო მოვლენათა განვითარება ვიდრე იოუნ არასონის დღეებამდე, არ შეიძლება არ ვახსენოთ XV ს-ის ქვეყნისა და ხალხის საერთო მდგომარეობა.

თავისი შვილების მიმართ ისლანდია ყოველთვის მკაცრი დედა იყო და მკაცრადაც სჯიდა ხოლმე მათ. იშვიათად მომხდარა, რომ ისლანდიელებს არ მიეღოთ თავისი წილი ცეცხლი თუ ყინული, შიმშილობა თუ ტირანია. ყოველივეს ისეთი გადამთიელი სტმურებიც დაემატნენ, როგორიც იყო სავაჭრო კაბალა და ეპიდემიები. ამ მხრივ XV საუკუნე ხელგაშლილი იყო. ამ პერიოდში აქ ორჯერ შემოვიდა ეპიდემია, რომელმაც მოსახლეობას დიდი ნაიარევი დაუტოვა. პირველი ჭირი, რომელიც ისტორიაში ჩვეულებრივ შავი სიკვდილის სახელს ატერებს, აქ 1402 წ. შემოვიდა და მისმა მუგუზალმა ქვეყნის ყოველი დირე-კუნჭული მიმოიარა, ბრძოლის ველზე კი მოსახლეობის მესამედზე მეტი დარჩა. მეორე ჭირმა, რომელიც წინას დიდად არ ჩამოუვარდებოდა, ქვეყანა 1494-1495 წწ. დალაშქრა. ამ საშინელეთა შედეგები საბედისწერო აღმოჩნდა. ადრინდელი გადასახადები შეთხელებულ მოსახლეობას დააწვა მხრებზე, ეკლესია კი უზარმაზარ ქონებას დაეპატრონა. ჩაკვდა ძველი ისტორიოგრაფია, თუმცა ადრევე დაეტყო დაცემის ნიშნები. ამ ჟამიანობას ქვეყანაში საყოველთაო არეულობა, კანონების დარღვევა და უკანონობა, მაწანწალობა და მიწების გაუკაცურება, წარმოების შემცირება და არახელსაყრელი ვაჭრობა მოჰყვა. როდესაც ცალკეულ გვართა მომხვეჭელობამ აპოგეას მიაღწია, ეკლესიასა და მიწის მფლობელთა შორის მძაფრი შეჯახება მოხდა. თავისი წინამორბედისაგან იოუნ არასონმა ამ კონფლიქტების განშტოება მიიღო მემკვიდრეობად.

როგორც უკვე ითქვა, ამ დროისათვის ჩაკვდომის გზას დაადგა ძველი ისტორიოგრაფიაც, თუმცა ადრევე მიადგა მრავალი ჭრილობა. არც არის გასაკვირი, XIV ს-ში მოსულ უცხოელ ეპისკოპოსებს ადგილობრივი კულტურისათვის საპატიო ადგილი როდი მიუჩენიათ. მათ სხვა რამ უფრო ხელეწიფებოდათ. სახალხო მმართველობის ხანაში ისლანდიური მონასტერი მეცნიერული იდეებისა და მწიგნობრობაში წვრთნის ასპარეზი იყო. თქმა არ უნდა, რომ ძველი ისლანდიური ლიტერატურის მრავალი მარგალიტი სწორედ ისეთ მონასტრებში შეიქმნა, როგორიცაა თინგეირი, თიკვაბაირი და ჰელგაფეტლი. ღვთისმსახურებისაგან თავისუფალ დროს ბერები და კანონიკები ხელში კალამს იღებდნენ და სასულიერო თუ საერო დიდკაცთა ამბებს ტყავის წიგნებში ავანებდნენ. მონასტერთა კედლებში ჩუმი უმწიკვლო ცხოვრებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ესთეტიზმის სული ჰქროდა.

ეპისკოპოსთა თანამდებობაზე უცხოელთა მოსვლამ საეკლესიო ცხოვრება კალაპოტიდან ამოაგდო. მონასტერთა მყარი კედლები თავს ველარ იცავდნენ არეულობისა და ანარქიისაგან. ამურმა, ბახუსმა ან რაღაც სხვა ამდაგვარმა სახელის მქონე განცხრომის ღმერთებმა ბერთა გულებში მოიკალათეს და მათი სული ჭეშმარიტ ღმერთს განარიდეს. ცრურწმენამ და გარყვნილებამ ფესვები გაიდგა. მონასტრებმა თავისი მიზანი თვალთაგან დაჰკარგეს და სამონასტრო ცხოვრებაც დაეცა. ნიჭიერი და უმწიკვლო ხალხი მონასტრისაკენ ლტოლვას აღარ იჩენდა. შემცირდა ბერთა და მონაზონთა რიცხვი. კათოლიკური ეკლესიის ის ბრძანება, რომ მღვდელი უცოლო უნდა ყოფილიყო, უგულებელყოფილი იქნა და პასტორები ახლა საყვარლებს იჩენდნენ. ასეთი იყო ამ საუკუნის სული, როდესაც უკვე XVI საუკუნე მოახლოვდა და კათოლიკურ ეკლესიასა და ლუთერის სახელთან დაკავშირებულ რეფორმაციას შორის დაიწყო ბრძოლა.

აკვნიდან დიდებამდე

ისლანდიელთა ისტორიაში ბევრი რამ ბურუსითაა მოცული, მაგრამ XV ს-ზე უფრო ღარიბი წყაროები არც ერთ საუკუნეს არ დაუტოვებია. მატიანის ჩაწერა მის პირველ ნახევარში შეწყდა, რადგან ხალხს სხვა საზრუნავი უფრო გაუჩნდა. მიუხედავად ყოველივე ამისა წყაროთა ასეთი სიდუხჭირე არ ასახულა იოუნ არასონის ისტორიაზე, სადაც იგი უკვე XVI ს-ის ადამიანია. და მაინც, მისი ცხოვრების პირველი წლები წყვდიადითაა მოცული. ამიტომ არ შევეცდებით იმ ჩიხში შევაბიჯოთ, რომელიც მისი დაბადების წლისაკენ მიემართება. ბიოგრაფიის ნაწყვეტში, რომელიც იოუნის შვილიშვილმა მაგნუს ბიორტნსონმა შემოინახა, ნათქვამია, რომ იოუნი 1484. წ. დაიბადა. ამ თარიღს უმეტესად სრულ ჭეშმარიტებად თვლიან ხოლმე, მაგრამ უფრო სწორად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ იგი დაიბადა არა უადრეს 1480 წ. და არა უგვიანეს 1483 წ. საამისოდ ვიშველიებთ იმ არგუმენტებს, რომ საეჭვოა სამოცდაათ წელზე მეტი ხნის ადამიანს ისეთი დიდი საქმისთვის მოეკიდა ხელი, როგორიც მან სიცოცხლის ბოლო წლებში ითავა ან ოცდაოთხ წელზე უფრო ახალგაზრდა კაცი პასტორად ეკურთხათ. პასტორთა ფენაში კი იგი დანამდვილებით 1507 წ. გახლავთ მოხსენიებული. იოუნის დაბადების ადგილად უმეტესობა მუნკათვერაუს სიახლოვეს მდებარე ხუტორ გრიტას თვლის. ამ ხუტორს იგი ერთ სახუმარო შაირშიც ახსენებს, რომელიც მოწიფულობის წლებში შეთხზა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბატს შესთავაზეს*
გრუნდზე გაეცვალა გრიტა,
მაგრამ იუარა,
ჰოულარიც დაურთეთ ზედო.

იოუნ არასონის ოჯახზე ის უნდა ითქვას, რომ მამამისი იყო არი,* წარჩინებული ხალხიდან გამოსული მედრუვეტლირელი პრიორის* სიგურდურის ვაჟი. მისი გვარი საგების საუკუნის *ეიაფიორდურელთა დიდ ჰევდინგს გუდმუნდურ მძლავრსაც* კი უკავშირდება. იოუნის მამის არის დედის გვარი არაა ცნობილი, ხოლო თვით იოუნის დედა ელინ მაგნუსდოუჰტირი იყო, მეტსახელად წიგნის ჭია. ჩანს არი სიგურდსონს გარკვეული წარმატებებისათვის მიუღწევია, რაკი ეიაფიორდურში, კერძოდ მიჰკლაგარდურში ჰოულარის საეპისკოპოსოს მნედ იხსენიება. ამიტომაც იოუნ არასონს არ დასჭირვებია დოვლათის გაძღოლისა და ყაირათიანობის სასწავლად შორს წასულიყო. არი სიგურდსონი ნამდვილად მაშინ მიიცვალა, როდესაც იოუნი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იყო. ოჯახი კი, ჩანს, ლოიგალანდში მანამდე გადასულა. ზოგიერთი წყარო მოგვითხრობს მარჩენალის გარდაცვალების შემდეგ დედა-შვილს უკიდურესი სიდუხჭირის გადატანა მოუხდათ. ამის დასადასტურებლად მოჰყავთ მაგალითი, რომ ერთ შემოდგომაზე ხუტორში საკვები გამოლეულა და ერთადერთი ნაგვიანევად დამაკებული ძროხაღა დარჩენილა, რომელსაც ის-ის იყო უნდა მოეგო. იჯარით აღებული მიწა და ძროხა ან ცხვარი, როგორც წესი, განუყოფელი იყო, მოიჯარეებს კი ნება არ ჰქონდათ საქონლისთვის უსასყიდლოდ გამოეჭრათ ყელი. იოუნმა დედას შეახსენა, რომ საჭირო იყო ფარიდან ერთი ბატკანი დაეკლათ, დედა კი დაჟინებით თხოვდა არ გამხდარიყო ცხვრის ქურდი, რადგან არა გააჩნდათ რა, რომ ბატკნის დაკვლა აენაზღაურებინათ. ამ ჩიჩინში ზედიზედ სამმა დღემ განვლო. ჩანს იოუნმა შიმშილს ვეღარ გაუძლო და ცხვარი შინ დასაკლავად მოიყვანა. და აი, როგორც კი დანა მოიღერა, ძროხამ ხბო მოიგო და ამით ყველაფერი გამოასწორა. ამბობენ იოუნმა ეს ამბავი მაშინ გაიხსენა, როდესაც უკვე ეპისკოპოსი გახდაო.

არსებობს ახალგაზრდა იოუნის შიმშილობის სხვა ისტორიაც. საჭმლის სათხოვნელად თურმე ხშირად უხდებოდა მუნკათვერაუს მონასტერში სიარული, აბატი კი, მისი ნათესავი, კარგად ეპყრობოდა და შიმშილსაც უოკებდა ხოლმე. ამ ამბავს იმასაც უმატებენ, რომ აბატ ეინარს ბერებისთვის საიდუმლოდ უთხოვია ჩემს პატარა ნათესავს თქვენი საჭმლის თითო-თითო მოციცქვნა უზიარეთო. იოუნი კი, თუმცაღა ერთ დროს ღატაკი, მოგვიანებით მასზე უფრო დიდი კაცი გახდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მაინც, იოუნ არასონის სიყრმის ამბების სისწორეზე ვერავინ გამოიდებს თავს. ადამიანებს მიდრეკილება აქვთ ჩვეულებრივზე უფრო მძიმე სიყმაწვილე მიაწერონ იმათ, ვისაც ადიდებენ და პატივს სცემენ. ამრიგად შუქი, რომელიც ამ ხალხისაგან მოწიფულობისას გადმოეფინება, უფრო მეტ სიკაშკაშეს იძენს. ამას ისიც ემატება, რომ უბრალო ფენიდან გამოსული ადამიანები, რომლებმაც ისლანდიაში დიდ პატივს მიაღწიეს, ჟამთა ცვალებადობას ხშირად იხსენებენ ხოლმე. მაგრამ ნაკლებ სარწმუნოდ უნდა ჩაითვალოს ის, რომ თითქოს არი სიგურდსონს თავის რჩენა არ შეეძლო ხეირიანად ან ცოლ-შვილისათვის მარჩენალი პირუტყვი ვერ დაეტოვებინა. ის ხომ ჰოულარის საეპისკოპოსოს მიწებს მართავდა, რასაც გარკვეული შემოსავალი უნდა შემოეტანა.

ამბობენ იოუნმა განათლება მუნკათვერაუს მონასტერში მიიღო. შესაძლოა მას აქ აბატ ეინარ ისლეივსონის ნათესაობითაც ესარგებლა (თუნდაც გარდაცვლილი ყოფილიყო ეს უკანასკნელი);.

იმ დროინდელ მომავალ პასტორთა სწავლა ჩირადაც არ ღირდა. განსაკუთრებული გულისყურით ასწავლიდნენ წერას, კითხვას და გალობას. შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ლათინურ ენაში პასტორები იმდენ განსწავლულობას ეზიარებოდნენ, რამდენიც მათ ლიტურგიული გალობისა და სადღესასწაულო ცერემონიების წინასიტყვაობისთვის ეყოფოდათ. წყაროებში იხსენიება ერთი შაირი, რომელიც იოუნს სახელდახელოდ უნდა ჰქონდეს შეთხზული ერთი პასტორისათვის. ეს პასტორი, რომელსაც ბედვარი ერქვა, ლათინურში არასაკმარისი განსწავლულობის გამო შემდგომ იოუნის ეპისკოპოსად არჩევის წინააღმდეგი გამოვიდა. შაირი ასე ჟღერს:

ხელოვნებაარ ლათინური,
აკანონებ, ბედვარ.
მე კი არც ინჩი,
არც ბინჩი მესმის, ბედვარ.
პასუხს კი შენსას
სწორად გავიგებდი, ბედვარ,
ჩემი სამშობლოს ენაზე
რომ გეთქვა, ბედვარ.

ამ შაირმა განამტკიცა ის აზრი, რომ იოუნი ლათინურში ნაკლებ განსწავლული იყო, რაც უსუსურ მტკიცებულებად უნდა ჩაითვალოს.

ლათინურის ცოდნა იქით იყოს. იოუნი აღრიანად მომწიფებულა და დიდი ნიჭი აღმოაჩნდა მომადლებული. ქვეყნის სასულიერო პირთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფენაშიც მალე დიდად წარმოჩინდა და ეპისკოპოსის კეთილგანწყობაც სწრაფად მოიპოვა. ასევე ადრე დაუწყია შაირების გამოცხობაც. ერთ გლეხს, რომელსაც იოუნი ერქვა, იოუნ არასონი შესანიშნავ ქურანა ცხენზე შეევაჭრა. ცხენს იმ შემთხვევაში მიიღებ, თუ გარშემო შემოუვლი და ამასობაში ისეთ შაირს შეთხზავ, სადაც სიტყვა ქურანი შაირის ყოველი მეორე სტრიქონის ბოლოს იქნება მოხსენიებულიო, უთქვამს გლეხს. აი ეს შაირიც:

მეხალისება ვიმოგზაურო,
წრე დავუარო ამ ცხენს ქურანას,
აქვე ვიპოვო სწორედ ის ბრძენკაცი,
ძღვნად რომ მომართმევს გაწვრთნილ ქურანას.
რაღას ვინატრებ აწ უფრო ძვირფასს,
თუ არა ამ ცხენს, ამ რაშს ქურანას.
ვალში ვიქნები, გლეხკაცო იოუნ
თუკი მომართმევ მაგ შენს ქურანას.

შაირში, რომელიც დროუჰტქვაიდის* ყაიდაზეა გაწყობილი, არ მოიძებნება დილეტანტიზმის არანაირი სამხილი. ლექსის საფასურად კი იოუნმა ცხენი მიიღო.

გზა ჰოულარისაკენ მიემართება

ახლა ის უნდა ითქვას, რომ იოუნ არასონი ჰოულარში მივიდა და მოძღვართა რიგებში დაიმკვიდრა ადგილი. მაშინ ჰოულარის ეპისკოპოსი, როგორც უკვე ვთქვით, გოტშალქ ნილსენი იყო. იოუნმა ეპისკოპოსს მალე შეაყვარა თავი და მისი წარჩინების მზეც მალე ამოვიდა. 1517 წ. იგი ჰელგასტადირის პასტორად გაამწესეს თინგეიართინგში, სადაც მეტად მჭლე მრევლი იყო, ერთი წლის შემდეგ კი ეიაფიორდურში ჰრაპნაგილის პასტორი გახდა. კიდევ ერთი წლის თავზე მას პრობსტად* და ეიაფიორდურის მსაჯულად ნიშნავენ. ჰრაპნაგილში ორი პასტორი და ამდენივე დიაკვანი იჯდა. ასეთ დიდ სამრევლოში სასულიერო პირები არც თუ იშვიათად სხვა საქმეებსაც ასრულებდნენ ხოლმე, რადგან საოცრად დიდი უფლებები ჰქონდათ. ამ წლებში იოუნს, ჩანს, ოლქის განმგებლობაც ებარა. ერთ-ერთ წერილში იგი იხსენიება როგორც მეფის წარმომადგენელი ექსნადალსჰეიდის ჩრდილოეთით (ანუ ეიაფიორდურში). არც ისე იშვიათად ხდებოდა, რომ სასულიერო ფენის წარმომადგენლები, თუკი გული ამა წუთისოფლის საზრუნავისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუწევდათ, ოლქის მმართველობასაც კი იღებდნენ ხოლმე ხელში. უფრო მეტიც, მოიძევება იმის მაგალითებიც, რომ ეპისკოპოსებს ქვეყანა სამეფო ხარკის ასაკრებადაც კი დაუვლიათ. კიდევ ერთი თანამდებობა დააწვა იოუნ არასონს მხრებზე, როდესაც 1515 წ. ჰოულარის საქმეთა მმართველი გახდა. ეს იყო ყველაზე მრავალისმომცველი საპასუხისმგებლო სამუშაო, რაც ძირითადად რეზიდენციის საფინანსო საქმეების მართვაში მდგომარეობდა. ამ საქმის შესრულება ეპისკოპოსის ძალებს აღემატებოდა ამიტომაც, როგორც წესი, ყველაზე დაწინაურებულ პასტორს ჰქონდა მინდობილი. მთელი დოვლათი საქმეთა მმართველის ხელში ტრიალებდა.

იმის შესახებ თუ როგორ ასრულებდა იოუნი პასტორის მოვალეობას, ბევრი არაფერია ცნობილი, თუმცა ზოგიერთი მოსაზრების მიხედვით იგი მკაცრად მოითხოვდა, რომ მრევლთაგანთ მორჩილება გამოეჩინათ ეკლესიისადმი და არ გადაეხვიათ ღვთის მცნებებისაგან.

საოცრებად შეიძლება ჩაითვალოს რა სწრაფად მოვიდა სახელი და რაოდენ დიდი იყო მინდობილი საქმეები, მხრებზე რომ დააწვა მას. ამის ყველაზე იოლი განმარტება ის იქნება, რომ იოუნს უნდა ჰქონდეს თვისებები, რომელიც ადამიანს მის მიმართ ნდობას და რწმენას განუმტკიცებდნენ. მაშინ ეჭვიც არ უნდა შევიტანოთ იმაში, რომ იგი ენერგიული და პატივმოყვარეც იყო და რომ ხალხის განმგებლობასაც ესწრაფვოდა. ეს თვისებები ხომ იოუნ არასონის ბუნებიდან მთელი მისი ისტორიის მანძილზე გამოსჭვივის.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ წოდებებმა და მრავალისმომცველმა საქმეებმა იოუნის ხელში კარგა გვარიან ქონებას დაუყარეს თავი. იგი სწორედ ამ წლებში გამდიდრდა ფულის შენახვის ყველაზე მიზანშეწონილი გზა მიწების ყიდვა იყო. მამულები ყოველთვის საუკეთესო ქონებად ითვლებოდა, რადგან მოჭრილი ფული იშვიათი ხილი გახლდათ, ვალუტას კი უმეტესწილად ლანდოირარი წარმოადგენდა ანუ საქონელი, რომელიც ფულის მაგივრობას სწევდა. იოუნის მიერ მიწების შესყიდვის შესახებ არავითარი წერილი არ შემონახულა, მაგრამ ცნობილია, რომ იგი რამდენიმე მამულს დაპატრონებია.

შესავალში უკვე ითქვა, რომ კათოლიციზმის დროს პასტორები აქ საყვარლებს იჩენდნენ. ასე მოიქცა იოუნ არასონიც. არჩევანი ხვდა ქალს, რომელსაც ჰელგა სიგურდარდოუჰტირი ერქვა. იგი დიდებული ხალხის შთამომავალი იყო და არა დაშავდება რა თუ გავამხელთ, რომ მისი ბიძა გუდბრანდურ თორლაუქსონის* ბაბუა გახლდათ. ამრიგად იოუნ არასონის ვაჟები და გუდბრანდურ ეპისკოპოსი ერთმანეთს ბიძაშვილებად ერგებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ იოუნ არასონამდე ჰელგა სხვა პასტორის სარეცელსაც იზიარებდა, წყაროები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას ზრდილ და ღირსეულ ქალად თვლიან. პირველი საყვარლისაგან ერთი ქალიშვილი და ერთი ვაჟი ოულავურ თოუმასონი ჰყავდა, რომელმაც ეპისკოპოსსა და მის ვაჟებს მოსაფერებელი ლექსი შეუთხზა. ჰელგას ქალიშვილი იოუნისას აღიზარდა. ეს კი მოყვასთა და ნათესავთა მიმართ იოუნის ერთგულებაზე მეტყველებს, ასე რომ ახასიათებდა მას.

იოუნისა და ჰელგას თანაცხოვრება არაუგვიანეს 1507 წ. უნდა დაწყებულიყო. გულით ყვარებიათ ერთმანეთი და ცხრა შვილი ეყოლათ, მაგრამ დიდობას მხოლოდ ექვსმა მათგანმა მიაღწია. რაც იოუნი ეპისკოპოსი გახდა, მოხდა მოსახდენი და მათ კავშირი გაწყვიტეს. ერთგული სამსახური იოუნმა ჰელგას ჰალანდის მამულით გადაუხადა თინგეიართინგის ოლქში, მან კი ეს მიწა შემდგომ ჰოულარის ტაძარს გადასცა, რათა სიბერეში შეენახათ ქალი. ღრმადმოხუცებულმა ჰელგამ სიცოცხლე, ჩანს, ეიაფიორდურში, გრუნდში დაასრულა თავისი ქალიშვილის თოურუნისას.

თამაშში არავინ არავისი ძმა არ არის

ეპისკოპოსი გოტშალქ ნილსენი 1520 წლის ბოლოს გარდაიცვალა. საფიქრებელია, რომ იოუნ არასონი მას თავის მონაცვლედ უნდოდა ჰოულარის რეზიდენციაში, რადგან დიდად უყვარდა იგი. ზოგიერთი გარემოება კიდეც მიგვანიშნებს, რომ ეპისკოპოსის თანამდებობის მისაღებად იოუნს გარკვეული მომზადება ჰქონია მიღებული, რაც ეპისკოპოს გოტშალქის სიცოცხლის დასასრულს გამოიჩინა.

ეიაფიორდურისა და თინგეიართინგის ეკლესიის უმწიკვლოებით განთქმული მსახურნი ეპისკოპოსის გარდაცვალებისთანავე შეიკრიბნენ და დაადგინეს, რომ ჰოულარის ტაძრის ზედამხედველობა იოუნისთვის ჩაებარებინათ, მაგრამ ამ ღონისძიებისთვის მეოთხედის* ყველა პასტორს როდი დაუჭერია მხარი. მოგვიანებით ზოგიერთმა მათგანმა თინგეიარელი აბატის ჰელგი ჰესკულდსონის მოთავეობით წამოაყენა წინადადება, რომ ის მართვა-განმგებლობა, რომელიც იოუნ არასონს გადაეცა, გრიმსტუნგარელი მამა პიეტურ პაულსონისათვის ჩაებარებინათ. მიუხედავად ამისა მათ ვერ გაბედეს გაეუქმებინათ თავისი ჩრდილოელი სულიერი ძმების გადაწყვეტილება, მაგრამ პიეტურის კანდიდატურის დასახელებით იოუნის გავლენიანი ძალაუფლების შესუსტება სურდათ. იოუნის ამ თანამდებობაზე დანიშვნა განყენებული პირობით მოხდა, რადგან საქმე ეხებოდა მხოლოდ საერო და არა სასულიერო ზედამხედველობას. ამ ორი ბიძაშვილის თანამშრომლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი, ის კი ნამდვილად სარწმუნოა, რომ ერთმანეთის სიყვარულზე თავს არც ერთი დებდა და არც მეორე, ყოველ შემთხვევაში პიეტურ პაულსონი შემდგომ იოუნის ეპისკოპოსად არჩევის წინააღმდეგი გამოვიდა.

მათი თანამშრომლობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1521 წლის აპრილში ეიაფიორდურზე, ეირარლანდში შეიკრიბა სინოდი. გადაწყვეტილი იყო პიეტურისა და იოუნის გამნგებლობისათვის ბოლო მოეღოთ ჰოულარში, სანაცვლოდ კი ეპისკოპოსის არჩევნები ჩაეტარებინათ, მაგრამ არც ამ×ერად გამოსულა რამ ამ საქმიდან. ეს შეეძლო იმას გამოეწვია, რომ სამხრეთელი და ჩრდილოელი სასულიერო პირები ერთმანეთის მიმართ არავითარ დათმობაზე არ მიდიოდნენ. ჰოულარის საეპისკოპოსოს უმაღლესი ადგილი ისევ დროებით იქნა დაკავებული. რეზიდენციაში დასვეს ორი ე.წ. ოფიციალე ანუ ეპისკოპოსის რწმუნებული, თინგეიართიგში აბატი ჰელგი, მულიში კი იოუნ ფინბოგასონი. იოუნ არასონის შესახებ მიღწეულ იქნა შეთანხმება, მას უნდა ჰქონოდა „სრული საეკლესიო ხელისუფლება სასულიერო მეცნიერებაში განსწავლულ თუ განუსწავლელ ხალხზე შიგ ტაძრის ფარგლებში და ყველა იმ საეკლესიო საქმეზე, რომელიც წარმოიშობა აუბაირსა და ულვდალაფიოტლის მთებს შორის“ ე.ი. ჰეგრანესთინგის ოლქში. როგორც ჩანს, იოუნისთვის ჩაუბარებიათ ხელისუფლება, რომელიც ეპისკოპოსის ძალაუფლების ტოლფასი იყო. არაფერია ნათქვამი, პიეტურ პაულსონის შესხებ გარდა იმისა, რომ იმ ზაფხულის მიწურულს ისლანდიიდან ნიდაროსისაკენ გაცურა (ნორვეგიაში).

1518 წლის შემოდგომაზე გარდაიცვალა სკაულჰოლტის ეპისკოპოსი სტეფაუნ იოუნსონი. ერთი წლის შემდეგ ეპისკოპოსად არჩეულ იქნა აუგუსტინუსის ორდენის კანონიკი და ვიდეის* აბატი ეგმუნდურ პაულსონი, მაგრამ სათანადო კურთხევა 1520 წლის ზაფხულამდე არ მიუღია. ქრისტიან II-მ* იგი 1521 წ. დაამტკიცა, კურთხევა კი იმ წლის შემოდგომამდე გაჭიანურდა. ეპისკოპოსს იმდენად შეუგვიანდა, რომ ისლანდიაში ვეღარ წავიდა და უცხოეთში გამოიზამთრა*. ვინაიდან ჰოულარის ეპისკოპოსის გოტშალქის გარდაცვალების ამბავი ნორვეგიაშიც შეიტყვეს, ნიდაროსელმა კანონიკებმა და მთავარდიაკონმა ულავ ენგილბრიქტსონმა ახალი ეპისკოპოსის არჩევამდე ჰოულარის საეპისკოპოსოს ზედამხდველობა ეგმუნდურ ეპისკოპოსს მიანდეს. იმ ზამთარს ნორვეგიაში გრენიადარსტადურელი პასტორი ფინბოი ეინარსონი და წინათხსენებული პიეტურ პაულსონიც იმყოფებოდნენ. დანამდვილებით არაა ცნობილი რა საქმე უნდა ჰქონოდათ ნორვეგიულ მიწაზე თუკი მათი იქ ჩასვლა იოუნ არასონსა და ჰოულარის რეზიდენციის მმართველობასთან არ იყო კავშირში. მათ გამოაცხადეს, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავსებით ეთანხმებოდნენ და მხარს უჭერდნენ ეგმუნდურ ეპისკოპოსის როგორც ჰოულარის მეთვალყურის კანდიდატურას, ის კი გაუგებრია თუ საიდან ჰქონდათ ამის ძალაუფლება და უფლებამოსილება. მალე ამ განაცხადისთვის ჯილდოც მიიღეს. ეგმუნდურმა ისინი თავის რწმუნებულად დანიშნა ჰოულარის საეპისკოპოსოში, პიეტურ პაულსონი დასავლეთ, ფინბოი კი ჩრდილოეთ ნაწილში. გარდა ამისა ეპისკოპოსმა პიეტური ჰოულარის ტაძრის საქმეთა მმართველადაც გაამწესა. დანიშვნის სიგელში იგრძნობა ტონი, რომლითაც მხოლოდ მას ძალუძს ილაპარაკოს, ვისაც ძალაუფლება უპყრია ხელთ. იმისათვის, რათა ახლადმიღებული ხელისუფლება უკეთ გაეტარებინა, ეგმუნდურმა წერილი მიწერა ჰოულარის საეპისკოპოსოს სასულიერო პირებს და შეატყობინა, რომ სრულ მეთვალყურეობას იღებდა ჰოულარის ტაძარსა თუ მის ქონებაზე. წერილში იგი ეპისკოპოსის შეძლებისდაგვარად დაჩქარებას ბრძანებს, ჰოულარის საეპისკოპოსოს მრევლს კი დიდ გასაჭირსა თუ ხარჯებს ჩამოუთვლის, რომელიც კურთხევის მისაღებად მოგზაურობისას გასწია, თან ითხოვს დახმარების ხელი გაუწოდონ მას.

ეჭვგარეშეა, რომ ასეთი მბრძანებლობით ეგმუნდურმა თავისი ხელისუფლების ფარგლებს გადააბიჯა. მისთვის არავის მიუცია უფლება ჩარეულიყო ეპისკოპოსის არჩევნებში ან გადასახადები მოეთხოვა ჩრდილოეთ ისლანდიელებისაგან, მინდობილი ჰქონდა მარტოდენ მეთვალყურეობა გაეწია ამ საეპისკოპოსოსთვის, რაც ჩვეულებისამებრ ეპისკოპოსის ყველაზე აუცილებელი მოვალეობის შესრულებას ითვალისწინებდა. ეგმუნდურს აშკარად გადაეწყვიტა ზემოქმედება მოეხდინა იმაზე თუ ვინ იქნებოდა მომავალი ეპისკოპოსი. ამ გეგმის განსამტკიცებლად კი პიეტური და ფინბოი ლაქიებად გაიხადა. 1522 წლის აპრილიან გაზაფხულზე ეს უკანასკნელნი ზღვაში გავიდნენ და ისლანდიამდე მშვიდობით იმგზავრეს, ჩასვლისას კი, როგორც ჩანს, ეპისკოპოს ეგმუნდურის დავალებების შესრულებას მყისვე შედგომიან ჰოულარის საეპისკოპოსოში. ამის საპასუხოდ საეპისკოპოსოს დასავლეთ ნაწილის სასულიერო პირებმა, რომლებიც ადრე იოუნ არაონის მმართველობის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, ჩრდილოელ კოლეგებს წერილობით ამცნეს, რომ ეპისკოპოსის რწმუნებულად უკვე იოუნ არასონი ჰყავდათ არჩეული, რათა მომავალ სინოდზე წარედგინათ იგი. ჩრდილოელებს აღარ დაუხანებიათ და თანხმობა განაცხადეს. ამრიგად საეპისკოპოსოს ყველა წიგნიერმა ადამიანმა უეცრად მამა იოუნის მიმართ გამოიჩია ერთსულოვნება. არავის ეხალისებოდა თავზე დაესვა სკალჰოლტის ეპისკოპოსი და მისი ლაქიები. აქ აღარ გავაგრძელებთ სიტყვას თუ როგორ შეიკრიბა სამოცდაორი სასულიერო პირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგვისტოში და როგორ აირჩია იოუნ არასონი ეპისკოპოსად. უნდა ვთქვათ მხოლოდ ის, რომ ჩრდილოელმა პასტორებმა მათი გარედან მოახლოებული სირთულეების დასახვედრად იწყეს სწრაფი და ენერგიული მზადება.

ეს ამბები იმ დროისთვის მოხდა, როდესაც სკაულჰოლტის ახლადნაკურთხი ეპისკოპოსი ეგმუნდურ პაულსონი ისლანდიაში ჩამოვიდა. ნორვეგიიდან იგი გვიან გამომგზავრებულა, ულავ მთავარდიაკონისა და ნიდაროსელი კანონიკების დავალებით კი გზად შოტლანდის კუნძულებზე* ეკლესიების ფინანსური მდგომარეობის გასარკვევად შეუვლია. შემდეგ ატლანტიკის ოკეანის ღმერთმა საშინელ ღელვაში ამოაყოფინა თავი, მაგრამ ეგმუნდურ პაულსონის მოდრეკა ასე იოლი როდი იყო. ჰქონდა ზღვაოსნობის გამოცდილება, რადგან ადრე „თორლაუქსუდის“ კაპიტანი გახლდათ ანუ იმ ხომალდისა, რომელიც ისლანდიას და ნორვეგიას შორის დაცურავდა. რა ეგმუნდურმა ხმელეთს მიაღწია, შველას ჩრდილოეთ ისლანდიაში დაეშურა და ჰოულარის საეპისკოპოსოს ხელისუფლებაზე განაცხადა პრეტენზია. პასტორებმა რაზმი შეყარეს და თავის საეპისკოპოსოში ეგმუნდურის ხელისუფლებას კატეგორიული უარი განუცხადეს. საყურადღეობოა, რომ მამა ფინბოი ეინარსონმა ამჯერად იოუნს დაუჭირა მხარი, რადგან მისი ნათესავი გახლდათ და მოსალოდნელიც იყო, რომ მას გაჰყოლოდა. კანონიკთა მისამართით მიწერილ წერილში პასტორები ამბობენ, რომ ჰოულარზე სკაულჰოლტის ეპისკოპოსის ბატონობას სიკეთე არასოდეს მოუტანია. ისინი ლანძღავენ ეგმუნდურს იმისათვის, რომ მას დაპატიმრებული აქვს ჩრდილოელთა მიერ შეგროვილი ფული, რომელიც გუდმუნდურ კეთილის* წმინდანად შერაცხვისათვის იყო განკუთვნილი. ყვებიან იმასაც, რომ ოფიციალები ანუ რწმუნებულები ეგმუნდურს მათ დაუკითხავად დაუნიშნავს. აქ ისინი პიეტურ პაულსონს და ფინბოი ეინარსონს გულისხმობენ. ეჭვგარეშეა, რომ ეგმუნდურის მიერ ფულის თხოვნაზეც მოსდით გული.

ახლა კი პირქარმა დაუბერა ეგმუნდურ ეპისკოპოსს, მაგრამ იხტიბარი არ გაუტეხია. მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი არამც თუ შერიგებოდა ჩრდილოელთა მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას, არამედ წინ აღდგომოდა კიდეც იოუნ არასონის ეპისკოპოსად დამტკიცებას. ცეცხლი ედებოდა, როდესაც იხსენებდა თუ რა თვალით უყურებდნენ ჩრდილოელები.

ამ დროიდან მოყოლებული ეგმუნდურ ეპისკოპოსსა და იოუნ არასონს შორის იმდენად გაღვივდა შულლი, რომ საქმის მეტი გართულება იყო მოსალოდნელი. ამ შემოდგომაზე იოუნი ისლანდიიდან არ გამგზარვებულა, რადგან გერმანელმა ვაჭრებმა, ვისთან ერთადაც იგი

ნორვეგიას ეპირებოდა, მომზადება ვერ მოასწრეს, მათი ხომალდი ქოლბეინსაუროუსში დარჩა, ოცმა მათგანმა კი ჰოულარში გამოიზამთრა. დაბრკოლება, რომელიც იოუნის წინ ისლანდიიდან გამგზავრებისას აღიმართა, ეგმუნდურ ეპისკოპოსმა ხელსაყრელ შემთხვევაში იგულა რათა მისი ეპისკოპოსად კურთხევა კიდევ უფრო შეეფერხებინა. ამ მიზნით იოუნისთვის ტუქსვის ან შეჩვენების წერილის წასაკითხად ჩრდილოეთში ერთ-ერთი პასტორთაგანი გაგზავნა. რა პასტორი ჩრიდლოეთში ჩავიდა, გამბედაობამ უმტყუნა. ჰოულარში კი არ მისულა, არამედ ჰოულარის მახლობლად ვიდინესში ჩამოხდა და სიტყვა უფრინა იოუნს. მეორე დღეს სამხრეთელ პასტორთან შესახვედრად იოუნმა ერთ-ერთი თავისი პასტორი გაგზავნა, რომელსაც თორსტეინი ერქვა, თან თავის ტანისამოსში გამოაწყო, ზონრებიანი ქუდი დაახურა და თავისი ვაჟი არიც გააყოლა. შეხვედრისას სამხრეთელმა პასტორმა მამა თორსტეინი მომავალ ეპისკოპოსად ჩათვალა, თაყვანი სცა, ქუდი ამოიღლიავა, ქისიდან ტუქსვის წერილი ამოიღო და თორსტეინს გადასცა, ამასობაში კი ქუდი დაუვარდა. ამით პასტორები ერთმანეთს დასცილდნენ. იოუნ არასონს ის წერილი არასოდეს წაუკითხავს, თუმცა პატიების თხოვნის წერილი გაუგზავნა ეგმუნდურს, ხოლო ქვემოთ გამქირდავი კუპლეტი მიუწერა, რომელიც ამ სტრიქონებით იწყება:

ვიდინესში დაძრწოდა
საბუთის დამტარებელი
აი დასასრულიც:
ძირს დააბრძანა ქუდი და
ყრმა თორსტეინსაც წააწყდა.

მთელი ლექსიდან მხოლოდ ეს სტრიქონებია შემორჩენილი. მიხვდა ეგმუნდური, რომ მწარედ გააცურეს და საშინლად განრისხდა. ამის შემდეგ ჩრდილოეთში პიეტურ პაულსონი მიავლინა. რა პიეტური იქ ჩავიდა, რეზიდენციაში მიიპატიჟეს, იოუნი კი იქაურობას გაეცალა. სხვა წყაროს თანახმად იოუნმა მამა პიეტური შეიპყრო და ხუთი დღე ჰყავდა პატიმრობაში, რათა მისთვის ეგმუნდურის წერილი არ აეფრიალებინა. შემდეგ ცდაზე ეგმუნდურმა ჩრდილოეთით იოუნ ეინარსონი გაგზავნა, სწორედ ის ოდდელი პასტორი, რომელმაც შემდგომში იოუნ არასონის ესპისკოპოსობას დაუჭირა მხარი. იოუნ არასონმა სტუმარი დიდის ამბით მიიღო და ლხინიც გაუმართა, წერილის წაკითხვაზე კი, მაშინდელისა არ იყოს, რა მოგახსენოთ.

ახლა კი დაინახა ეგმუნდურ ეპისკოპოსმა, რომ რაღაც სხვა უნდა

ელონა. სასამართლოში უხმო თორმეტ პასტორს, რათა განაჩენი გამოეტანათ იმ ბრალდებების მიხედვით, რომელიც იოუნ არასონის წინააღმდეგ ჰქონდა ხელთ. განაჩენის თანახმად იოუნს მიესაჯა დიდი ფულის გადახდა, ცოდვების მონანიება და ეგმუნდურ ეპისკოპოსისაგან ზიარების მიღება. ჩამოერთვა აგრეთვე, როგორც მრევლი, ასევე ჰოულარის რეზიდენციის რწმუნებულება და საქმეთა მმართველობა.

ის ამბები, რომლის შესახებაც ზემოთ იქნა ნაამბობი, 1522-23 წლების ზამთარში მოხდა. ამბობენ გაზაფხულზე, აღდგომამდე, იოუნმა სამხრეთით სკაულჰოლტში მოსამსახურე გაგზავნა და ეგმუნდურ ეპისკოპოსთან სამშვიდობო წერილი გააგანაო. ეგმუნდურს კარგად მიუღია მოციქული, მისთვის ღრეობაც გაუმართავს და მსახურებისთვის კარგადაც დაუთრობინებია. დილით კი წარგზავნილმა აღმოაჩინა, რომ ეგმუნდური სადღაც გამქრალიყო. წინა დღეს ეპისკოპოსს თავისი მხედრიონით ჰოულარისკენ დაედო გზა. მოციქული კი ზოზინა კაცი როდი იყო და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ეპისკოპოსის კვალზე გაქუსლა. ეგმუნდური მან მაილიფელსდალურთან ჩამოიტოვა და ჰოულარში მასზე ადრე ჩავიდა. შეიტყო რა ეს ამბავი იოუნ არასონმა, მაშინვე გაეცალა იქაურობას და სასწრაფოდ ქოლბეინსაროუსს დაეშურა, სადაც ჰოულარში გამოზამთრებული გერმანელები ხომალდების მზადებაში იყვნენ. იოუნმა ეგმუნდურს ცალი ფეხით გაასწრო და ცოტაღა დააკლდა, რომ მათი გზები ერთად არ შეყრილიყო. ეგმუნდურმა გერმანელ ვაჭრებს შეუთვალა, რომ კატეგორიულად უკრძალავდა იოუნ არასონის ისლანდიიდან გაყვანას, მათ კი უპასუხეს, რომ ეგმუნდურის მითითებები მათ არ ეხებოდათ და თუ ეგმუნდური იქ მივიდოდა, არც ტყვიას დაიშურებდნენ და არც დენთს. ეგმუნდურმა ყველას აუკრძალა თავშესაფარი მიეცათ ან სხვა დახმარება აღმოეჩინათ გერმანელებისთვის. ახლა იოუნ არასონზე ის უნდა ითქვას, რომ ეგმუნდურისთვის არქიეპისკოპოსის სასამართლოზე გამოძახების წერილის წასაკითხად ჰოულარში თავისი პასტორი მაგნუსი გაგზავნა, რომელიც იქ ყველა შენობისა და ოთახის განლაგებას იცნობდა. ეგმუნდურმა ვერა შეიტყო რა, ვიდრე მაგნუსი მის ფანჯარას შუაღამისას არ მიადგა და ქუხილით არ წაიკითხა წერილი. პასტორის შესაპყრობად ხალხი ლოგინებიდან წამოცვივდა. მან კი ეკლესიაში ჰპოვა თავშესაფარი და შემდეგ სიბნელის საფარქვეშ ძლივს დაუსხლტა მდევრებს. იოუნ არასონს და გერმანელ ვაჭრებს აქ აღარ ედგომებოდათ და ზღვაში მოუმზადებლები გავიდნენ. ქარმა და ღელვამ ისინი ჯერ გრენლანდიისაკენ გაიტაცა, შემდეგ ისევ ისლანდიისაკენ და ბოლოს ჰუსავიკში* გადასხდნენ. იქ კი კეთილად შეიფარეს და ყოველივე ამის შემდეგ ნორვეგიისაკენ გაცურეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოუნ არასონის წასვლის შემდეგ ჰოულარის საეპისკოპოსოში მთელი ძალაუფლება ეგმუნდურ ეპისკოპოსმა ჩაიგდო ხელთ, ახლა ყველას მის ჭკუაზე უნდა ევლო. იგი ჰოულარში დამკვიდრდა და იქ 1523 წლის გაზაფხულამდე დარჩა. ჩანს იძალა გაეტეხა ჩრიდლოელთა წინააღმდეგობა, ჰოულარის ტაძრის „ძარცვისთვის" კი იოუნ არასონს ეკლესიისაგან მოკვეთა მიუსაჯა. ზოგიერთი წყაროდან ჩანს, რომ იმ ზაფხულს სინოდზე, რომელიც სკაგაფიორდურზე, ვიდივეტლირში გაიმართა, ეგმუნდურმა აიძულა პასტორები უკან აეღოთ იოუნ არასონის, როგორც ეპისკოპოსის არჩევანი, ხოლო მის მაგიერ მამა იოუნ ეინარსონი აარჩევინა. ამ წყაროებს არ გააჩნიათ იმაზე უფრო მყარი საყრდენი, ვიდრე ნიდაროსის მაშინდელი მთავარდიაკონის ულავ ენგილბრიქტსონისადმი მიწერილი დღემდე შენახული წერილია. იქ ნათქვამია, რომ ეგმუნდურ ეპისკოპოსი ისლანდიიდან გამგზავრების ნებას რთავს „ჩვენი საეპისკოპოსოს ერთ პერსონას, რომელიც კანონიერადაა შობილი და უაღრესად განსწავლულია". აქ იგულისხმება იოუნ ეინარსონი. იმავე წერილში ნათქვამია ისიც, რომ ჰოულარის საეპისკოპოსოს უმეტეს ნაწილს ეპისკოპოსად იოუნ ეინარსონი სურს, „მაგრამ არ ნებავთ არჩევნები ჩაატარონ". ეს ციტირებული სიტყვები ჭეშმარიტებას ეწინააღმდეგება, მაგრამ ასეა თუ ისე, კურთხევის მისაღებად იოუნ ეინარსონი ისლანდიიდან გაემგზავრა. კონტინენტურ სკანდინავიაში ეგმუნდურმა მეორე პასტორიც გაგზავნა, რომელსაც ქარტლ პაულსონი ერქვა. მას უნდა ეცადა შეეფერხებინა იოუნ არასონის შემდგომი გადაადგილება. ეჭვგარეშეა, არქიეპისკოპოს ერიქ ფალკენდორფს და მეფე ქრისტიან II-ს სწორედ ქარტლმა ჩაუტანა ის წერილები, რომლებიც იოუნ არასონის გაქცევისა თუ ჰოულარის ტაძრის ფულის „გატაცების" ამბებს ღაღადებენ, აგრეთვე იმას, რომ ის და „მისი ბოროტმოქმედი დამქაშები" ეკლესიისაგან არიან მოკვეთილები. ამ წერილებმა დღემდე მოაღწიეს. მაგრამ ბედმა ისე მოაწყო, რომ წერილები არ მოხვედრილან საჭირო ხელში. როდესაც პატივდებული მაცნეები ნორვეგიაში ჩავიდნენ, იქ უკვე სხვა ქარი უბერავდა, არქიეპისკოპოსი გარდაცვლილი დახვდათ, მეფე ქრისტიანი კი ქვეყნიდან გაქცეულიყო.

ახალი დროება

XV ს-ის მეორე და XVI ს-ის პირველი ნახევარი იმ უდიდესი მღელვარებისა და არეულობის პერიოდია, დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაზე რომ აისახა. შუა საუკუნეები თავის ხანას დასასრულისაკენ მიერეკებიან, ახალი ემოციები თუ პერსპექტივები გზას იკვალავენ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალკეულ პირთა თუ ხალხთა ცხოვრებაში რევოლუციას ახდენენ. იწყება ახალი საუკუნე. შუასაუკუნეობრივი საზოგადოების განზავება არ ხდება სწრაფად და ადამიანები გარდაქმნებს ნათლად ვერ აღიქვამენ. თანდათან იცვლება საზოგადოებრივი ფენების ბალანსი. ფეოდალთა ძალაუფლება შესუსტებას იწყებს და ცენტრალური ევროპის მცირე სამფლობელოთა მმართველი თავადები მხარდაჭერას ახლადჩასახულ ბურჟუაზიასთან ეძიებენ, რომელიც ქალაქებში აღზევდა. იმსხვრევა სამყაროსეული წარმოდგენები, ადამიანები რწმუნდებიან, რომ დედამიწა ქადასავით ბრტყელი არ არის. თავზეხელაღებული ზღვაოსნები სიცოცხლის რისკის ფასად სულ უფრო და უფრო შორს გადიან ზღვაში და მანამდე უცნობი ქვეყნებისაკენ მიცურავენ. ვასკო და გამა ინდოეთის საზღვაო გზას პოულობს. კოლუმბი ატლანტიკის სივრცეს ამარცხებს და მის მეორე მხარეზე ახალი სამყაროს კარს აღებს. ტიპოგრაფიის მოსვლის მეოხეობით ინფორმაცია აღმოჩენების შესახებ და ახალი მსოფლმხედველობა ელვის სისწრაფით ვრცელდება ევროპის ქვეყნებში. XVI ს-ის შუა ხანებში გერმანიაში იბეჭდება წიგნი. შემდეგ ტიპოგრაფია ინგლისსა და სკანდინავიის ქვეყნებამდეც აღწევს, დანიაში 1481 წ., შვედეთში 1483 წ., ნორვეგიაში კი არენაზე ასორმოცდაათი წლის დაგვიანებით გამოდის.

ამ პერიოდში მხოლოდ გარე სამყარო როდი იცვლებოდა. ახალმა სულიერმა მღელვარებებმა ზემოქმედება ადამიანთა აზროვნებაზეც მოახდინეს და დაიწყო ძველ ჭეშმარიტებათა გადაფასება. შუა საუკუნეებში პაპი და უზენაესი საეკლესიო ხელისუფლება სულიერ სამყაროს ყოველ კუთხე-კუნჭულს განაგებდა, მათ ხელში იყო უმაღლესი თანამდებობებიც. თავის ხელისუფლებას ეკლესია მუყაითადაც აზღვევდა როგორც სასულიერო, ისე საერო სფეროშიც. სამრევლოს მიმართ იგი უბოროტეს იარაღს იყენებდა. XVI ს-ში დაარსდა ე.წ. ინკვიზიცია. იგი განიხილავდა იმათ საქმეებს, ვინც ერთადერთი ჭეშმარიტი რწმენისკენ მიმავალ გზას კარგავდა ან იმდენად იღებდა თავზე ხელს, რომ ეკლესიის მოძღვრებათა ჭეშმარიტებაში შეჰქონდა ეჭვი. ამის განსახორციელებლად ეკლესიას არც ფული აკლდა. უმეტეს ქვეყნებში იგი ზღაპრულად მდიდარი იყო. თვით პაპის რეზიდენციას სოლიდური შემოსავალი ჰქონდა, რომელსაც სხვადასხვა ხერხებით იღებდა. მაგალითად ზოგიერთები დიდ ფულს იხდიდნენ, რათა მაღალი საეკლესიო თანამდებობა მიეღოთ. ყოველი სახის ნებართვა, რომელსაც კი პაპი გასცემდა, მაღალ ფასად იყიდებოდა. და ბოლოს, არანაკლებ დიდძალი ქონება მოჰქონდა ინდულგენციებით* ვაჭრობას.

მრავალნი თავს მოტყუებულად თვლიდნენ. შუა საუკუნეთა დასასრულისათვის სხვადასხვა ქვეყნებში ხალხი იძულებული შეიქმნა აჯან-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყებულიყო ეკლესიისა და პაპობის წინააღმდეგ, რომელიც მათი აზრით სახარებაში ნაქადაგევ რწმენასა და მორალს მეტისმეტად დაშორდა. ამ ადამიანებს შორის იყვნენ ინგლისელი უაიქლიფი და ჩეხი ჰუსი, მაგრამ ვიდრე ისინი პაპობის ზნედაცემულობისა და მწვალებლობისაგან ეკლესიის გამოსახსნელად იბრძოდნენ, დაიწყო ახალი ბრძოლა ადამიანის გონებისა თუ სისოცხლის თვით საეკლესიო დოგმათა ბორკილებისაგან განთავისუფლებისათვის. ამ მოძრაობას ჰუმანიზმი ერქვა. ჰუმანისტებმა ძველ რომაელ თუ ბერძენ ავტორთა მთელი ნაწარმოებები შეისრუტეს. აღფრთოვანებულნი იყვნენ და იმ ცხოვრებას ეძიებდნენ, ძველ ათენსა და რომში რომ ყოფილა ადრე. განა მომხიბვლელი არ იყო იმ ქალაქებში ცხოვრება, სადაც ადამიანის გონება ჯერაც არ დაებორკათ იმ ბრძანებებსა და აკრძალვებს, რომლითაც ეკლესიამ და მღვდლებმა შემდგომ ხალხი დაიმონეს? ჩვენს წელთაღრიცხვამდელმა უშესანიშნავესმა ხელოვნებამ, რომელმაც პოეზიაში, ქანდაკებებსა თუ არქიტექტურაში იჩინა თავი, ჰუმანისტებზე დიდი გავლენა მოახდინა და მიბაძვისკენაც უბიძგა. ჰუმანიზმის უთვალსაჩინოესი ნაყოფი არქიტექტურისა და ფერწერის აღორძინება იყო. იტალიაში აღორძინება ხელოვნების ისეთი ნაწარმოებებით მოგვევლინა, როგორიცაა რომის წმ. პეტრეს ტაძარი ან ლეონარდო და ვინჩის, რაფაელისა და მიქელანჯელოს ტილოები თუ ქანდაკებები. აღორძინების ტალღა იტალიიდან სხვა ქვეყნებზეც გავრცელდა. დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპაში იგი იმ სახით გამოვლინდა, რომ ამოსავალ წერტილად ადამიანებმა აღრინდელი ქრისტიანობა მოინიშნეს, აგრეთვე ის ეკლესია, რომელსაც ახალი აღთქმიდან იცნობდნენ. ახლა კი აეხილათ თვალები იმაზე, რომ ადრინდელ ქრისტიანობაში კი არა, წარმართობაში ცხოვრობდნენ, რომელიც მათი სანუკვარი თავისუფლებით იკვებებოდა. ევროპის ამ ნაწილში ხალხს ადრინდელი ეკლესიის უმწიკვლოება ისევე მოსწყურდა, როგორც იტალიელ ჰუმანისტებს ქრისტეშობამდელი ცხოვრების აღორძინება.

ნიადაგი, რომელზედაც ლუთერმა თესვა დაიწყო, ადრე უკვე მოხნული გახლდათ. ცეცხლზე ნავთის დასხმა უფრო იყო, როდესაც 1517 წ. ვიტენბერგის ეკლესიის კარებზე თავისი საპროტესტო თეზისები ჩამოჰკიდა და ინდულგენციებით, ვაჭრობის წინააღმდეგ აღიმაღლა ხმა. წინააღმდეგ გამოდიოდა იმისა, რომ შენდობა რომელიმე გარეგან ხელისუფლებას გაეცა, რამეთუ უფალი იყო ამის შემძლე. მისი თქმით მხოლოდ გული და გონება გახლდათ ერთადერთი გზა, რომელიც ღვთის ცნებისაკენ მიემართებოდა. ლუთერი იყო რეფორმატორული მოძრაობის ის მებრძოლი პიონერი, რომელსაც თავის წინსვლას და გავრცელებას რეფორმაცია ყველაზე მეტად უნდა უმადლოდეს. გერმანულ

ენაზე დაწერილი თავისი ნაშრომებით მან ხმა მიაწვდინა მილიონობით ადამიანს, რომელიც აღფრთოვანებული იყო ცრურწმენისაგან თავისუფალი მოძღვრებით და იმითაც, რომ ღვთაებრიობისაკენ შემობრუნება მიწიერ შუამავალთა გარეშე უნდა მომხდარიყო. ტიპოგრაფიის დახმარების გარეშე კი ამის მიღწევა, რაღა თქმა უნდა შეუძლებელი იქნებოდა.

ახალი სამყაროს აღმოჩენის წყალობით, რაც 1500 წლის ფარგლებში მოხდა, ხმელთაშუა ზღვამ მთავარი სანაოსნო და სავაჭრო გზები ატლანტიკის ოკეანეს გადაულოცა. ამას კვალად ვაჭრობისა და ფულის ბრუნვის კოლოსალური ზრდა მოჰყვა. ამერიკიდან ესპანეთში კეთილშობილი ლითონები იქნა შემოტანილი, საიდანაც დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპაშიც გადანაწილდა. ფულის გაზრდილმა ბრუნვამ ინფლაცია გამოიწვია, ასე რომ XVI ს-ში ევროპაში ფასები გაოთხმაგდა ყოველგვარ საქონელზე.

ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებით შეიცვალა საზოგადოებრივ ფენათა ბალანსიც. მოქალაქეებმა, ხელოსნებმა და ვაჭრებმა ფეოდალები ეკონომიურად დაჯაბნეს. ამ უკანასკნელთა ქონებას მხოლოდ მიწები წარმოადგენდა და მათგან არავითარ პროდუქციაზე არ შეიძლება ყოფილიყო საუბარი გარდა საიჯარო ბეგარისა. ბურჟუაზიის გაძლიერებასთან ერთად უმაღლეს ხელისუფალთა ძალაუფლებაც გაიზარდა.

ვაჭრობით მიღებული მოგების ნაწილი მათ ქისაში ბეგარის სახით ჩაედინებოდა. ომიანობისას უმაღლეს ხელისუფალთ აღარ ჭირდებოდათ ფეოდალთა წყალობის ძებნა, რადგან შუასაუკუნეების დასასრულს დენთის გამოჩენით დიდად ამაღლდა სამხედრო ტექნიკის დონე. თავადები რამდენადმე ახალი საზოგადოების ღობის მიღმა აღმოჩნდნენ. ამ დროისთვის გერმანია მრავალ სამფლობელოდ იყო დაქუცმაცებული. თავადებმა, რომლებიც აქამდე მხოლოდ სენიორები იყვნენ, თავიანთი ლენები* რეგულარულ სახელმწიფოებად გარდაქმნეს.

ინდულგენციებით ვაჭრობის წინააღმდეგ ლუთერის პროტესტისთანავე მისი მოძღვრება მთელ გერმანიას ისე მოედო, როგორც ცეცხლი გადახრუკულ ბალახს. ეს მოძღვრება მზარდ თვითშეგნებას გადაეწნა, თავადების ხელში კი ეკლესიაზე შურისძიებისა და მისი ქონების ხელშიჩამგდებ სასურველ იარაღად იქცა. რეფორმაცია და თავადთა მეცადინეობა ერთსა და იმავე მიზნისაკენ იქნა მიმართული. ამიტომაც თავადთა წინააღმდეგ მებრძოლი გლეხებისა და სხვა მდაბიოთათვის ლუთერს მხარი არ დაუჭერია, რამეთუ რწმენის ხსნას მათთან განჭვრეტდა, ვისაც ძალაუფლება ეპყრა ხელთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკანდინავიური პოლიტიკის გარდატეხა და ულავ ენგილბრიქტსონი

1520 წ. სკანდინავიაში დიდი გარდატეხის პერიოდი დაიწყო. მას შემდეგ, რაც ფეოდალები, ეკლესია და ჰანზას კავშირი* მეფე ქრისტიან II-ს აუჯანყდნენ, იგი იძულებული შეიქმნა ქვეყნიდან გაქცეულიყო. მრავალფეროვანმა სოციალურმა კრიზისმა ქრისტიან II-ს დამარცხება აწვნევინა.

დანიელ მეფეებს ოდითგანვე იმ ჰანზელ ვაჭართა ძალაუფლების შესუსტებაზე ეჭირათ მთელი გულისყური, რომელთა ხელშიც იყო დანიისა და ნორვეგიის საექსპორტო ვაჭრობა. სანაცვლოდ კი მეფეებს შიდა ვაჭრობის გაძლიერება ეწადათ. ქრისტიან II-ს შვედებთან სისხლიანი ბრძოლები ჰქონდა გაჩაღებული, რაც იმით დასრულდა, რომ შვედები ქალმარის უნიას* გამოეყვნენ, თუმცა მისი წევრობის ხალისს არც ადრე ავლენდნენ. მათ, ვინც ქრისტიან II-ს აუჯანყდა, სათავეში გუსტავ ვასა* ჩაუდგა, 1523 წ. კი იგი მეფედ იქნა არჩეული.

თავის მხრივ ფეოდალებს არც ქრისტიან II სწყალობდა. იმ ხარჯების დასაფარავად, რომელიც შვედებთან ომში გაედინებოდა, მან მძიმედ დაბეგრა ეკლესია და ფეოდალები. გლეხებსა და ფეოდალებს შორის საუკუნო ბრძოლაში მეფე მდაბიოთა წისქვილზე ასხამდა წყალს და მოიჯარეებს მემამულეთა წინააღმდეგ უმაგრებდა ზურგს. მას არად ჩაუგდია ეკლესიის უფლებები და ეპისკოპოსთა თანამდებობებზე ხალხი საკუთარი მოსაზრებების მიხედვით დანიშნა.

სკანდინავიის სახელმწიფო წყობის თანახმად უმაღლეს ხელისუფლებას მეფე ყოველი ქვეყნის სამეფო საბჭოს ანუ რიქსორდთან ერთად ახორციელებდა, ყოველ ახლადარჩეულ მეფეს კი ხელი უნდა მოეწერა შესაბამისი აღთქმის მკაცრი სიგელისათვის. რიქსროდი მსხვილი ფეოდალებისა და ეკლესიის მეთაურებისაგან გახლდათ შემდგარი. მას არქიეპისკოპოსი თავმჯდომარეობდა, მაგრამ ქრისტიან II სულმდაბალი აღმოჩნდა და დანიის რიქსორდს გვერდი აუქცია. ეკლესიისა და ფეოდალებისათვის ნათელი შეიქმნა, რომ მმართველობაში მეფე უკიდურეს ერთპიროვნულობას იჩენდა. სხვათა შორის ისე გაკადნიერდა, რომ ლენები და თანამდებობები ნორვეგიაში დანიელებს დაურიგა, მათ კი იქ ოდითგან ცუდი თვალით უყურებდნენ. ამრიგად დანიელთა და ნორვეგიელ არქიეპისკოპოს ერიქ ფალკენდორფს შორის მტრობამ დაივანა. იგი თვლიდა, რომ დანიელები სულს უხუთავდნენ ეკლესიას. ყოველივე ამის გამო არქიეპისკოპოსი სასწრაფოდ პაპთან შესახვედრად გაეშურა რომს, რათა ეკლესიის შელახული პატივი აღედგინათ, მაგრამ უკან დაბრუნება აღარ ღირსებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც შვედები მეფე ქრისტიანს აუმხედრდნენ, ჰანზას სავაჭრო კავშირის უძლიერესმა ქალაქმა ლიუბეკმა ისარგებლა ამ შემთხვევით და კავშირით შეეკრა მათ. ჩაფიქრებული ჰქონდა მოეთხოვა ძველი სავაჭრო უპირატესობები და თავი დაეხსნა მეფის უღლისა თუ ბეგარისაგან. ამ დროისთვის მეფე ქრისტიანი ისეთ არამყარ ნიადაგზე იდგა, რომ იუტლანდის* ფეოდალებს შესანიშნავი საშუალება მიეცათ აჯანყება მოეწყოთ მის წინააღმდეგ, სამეფო თაყვანი კი მეფე ქრისტიანის ბიძას, შლეზვიგ-ჰოლშტეინის* ჰერცოგს ფრედერიქ I-ს სცეს. 1523 წლის 13 აპრილს ქრისტიან II ქვეყნიდან გაიქცა.

იმავე ზაფხულს ნორვეგიაში ერიქ ფალკენდორფის გარდაცვალების ამბავი მოვიდა. კანონიკებმა არქიეპისკოპოსად მთავარდიაკონი ულავ ენგილბრიქტსონი აირჩიეს. იგი მაშინვე რომს გაემგზავრა კურთხევის მისაღებად, აგვისტოში კი ფრედერიქ I ქოპენჰაგენის გამოკლებით მთელი დანიის მეფედ ცნეს. დანიის რიქსროდმა გამოაცხადა, რომ თაყვანი მისთვის ნორვეგიელებსაც უნდა ეცათ. ამ მიზნით მან იქ ორი თავადი გაგზავნა, რათა ნორვეგიული რიქსორდი საამისოდ დაეყოლიებინათ. მეფე ფრედერიქს ნორვეგიაში ლიუბეკის უეჭველი მხარდაჭერა ეგულებოდა, რადგან ჰანზას კავშირს აღრე შეღავათებსა და გვერდში ამოდგომას დაჰპირდა. ამ კავშირის გარეშე კი საეჭვოა ასე სწრაფად მიეღო ძალაუფლება დანიაში.

ფრედერიქ I-ს ორი უეჭველი მეტოქე ჰყავდა, რომელსაც ნორვეგიაში მისი წარმატებების შეფერხება შეეძლო. ეს იყვნენ შვედები და ნორვეგიის რიქსროდი. ქრისტიან II-ის გაქცევამდე რიქსროდის ერთ-ერთი წევრი საიდუმლო კავშირით იყო შეკრული გუსტავ ვასასთან. გუსტავს არ ჰქონდა იმედი, რომ დანიის მსგავსად ნორვეგიაშიც დაიწყებოდა აჯანყება და შეეცადა ოსლო აეღო, მაგრამ ხელი ერთმა დანიელმა ფეოდალმა შეუშალა. ამით ნორვეგიის ძალაუფლების ხელში ჩაგდების ცდა ისტორიას ჩაბარდა. მიუხედავად იმისა, რომ შვედთა მეფისა და ნორვეგიელ ფეოდალთა ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა, მიზნები მეტად განსხვავებული და შეუთავსებელიც კი ჰქონდათ. გუსტავ ვასას სურდა ნორვეგია შვედეთისთვის დაემორჩილებინა, ნორვეგიელები კი შვედებთან დანიელების წინააღმდეგ განმანთავისუფლებელ ბრძოლაში მხარდაჭერას ეძიებდნენ. ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. ფრედერიქ I-მა შვედეთის მეფის გულის მოგება სცადა. როდესაც 1523 წლის ზაფხულში მეფე ნორვეგიას შეეპოტინა, ქვეყანა ფაქტიურად ხელმძღვანელის გარეშე იყო დარჩენილი. არქიეპისკოპოსი კურთხევის მისაღებად გახლდათ წასული, ხოლო რიქსროდი, რომელსაც ის თავმჯდომარეობდა, ნაკლებ შრომისუნარიანი იყო. გავლენიანმა დანიელმა ფეოდალებმა, რომლებსაც უმნიშვნელოვანესი ლენები ეპყრათ ხელთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო დაბნეულობით ისარგებლეს და თავის ნავს მოარგეს ნიჩბები. მათ შეძლეს დაეყოლიებინათ ნორვეგიის რიქსროდის რამდენიმე წევრი ერთგულება შეეფიცათ ფრედერიქისათვის.

ნათქვამია, გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო. ნორვეგიელთა ახლადნაკურთხი არქიეპისკოპოსი ულავ ენგილბრიქტსონი რომიდან შინ დაბრუნდა და თავისი ქვეყნის ბელადი არჩენვების გარეშე გახდა. პირველი ამოცანა, რაც მას ელოდა, იყო რიქსროდის მოწვევა და ფრედერიქ I-ის მიმართ პოზიციის დაკავება. გადაწყდა, რომ რიქსროდი 1524 წლის აგვისტოში ბერგენში* შეიკრიბებოდა. ამ სხდომაზე რომელიც 5 აგვისტოს შედგა, თავი მოიყარეს თვით არქიეპისკოპოსმა, ნორვეგიის ყველა ეპისკოპოსმა და იმ ფეოდალებმა, რომლებიც საბჭოს წევრები იყვნენ. მათ გარდა კრებას ესწრებოდა ჰოულარის ახლადნაკურთხი ეპისკოპოსი იოუნ არასონი. არქიეპისკოპოსის კურთხევა მას დანამდვილებით ორი დღით ადრე ჰქონდა მიღებული, თუმცა კურთხევის სიგელი ამ თვის შვიდ რიცხვშია დაწერილი.

იოუნ არასონს მაშინ დავცილდით, როდესაც ერთი წლის უკან ძლივს გაასწრო ეპისკოპოს ეგმუნდურ პაულსონის კლანჭებს და გერმანელ ვაჭრებთან ერთად ისლანდიიდან გაემგზავრა. მათი გზები მთლად გარკვეული არ არის. გერმანიაში ალბათ, ნორვეგიის გავლით ჩავიდნენ. ვერც იმას ვიტყვით დანამდვილებით, გაგებული ჰქონდა თუ არა ნორვეგიის მოვლენები ისლანდიის ნავსადგურიდან გამოსვლისას. უცხოეთში კი ყველაფერს მალე შეიტყობდა, რადგან იმ ზაფხულს, აგვისტოს თვეში, ფრედერიქ I-ს შეხვდა. დანიის ტახტზე ფრედერიქი იმ დროს ახალი ასული იყო და იოუნის არჩევანი მყისვე დაამტკიცა. იმ პერიოდშივე მისწერა წერილი ნიდაროსელ კანონიკებს, სადაც ითხოვს, რომ ჰოულარის ეპისკოპოსად დაამტკიცონ მამა იოუნი და არა სხვა ვინმე. ითხოვს აგრეთვე მის შეძლებისდაგვარად მალე კურთხევას. ჩანს მეფისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო, რომ იოუნი მანამდე ეკურთხათ, ვიდრე ნორვეგიის რიქსროდი პოზიციას დაიკავებდა: საბჭოში ხომ ერთი ადგილი ჰოულარის ეპისკოპოსსაც ეკუთვნოდა. ალბათ, გულუბრყვილობად არ ჩაგვეთვლება, თუ ვიფიქრებთ, რომ ფრედერიქმა იოუნს რიქსროდში მის სასარგებლოდ ლაპარაკი სთხოვა ან, ყოველ შემთხვევაში, მოელოდა მაინც. მეფე ფრედერიქმა ჰოულარის ყველა განსწავლულ-განუსწავლელსაც მისწერა წერილი, იმის შესახებ რომ იოუნის არჩევანი უკვე დამტკიცებული ჰქონდა. ბრძანებდა, რომ არავინ მიეღოთ ეპისკოპოსად. საყურადღებოა, რომ ორივე წერილში იგი ახსენებს „არა სხვას“. იქნებ იოუნ ეინარსონი ჰყავდა მხედველობაში? იმ შემოდგომაზე ფრედერიქმა მიიღო ცნობა იოუნ არასონის ბრალდებებისა და შეჩვენების შესახებ, მაგრამ აშკარაა, რომ ეგმუნდურს იოუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი ამჯობინა, როგორც ეს ულავ ენგილბრიქტსონისადმი მის მიერ მიწერილი წერილიდან ჩანს.

1524 წლის 5 აგვისტოს დათარიღებული წერილით ნორვეგიის რიქსროდმა ქრისტიან II-ს უარი განუცხადა ერთგულებაზე და მეფედ ფრედერიქ I სცნო. საბჭომ ორმოცდაცამეტი მუხლისაგან შემდგარი გრძელი და ზუსტად განსაზღვრული აღთქმის სიგელიც დაამტკიცა. მეფეს აქ ერთგულებას იმ პირობით აღუთქვამენ, თუ იგი თავის მხრივ პატივით მოეპყრობა როგორც ქვეყნის თავისუფლებას და უფლებებს, ისე თვით აღთქმის სიგელსაც. მთავარი მახვილი დასმულია მეფის ხელისუფლების შეზღუდვასა და ნორვეგიის დამოუკიდებლობის დაზღვევაზე. სიგელში არის მუხლი, სადაც მეფე იძლევა აღთქმას, რომ საშუალებას მისცემს ეკლესიას ისარგებლოს ყველა სიკეთითა და უფლებებით, რომ „არც ერთ პროტესტანტს არ მიეცეს საშუალება იქადაგოს კათოლიკური მოძღვრებისა და რწმენის წინააღმდეგ“. ამ დროისთვის შვიდი წელიც არ იყო გასული, რაც ლუთერმა ინდულგენციებით ვაჭრობას გამოუცხადა პროტესტი და მხოლოდ სამი წელი, რაც პიროვნების უფლება მოითხოვა, რათა ხალხს სინდისის ნაკარნახევისა ეწამა. ახალმა მოძრაობამ სკანდინავიაში უმალ მოიკიდა ფეხი. ზემოხსენებული მუხლი კი ეკლესიის თვითდაცვა გახლდათ.

უმნიშვნელოვანესია ის მომენტი, თუ რა უუფლებოა მეფე რიქსროდის დასტურის გარეშე. მას არა აქვს ნება გაზარდოს უცხოელთა უფლებები ნორვეგიაში და დაბეგროს მდაბიონი. ქვეყნის სუვერენიტეტი დაზღვეულ უნდა იქნას რიქსროდის არსებობით, ხოლო ნორვეგია თავისუფალი ქვეყანაა. მეფეს უფლება მიეცემა ამ პირობით განაგოს ყველა ლენი და ქვეშემრდომი, ხელისუფლება კი უნდა გადასცეს ეროვნებით მხოლოდ ნორვეგიელებს ან იმათ, ვინც ნორვეგიულ ოჯახს დაუმოყვრდება. კორონაცია მეფემ ნიდაროსში უნდა მიიღოს. აღთქმის სიგელის თანახმად სხვა არაფერია გათვალისწინებული გარდა იმისა, რომ ნორვეგია არის დანიასთან უნიაში მყოფი სუვერენული ქვეყანა.

ამ დოკუმენტში ყოველივე მტკიცედაა ნათქვამი და ყოველ მუხლში ულავ ენგილბრიქტსონის იდეალები ირეკლება. მაგრამ ამ სიგელის შესახებ ის ითქმის, რომ სხვა მრავლის მსგავსად მისი ფასი იმ პერგამენტზე დიდი როდი იყო, რომელზედაც იგი ეწერა. ფრედერიქ I-მა, რაღა თქმა უნდა, ხელი მოაწერა მას, მაგრამ უარყო ის მუხლი, რომლის თანახმადაც ნორვეგიული ლენები მხოლოდ ადგილობრივთ უნდა გადასცემოდათ. ამან ჯაჭვის ერთგვარი გაწყვეტა გამოიწვია. არქიეპისკოპოსმა სასტიკად გაიბრძოლა იმის წინააღმდეგ, რომ ფრედერიქ I ნორვეგიის გვირგვინდადგმული მეფე გამხდარიყო. და არც არასოდეს გამხდარა. მეფე თვლიდა, რომ თავხედურად შეურაცხყვეს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიზანდასახულად იღწვოდა, რათა ნორვეგიაში დანიელ ფეოდალთა სერვიტუტი* გაეგარდა.

დადგა 1530 წელი და არქიეპისკოპოსმა განვლილ გზას მჭმუნვარემ და იმედგაცრუებულმა გამოხედა. მეფემ გვერდი აუარა ნორვეგიულ რიქსროდს, თითქოს არც კი არსებულიყო, და ნორვეგიელთა საქმეებში დანიელები ჩარია, ნორვეგიელები იძულებული შეიქმნენ შერიგებოდნენ იმას, რომ დანიელთა წინაშე თავისი სავარძლებიდან წამოდგომა მოუხდებოდათ. მეფემ და მისმა ფავორიტებმა ეკლესიის ქონება თავისი სურვილისამებრ განაგეს და მონასტრები საერო ლენებად აქციეს. ახლა კი გაეხსნათ ხელები ერესისა და ლუთერანიზმის მოციქულთ, რათა თავისი უღმერთო მოძღვრებები ქვეყნის მოსახლეობაზე გადმოენთხიათ. მეფემ აღთქმის სიგელის მუხლები ერთიმეორის მიყოლებით დაარღვია.

როდესაც საქმე აქამდე მივიდა, არქიეპისკოპოსი ულავი ბრძოლაში ფაქტიურად მარგო დარჩა, მაგრამ არასოდეს გატეხილა. მისთვის ნათელი შეიქმნა, რომ სეტყვისთვის ქვა უნდა დაეხვედრებინა. თავისი არქიეპისკოპოსობის ადრეულ წლებში თრონჰეიმის ფიორდზე მან ძლიერი სიმაგრე ააგებინა. რა ბედიც არ უნდა სწვეოდა ნორვეგიას, ეს სიმაგრე მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში ქვეყნის სამხედრო დროშა უნდა ყოფილიყო და სანამ ულავს შეეძლებოდა მისი დაცვა, ნორვეგიის დროშაც ზეაღმართული იქნებოდა.

რაც უფრო გადიოდა დრო, ფრედერიქ I თანდათან ლუთერანობისკენ იხრებოდა. მეფე და ფეოდალები ეკლესიის დასაჩოქებლად გაერთიანდნენ, მაგრამ უეცრად არქიეპისკოპოსმა იმედის მბჟუტავი ნაპერწკალი დალანდა. 1529 წ. მან კავშირი დაამყარა დევნილ ქრისტიან II-თან. მას მერე, რაც ქვეყნიდან გაიქცა, მეფე ქრისტიანს სკანდინავიაში ძალაუფლების დაბრუნება სანუკვარ ოცნებად ჰქონდა გადაქცეული. იმავე წელს ჩაისახა იმის პირობები, რომ ეს ოცნება ახდენილიყო. იმპერატორ ქარლ V-ს* ომში კარგი პერსპექტივები გამოუჩნდა და ახლა შეეძლო თავის სიძეს ქრისტიან მეორეს შეწევნოდა. გადაწყდა, რომ ქრისტიანი ნორვეგიაში შეჭრას ეცდებოდა. არქიეპისკოპოსს კი დევნილისთვის ზურგი ჰქონდა შექცეული, რადგან ეს უკანასკნელი უფრო და უფრო იხრებოდა ლუთერის მოძღვრებებისაკენ, მაგრამ როდესაც საქმე სამშობლოს განთავისუფლებას ეხებოდა, ამ შეცოდების პატიებაც შეიძლებოდა. 1531 წ. ქრისტიან II-მ თავისი ხომალდები ოსლოსკენ დაძრა, წინ კი ცნობა იფრინა, რომ ქვეყნის გამოხსნას აპირებდა იმათგან, ვისაც იქ ძალაუფლება უსამართლობით ჰქონდა დათრეული. რა ეპისკოპოსმა მისი შემოჭრის ამბავი შეიტყო, ხალხს მეფე ქრისტიანის მხარდაჭერა სთხოვა. მათ დიდ წარმატებებსაც მიაღწიეს, მაგრამ ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძალეს თავისი ძალაუფლების ფარგლებში მოექციათ უძლიერესი ციხესიმაგრეები, რომელიც დანიელ ფეოდალთა ხელში იყო.

ერთი წლის შემდეგ ფრედერიქ I-მა ქრისტიან II მომხიბვლელი წინადადებებითა და შერიგების აღთქმით აცდუნა, რაც მოგვიანებით სრული სიყალბე აღმოჩნდა. როგორც კი ფრედერიქ I-მა ქრისტიანი ხელში დაიგულა, საპყრობილეში ჩააგდებინა იგი, საიდანაც მას არასოდეს ღირსებია გამოსვლა. ამ ხანებში გარდაიცვალა თვით ფრედერიქ I.

მაინც საიდან ჰქონდა ულავ ენგილბრიქტსონს ასეთი ურყევი რწმენა და სიმტკიცე, რომელიც ვერასოდეს გატეხა ვერც დამცირებამ, ვერც ტყუილებმა, ვერც მუქარამ და ვერც მტრის სიმრავლემ? პასუხი არც ისე ადვილი საპოვნელია, რადგან თავისი გეგმები ულავს არასოდეს გამოუტანია საჯაროდ და არც თავისი აზრები თუ გრძნობები გამოუმზეურებია ოდესმე, ხოლო მისი წერილები ან ქმედება ნაკლებღირებულ წყაროებს წარმოადგენენ.

ულავი დიდად განათლებული ადამიანი გახლდათ. განათლება კონტინენტის მრავალ უნივერსიტეტში მიეღო, ყველაზე მეტ ხანს კი როსტოკის* უნივერსიტეტში სწავლობდა. იმ დროს ეს უნივერსიტეტი გერმანული კულტურის დედაქალაქი იყო. აქ იბეჭდებოდა წიგნები და სულიერად ნათლდებოდნენ ჩრდილო თუ დასავლეთევროპელი სტუდენტები, რაც საძირკველს უყრიდა მათ შეხედულებებსა და შემდგომ საქმიანობას. ულავზე ადრე აქ ორი ნორვეგიელი არქიეპისკოპოსიც განსწავლულა. ამ სასწავლო დაწესებულებაში ჰუმანიზმის სული ჰქროდა, ხოლო ოსტატი, რომელიც თავის შეგირდებს ანათლებდა, კლასიკურ ნაწარმოებებს გერმანულ ენაზე ხსნიდა. ეს კი გაუგონარი ამბავი გახლდათ. ამის გამო როსტოკის ჰუმანიზმი, დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების დარად, ეროვნული იყო. სტუდენტობის წლებში ულავ ენგილბრიქტსონი იქ ერთ პროფესორს გაეცნო, რომელიც მგზნებარე ნაციონალისტი ყოფილა ჩრდილოგერმანული სახელმწიფოებისა და სკანდინავიის ისტორიას წერდა.

მეორე მხრივ ღვთისმეტყველების საკითხებში ეს უნივერსიტეტი მეტად კონსერვატიული იყო. ერთი უფროსი მასწავლებელი ინდულგენციებით ვაჭრობის ადგილობრივი აგენტიც კი გახლდათ, ხოლო მეორეს, რომელმაც გაბედა ამ საქმიანობისთვის ცერად გაეხედა, თანამდებობა დაატოვებინეს. არსებობს წყარო იმის შესახებ, რომ ინდულგენციები იქ თვით ულავ ენგილბრიქტსონსაც უყიდია.

როგორც ნორვეგიელი ისტორიკოსები მიუთითებენ, უნივერსიტეტში ულავმა ის კულტურულ-ზნეობრივი ბაზისი მიიღო, რომელსაც შემდგომ მისი მსოფლმხედველობა და მოღვაწეობა დაეყრდნო. ერთ-ერთი ის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორიკოსი მის შესახებ ამბობს: „კათოლიციზმმა ულავს ის ვნება შთაბერა, რომელიც მოგვიანებით მის მიერვე წარმოებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში, გამოადგა, ის ხომ იძულებული იყო თავისი ქვეყნის ეკლესიაც დაეცვა და დამოუკიდებლობაც". „... ამ ვნებას იგი ზოგჯერ ზნეობის მიღებულ მოთხოვნათა უგულებელყოფამდე ან, საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, ტყუილებამდე და ძალმომრეობამდეც კი მიჰყავდა. ამ მხრივ ულავი იმ მშფოთვარე დროის ჭეშმარიტი შვილი იყო, რომელშიც იგი ცხოვრობდა". მისი ამ თვისებების გამო ისტორიკოსი პარალელს შვედეთის მეფე გუსტავ ვასასთან ავლებს. ხომ შეგვიძლია იოუნ არასონსაც იმავე რიგში მივუჩინოთ ადგილი, ოღონდ თუ ზემოთ მოყვანილ სიტყვებს შემდეგნაირად შევცვლით: „ეროვნულმა გრძნობამ მოგვიანებით მის მიერვე წარმოებულ რელიგიურ ბრძოლაში იჩინა თავი". ამას მისი ისტორია დაგვანახებს.

ჰოულარელი ეპისკოპოსი

1525 წ. კურთხევის მიღების შემდეგ ეპისკოპოსი იოუნ არასონი შინ ალთინგამდე დაბრუნდა. უცხოეთში დიდი პატივი ხვდომოდა წილად. მას ფრედერიქ I-ის კეთილგანწყობაც მოეპოვებინა და არქიეპისკოპოსისთვისაც შეეყვარებინა თავი. იმ ზაფხულს ალთინგზე ჰირდსტიოურიმ მას ჰეგრანესთინგის ოლქი ჩააბარა. ალთინგის დამთავრების შემდეგ იოუნ ეპისკოპოსი ჩრდილოეთით ჰოულარისკენ გაეშურა და არ არსებობს არავითარი გადმოცემა, რომ ამ ალთინგზე ეგმუნდურ ეპიკოპოსს შეხვედროდეს.

ადრე უკვე ნახსენები იყო, რომ იოუნ ეპისკოპოსის წინამორბედებმა ჰოულარის რეზიდენცია კარგა გვარიანად გაამდიდრეს, თუმცა ერთობ გაუმაძღრობითა და ურცხვობით კი. ეს სიმდიდრე იოუნ არასონმა ჩაიბარა. ქონების ზედამხედველობის საქმეს აქ ვინმე დამწყები როდი მოჰკიდებია, იოუნი ხომ ადრე რეზიდენციის საქმეთა მმართველი და შემდეგ მეთვალყურეც კი იყო. შემორჩენილი ე.წ. სიგურდურის რეესტრი ანუ ჰოულარის საეპისკოპოსოს ქონების ნუსხა, რომელიც იოუნის ვაჟმა სიგურდურმა შეადგინა. სიგურდურის რეესტრი ხელით ტყავზეა დაწერილი მისი ის ნაწილი, რომელშიც აღწერილია ტაძრის, რეზიდენციის, მონასტერთა და რამდენიმე მთავარი ეკლესიის ქონება 1525 წლისთვის, შედგება ორმოცდასამი ფურცლისაგან.

ჰოულარის რეზიდენციას საეპისკოპოსო მიწების დაახლოებით მეოთხედი ეკუთვნოდა. დიდძალი ქონება ჰქონდა ტაძარს სხვა ფასეულობების სახითაც, მათ შორის ასორმოცტონიანი წყალწყვის ხომალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი, ერთი დიდი ათნიჩბიანი, ერთი რვანიჩბიანი და ოთხი ექვსნიჩბიანი ნავი. ნაპირზე ზღვა დიდძალ ხე-ტყეს რიყავდა*, თვით ტაძარში კი ოქროვერცხლის აუარება ნივთი გახლდათ თავმოყრილი, ყველაფერი ძვირფას ნოხ-ხალიჩებში იყო ჩამჯდარი. იოუნ ეპისკოპოსს არც ფულის დაბარტყება უჭირდა და 1533 წლისთვის, როდესაც შვილები უკვე გზაზე ჰყავდა დაყენებული, ზღაპრულად მდიდარი შეიქმნა.

ეპისკოპოსის თანამდებობას დიდძალი ხარჯებიც სდევდა თან. მაგალითებად შეგვიძლია კურთხევის მიღება, მოგზაურობის ხარჯები და გასაკითხი საჩუქრები დავასახელოთ. საგრძნობ ფულს გასცემდა ნათესავების, შვილებისა და მომხრეების შესანახადაც, რადგან მრავალი მეგობარი ჰყავდა და ყველას უყვარდა.

მისი ეპისკოპოსობის პირველი წლების შესახებ წყაროებში ბევრი არაფერია ნათქვამი. იგი უფრო მიწების ყიდვა-გაცვლასთან დაკავშირებით იხსენიება, გასამართლებით კი ბევრი არავინ გაუსამართლებია. ეს არაორაზროვნად მიუთითებს იმაზე, რომ საეპისკოპოსოს მართვაში იოუნი უკონფლიქტო იყო და არც დიდი შეხლა-შემოხლა ჰქონია ვინმესთან.

ერთი მემატიანე იოუნ ეპისკოპოსის ცხოვრებაზე მსჯელობისას ამბობს: „იოუნ ეპისკოპოსს არ ჰქონდა მიდრეკილება დიდი ბრალდებებითა და შეჩვენებებით მივარდნოდა თავის პასტორებს ან სხვათა. სამაგიეროდ მათ იცოდნენ თავისი ვალი ყოფილიყვნენ მისი გამგონნი და ხელქვეითნი. მათ მიმართ კი, ვინც ჯიბრსა და მზვაობრობას იჩედა, იოუნი უხეში და მეტისმეტად მკაცრი იყო“. ეს დახასიათება იოუნ ეპისკოპოსსა და მის წინამორბედთა შორის დიდ განსხვავებაზე მეტყველებს.

იოუნს ჰოულარის საეპისკოპოსოს მეტი და მეტი დიდება სურდა და მის გასამდიდრებლად არც ერთ შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან. ამბობენ, რომ ერთხელ იმის გამოძიებას შედგომია თუ რა ქონებრივი უფლებამოსილება ჰქონდა სკაულჰოლტის ეპისკოპოსს ვასფიორდურში, რომელიც წინათ გლეხებს ეკუთვნოდათ, მაგრამ სტეფაუნ ეპისკოპოსს ეკლესისთვის მიეკუთვნებინა. იოუნი ვასფიორდურისაკენ გაემართა, პასტორმა კი, რომელსაც ქრისტინი ერქვა, მის შესახვედრად ხალხიც გაამზადა და სასმელებიც. ეპისკოპოსმა ჩათვალა, რომ ასეთ შემთხვევაში ძალაუფლებაზე პრეტენზიების წაყენება არც თუ უხიფათო იქნებოდა, საქეიფოდ დაჯდა თავის ხალხთან ერთად და შაირიც გამოთქვა:

ისეთი ვიხილე ვასფიორდური,
როგორც აღწერდნენ:
ლაზათიანად ნაგები
და მწვანე ტორფით დამშვენებული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქრისტინს უბადლოდ უშენებია,
დიასახლისმაც გამართა კერა.
ასეთი სეფე-დარბაზის პატრონს
ქუდბედდაყოლილს რად არ დაარქმევ?

ეპისკოპოსი და პასტორი ერთმანეთს შერიგებულები დაშორდნენ. ყველა, ვინც კი ეპისკოპოსის ისტორიას განიხილავს, მიუთითებს, რომ მეტად დალხენილი და ყველასთვის საყვარელი, შემწყნარებელი და მშვიდობიანი ყოფილა, თუნდაც ვინმეს რამე შეშლოდა. ვერც გულღრძოობას დასწამებს ვინმე. ამის კარგი დადასტურებაა ის, თუ რა კარგად მოეპყრო პიეტურ პაულსონს, სწორედ იმ კაცს, რომელსაც იოუნის უცხოეთში ყოფნის დროს ეგმუნდურ ეპისკოპოსმა ჰოულარის საეპისკოპოსოს საქმეთა მმართველობა ჩააბარა და გოტშალქ ნილსენის გარდაცვალების შემდეგ იოუნის პირველი მეტოქე გახდა. თანამდებობები არ დაუშურებია მისთვის იოუნ არასონს, თავის რწმუნებულად დანიშნა და ხელიც შეუწყო იმას, რომ პიეტური მუნკათვერაუს მონასტრის აბატი გამხდარიყო. იგივე ითქმის მამა იოუნ ეინარსონზეც, ეგმუნდურ პაულსონის მიერ წამოყენებულ საეპისკოპოსო კანდიდატურაზე. იოუნ ეპისკოპოსს გულში წყენა არ შეუნახავს, თუმცა კი იოუნ ეინარსონი მისი მეტოქეყოფილი გახლდათ და ერთ დროს ნორვეგიაში მის მიმართ საწინააღმდეგო მისიითაც იყო ჩასული. იოუნმა მას არქიეპისკოპოსთან უშუამდგომლა, რათა ოდდის მრევლი მიეღო. ეპისკოპოსის სულგრძელობაზე კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ იოუნის შინ დაბრუნებისას პირველ ალთინგზე ეპისკოპოსები ერთმანეთს არ შეხვედრიან. მეორე წელმაც ისე ჩაიარა, რომ მათ შორის მშვიდობა სუფევდა. ცხადია, ეგმუნდური იძულებული იყო შერიგებოდა იოუნ ეპისკოპოსის მიერ ხელისუფლების ხელში აღებას, მაგრამ მეტად უმძიმდა ის, რომ ჰოულარში მისი მმართველობა უკანონოდ ცნეს. გარდა ამისა, მის მიერ ერთ-ერთი პასტორისადმი ოდდიში გასამწესებლად მიცემული რეკომენდაცია არქიეპისკოპოსმა არად ჩააგდო. იმ მიზნით, რომ ჩრდილოეთში თავისი ხელისუფლების გარშემო ყოველგვარი ეჭვები გაეფანტა, ორი პასტორი მოწმეებად დაიყოლია, ვითომდაც მათ გაეგონათ თუ როგორ გამოაცხადა ულავ ენგილბრიქტსონმა ის, რომ ძალაში იყო მისსა და კანონიკების მიერ ჰოულარის საეპისკოპოსოზე ეგმუნდურის სრული იურისდიქციის სიგელის ყველა მუხლი. ეგმუნდურმა კიდევ სხვა მოწმეებიც დაასახელა, მაგრამ ცხადია, ნათლად ხედავდა, რომ ჰოულარში მისი ხელისუფლება მხოლოდ იმ დროით იყო შემოფარგლული, ვიდრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალ ეპისკოპოსს არ აკურთხებდნენ.

1527 წლისათვის ეპისკოპოსებს შორის გაღრმავება იწყო მტრობამ და შულმა. როდესაც ალთინგის დრო მოახლოვდა, ორივე დიდ მზადებას მოჰყვა, რაზმები შეყარეს და თან გაიყოლეს. ისტორია მოგვითხრობს, რომ ეგმუნდურს ჯავშანში ჩამჯდარი 1440-1680 კაცი ახლდა, იოუნ ეპისკოპოსს კი 1080-ზე ნაკლები. ჩანს ეგმუნდურს სურდა ყველაფრისთვის მზად ყოფილიყო, რადგან მოელოდა, რომ იოუნ ეპისკოპოსი ადრინდელი შეცოდებებისთვის უძიებდა შურს. ზოგიერთებს სურთ ისეც წარმოაჩინონ, თითქოს ორივეს სწყუროდა ბრძოლა და არც ერთი არ აპირებდა ურთიერთის დანდობას. ეპისკოპოსებს შორის აბატები და პასტორები ჩადგნენ და შეარიგეს ისინი. სამაგიეროდ მათი რაზმებიდან ორი კაცი ორთაბრძოლაში გავიდა*. ეგმუნდურის რაზმიდან ეისტეიტნი გამოვიდა, სწორედ ის, ვინც ფოგტ* ლენჰარდთან* ერთდ იცავდა თავს, როდესაც ეს უკანასკნელი 1502 წ. ჰროინზე, ელფუსში მოაკვდინეს. ორთაბრძოლაში ეისტეიტნმა გაიმარჯვა. ეს შერიგება მოგვიანებით იმავე წელს ჰრუტაფიორდურში შემდეგი სიტყვებით დაამტკიცეს: „ვალდებულნი ვართ სახელითა ღვთისათა შევინარჩუნოთ ჩვენი სულიერი ძმობა და არც ერთმა არ შეიტანოს მეორის საეპისკოპოსოში რაიმე სიახლე ფარულად თუ აშკარად“. ერთი წლის შემდეგ ბორგარფიორდურში მოწმეებითურთ მათ ისევ დაამტკიცეს დადებული ზავი, რათა იგი ორივე მხრიდან „ხელთუქმნელი“ დარჩენილიყო. ამ დროიდან მოყოლებული ეპისკოპოსებს შორის თანამშრომლობა დაიწყო და მიწებიც ცივილიზებული ხალხის დარად გაიყვეს. სიახლე კი, რომელიც ზემოთ მოყვანილ ციტატაშია ნახსენები, ლუთერანიზმს უნდა ნიშნავდეს. და არც გასულა დიდი დრო, ვიდრე ეს მოძრაობა ამ ორი დიდებული ვიკინგის „სულიერ ძმობას“ განამტკიცებდა.

სიფიცხე შორსმჭვრეტელობით ფასდება. ტეიტურის საქმე

როგორც უკვე აღინიშნა, იოუნ ეპისკოპოსს ყოველგვარი მმართველობა ხელეწიფებოდა, მხნე იყო და დიდად პატივდებული თავის საეპისკოპოსოში. და მაინც არის ერთი რამ, რაც იოუნ არასონს სხვა მხრიდან წარმოაჩენს ან ჩრდილს მიაყენებს მომდევნო თაობათა თვალში. აქ იგულისხმება ე.წ. ტეიტურის საქმე, რომელიც იოუნ არასონს მთელი მისი ეპისპოკოპოსობის მანძილზე მიეწება. სხვა რაღა ითქმის გარდა იმისა, რომ ამ საქმეში ეპისკოპოსს კარგა გვარიანი დაურიდებლობა და აგრესია გამოუჩენია. მან დაგვანახა, რომ ერთმმართველი იყო, ნაჩქარევად იღებდა გადაწყვეტილებებს და არას ერიდებოდა თუკი

ქონების გაზრდის შესაძლებლობას ხედავდა. ამ საქმის სათავე იოუნ ეპისკოპოსმა მემკვიდრეობად თავისი წინამორბედების გოტშალქ ნილსენისა და ლეგმადურ იოუნ სიგმუნდსონისაგან მიიღო. სათავეზე კი ის უნდა ვთქვათ, რომ ლეგმადურ იოუნის ვაჟმა ეინარმა ურთიერთობა დაამყარა მამასთან, რომელიც ეკლესიისაგან იყო მოკვეთილი. ამ საქციელის გამო ისიც შეჩვენებულ იქნა. 1517 წ. ეპისკოპოს გოტშალქის მიერ მოწვეულმა სასამართლომ დაამტკიცა ეკლესიისაგან ეინარის მოკვეთა. ეინარს არ გამოუსყიდია თავი ფულადი ჯარიმებით, როგორც ეს სასამართლომ შესთავაზა. იგი დიდძალი ქონების პატრონი გახლდათ, თავისი ქონების ფლობას კი ანათემაში მყოფიც აგრძელებდა და ეკლესიაშიც დადიოდა, თითქოს უცოდველი ყოფილიყო. ასე გრძელდებოდა ეპისკოპოს გოტშალქის გარდაცვალებამდე. ამ ხანებში გარდაიცვალა იოუნ სიგმუნდსონიც, ეინარმა კი თავიცა და ქონებაც დასაცავად გლოიმბაირელ ტეიტურ თორლეიესონ მდიდარს მიანდო, რომელიც მაშინ ჰუნავასთინგის სისლუმადური იყო. როდესაც იოუნ არასონი ჰოულარის თავკაცად აირჩიეს, მაშინვე იმ საქმეების გადაწყვეტას შეუდგა, რომელიც ბოლომდე არ იყო მიყვანილი. იოუნმა ეინარი სვეინსტადირის სასამართლოში გამოიძახა, რომელსაც ლეგმადური გრიმურ იოუნსონი თავმჯდომარეობდა. რა იოუნი და გრიმური ადგილზე მივიდნენ, ტეიტური ოთხმოცი შეიარაღებული კაცით დახვდა მათ და გამოაცხადა, რომ არ სურდა ეთმინა არც სასამართლოში გამოძახებები და არც რაიმე განაჩენები და რომ იარაღს აალაპარაკებდა. მიუხედავად იმისა, რომ ლეგმადურმა ზავი დადო, ტეიტური თავს დაესხა მათ. მამა იოუნის რაზმიდან ათი კაცი დაიჭირა, ერთი კი გარდაიცვალა, რომელსაც აურტნი ბესასონი ერქვა. მოგვიანებით ტეიტურმა თქვა, რომ ამ შეტაკებასთან მას ხელი არ ჰქონია. მაგალითისათვის მოჰყავდა ის, რომ ბრძოლა სვეინსტადირის მიწაზე არ მომხდარა, სადაც ზავი იყო დადებული. ამის შემდეგ რწმუნებულმა იოუნ ფინბოგასონმა ტეიტური მაილიფეტლის სასამართლოში „ბოდიშის მოსახდელად და ცოდვების გამოსასყიდად“ გამოიძახა, მაგრამ ტეიტური არც კი გამოჩენილა და ამის გამო ეკლესიისაგან მოკვეთილ იქნა. შემდეგ იოუნ არასონის მიერ დანიშნულმა თორმეტეულმა ტეიტურს მიუსაჯა დავალიანება პროცენტებით დაეფარა ეინარის მთელი ფულის იმ ნახევრიდან, რომელიც 1517 წ. ჰოულარის ეკლესიისათვის განკუთვნეს. ამავე დროს ტეიტური არქიეპისკოპოსთან შესახვედრადაც გამოიძახეს, რამეთუ სვეინსტადირში მან არქიეპისკოპოსის მიერ იოუნ არასონისათვის გაცემული ხელშეუხებლობის სიგელი დაარღვია. ამ განაჩენისთვის ტეიტურს სხვა განაჩენებზე მეტად როდი უთხოვებია ყური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1523 წ. ალთინგზე ჰირდსტიოური ჰანეს ეგერტსონის მიერ შედგენილმა თორმეტეულმა ამ საქმეზე სულ სხვა გადაწყვეტილება გამოიტანა. ტეიტური მთლიანად გაამართლეს, რადგან დამტკიცებული არ იყო სვეინსტადირში მოხდა შეტაკება თუ არა. მთლად ნათელი არ არის იყო თუ არა რაიმე კავშირი ტეიტურის რეაბილიტაციასა და იმ ხანებში გრიმურ იოუნსონის მაგიერ მისი ლეგმაურად დანიშვნას შორის. სხვა მხრივ ტეიტური დიდი პატივით სარგებლობდა, რადგან ერთ-ერთი უმდიდრესი კაცი იყო.

სანამ იოუნ არასონი კურთხევის მისაღებად უცხოეთში გახლდათ წასული, ტეიტურის საქმე თიქმის სამი წლით გადაიდო. ტეიტურსა და ეგმუნდურს შორის კი ნაცნობობა მაშინ დაიწყო, როდესაც ეს უკანასკნელი ჩრდილოეთში ეპისკოპოსის ძალაუფლებას დაეპატრონა. ეგმუნდურმა ტეიტურს სთხოვა სიფრთხილე გამოეჩინა, განსხვავებული აზრები სიბრძნითა და თავაზიანობით გადაედო განზე და სვეინსტადირის სასამართლოს გადაწყვეტილება არ დაევიწყებინა. გაცნობის კვალად ტეიტურმა ეპისკოპოსს ბიარტნარნესის მიწები გადასცა, სანაცვლოდ კი ქვამსვეიტი და დალირის ცხრა მამული მიიღო.

როდესაც იოუნ არასონი კურთხევის მიღების შემდეგ შინ დაბრუნდა, ტეიტურის შეწყვეტილი საქმე ხელახლა ამოჩხრიკა. 1526 წლის აპრილში ისინი სკაგაფიორდურზე, გელდინგაჰოლტში შერიგდნენ. ტეიტურმა იოუნ ეპისკოპოსს რამდენიმე მამული და ამას გარდა მოძრავი ქონების კარგა გვარიანი ნაწილიც გადასცა. სვეინსტადირის საქმეებზე ტეიტური ახლა ყველა ბრალდების მიმართ „ბარი-ბარში" იყო გარდა აურტნი ბესასონის მკვლელობისა. ამის გამო დასავლეთ ფიორდების მეოთხედის* ყველა განსწავლულთა თუ განუსწავლელთა მისამართით დაწერილ წერილში ეგმუნდურ ეპისკოპოსმა გამოაცხადა, რომ თავის მფარველობაში იღებდა ტეიტურსა თუ მის ავლა-დიდებას და ყველას უკრძალავდა გამოეჩინა მის მიმართ აგრესია ან უკანონობა, „განსაკუთრებით კი მათ, ვინც საჯაროდ შეურიგდა მას". დიდი გამოცნობა არ ჭირდება იმას, რომ ეს წერილი იოუნ არასონისადმი გაფრთხილებაა. თავის თავს დააბრალოს თუ ტეიტურს საქმეს გაუჭირებენ. იმავე შემოდგომაზე თავისი დანაშაულის საბღაურად ეინარ იოუნსონმა იოუნ ეპისკოპოსს რამდენიმე მამული გადასცა, ხოლო ჰოულარის ეკლესიას თავისი და ცოლის მთელი ქონება ჩააბარა, რათა სიბერეში ერჩინათ იგი.

ტეიტურ თორლეივსონს ლეგმადურის თანამდებობის დატოვება მოუხდა, მის ადგლზე კი ჰოველი ჭრაპნ ბრანდსონი დანიშნეს, დიდად მდიდარი კაცი. აღრე იგი იოუნ ეპისკოპოსის ხელქვეითი იყო. სხვათა შორის, მაშინ, როცა იოუნი ეგმუნდურ ეპისკოპოსს ძლივს დაუსხლტა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხელიდან, ჰრაპნი ეკლესიიდან ოქრო-ვერცხლის გაპარებაში დაეხმარა*. ჰრაპნი იოუნ ეპისკოპოსის ასულ თოურუნზე დაქორწინდა. ასე რომ, როგორც მოსალოდნელია, ლეგმადურად იგი ეპისკოპოსის ხელშეწყობით უნდა იყოს დანიშნული.

1527 წლის იანვარში მოხდა მოულოდნელი რამ. ლეგმადურმა ჰრაპნმა ტეიტურ თორლეივსონი სკაგაფიორდურზე, სეილას სასამართლოზე გამოიძახა. ამ გამოძახებას ტეიტურმა ყურიც არ ათხოვა, მაგრამ იანვრის იმ დღეს საქმეს მუყაითად მოკიდეს ხელი. ლეგმადურის სასამართლო თავიდან დაიწყო. ტეიტური სვეინსტადირის ამბის მოთავეობასა და ზავდადებულის მკვლელობაში დაადანაშაულეს. ტეიტურის ქონების ნახევარი მეფეს მიაკუთვნეს, ნახევარი კი მემკვიდრეებს. აურტნის მამის სასარგებლოდ მკვლელობის ორმაგი საზღაური დაინიშნა. 1527 წლის შემოდგომაზე ჰრაპნი მეფესთან შესახვედრად ისლანდიიდან გაემგზავრა. მეფემ დაამტკიცა სეილას სასამართლოს განაჩენი, გარდა ამისა მისთვის განკუთვნილი ტეიტურის ქონების ნახევარიც ჰრაპნს მიჰყიდა. ერთი წლის შემდეგ იოუნ ეპისკოპოსის ვაჟმა არიმ და რეზიდენციის საქმეთა მმართველმა პიეტურ პაულსონმა მეფეს ქონების საფასური ჩაუტანეს, მგზავრობის ხარჯები კი იოუნ ეპისკოპოსმა თავისი ჯიბიდან გაიღო. ტეიტურის ქონების ის ნაწილი, რომელიც მისი მემკვიდრეებისათვის იყო განკუთვნილი, მეურვეობაში ჰრაპნს გადასცეს იმ დრომდე, ვიდრე მემკვიდრეები არ ჩაიბარებდნენ მას ან მეფე არ გასცემდა სხვა განკარგულებას.

მივუტეკოთ ფრიდრიქ I-ს, ის, რომ სეილას სასამართლოს განაჩენში ვერ გაერკვა და იგი მხოლოდ აურტნი ბესასონის მკვლელობას დაუკავშირა. ეს საქმეში მისი ჩაუხედაობით მოხდა. ტეიტურის შესახებ კი ის უნდა ითქვას, რომ მან გლოიმბაირი დატოვა და ქვამსვეიტში დასახლდა, სადაც 1537-39 წლამდე ანუ სიკვდილამდე ეგმუნდურ ეპისკოპოსის მფარველობაში დარჩა. მიუხედვად ეგმუნდურისა და ტეიტურის მრავალი ცდისა თავიდან წამოეწყოთ ეს საქმე, თავისი ქონება ამ უკანასკნელს აღარასოდეს მიუღია უკან.

ამ საქმეში ორი რამ იწვევს გაოცებას. პირველი ეს არის თვით იოუნ არასონი. სხვას ვერას იფიქრებს კაცი გარდა იმისა, რომ სეილას სასამართლოს განაჩენის ზურგსუკან ის იდგა და ამგვარად ზავის სულმდაბალ დამრღვევად იქცა. ეჭვგარეშეა, ამ საქმის ჩადენისაკენ ქონების მიღების იმედმა უბიძგა, მოგება ხომ კარგა გვარიანი იქნებოდა! მეორე კი ეს გახლავთ – ეგმუნდურ ეპისკოპოსის მონაწილეობა ან, უფრო, პასიურობა. ადრე ტეიტური თავის მფარველს ფრთის ქვეშ ჰყავდა შეფარებული, მაგრამ ჩანს არ მიუმართავს მთელი ძალისხმევისთვის, რათა ასე უღმერთოდ არ მოქცეოდნენ მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტეიტურის კარ-მიდამოს გლოიმბაირში ლეგმადური ჰრაპნი დაეპატრონა, მაგრამ დიდი ხნით არ დასცალდა გამარჯვება ეზეიმა ან სეილას განაჩენის ნაყოფით დამტკბარიყო. ერთი წლის შემდეგ, როდესაც გლოიმბაირში საქეიფოდ იჯდა, ერთ-ერთ თავის კაცთაგანზე მოუვიდა გული და ერთი ერთზე საბრძოლველად წააქეზა, იმ ბეჩავმაც ვეღარ გაუძლო ჰრაპნის წაქეზებას და სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა მას. ეს მოხდა იმავე ადგილზე, სადაც ერთი წლის წინ ჰრაპნს ტეიტურის განაჩენი წაეკითხა. ამბობენ სანამ ტეიტური გლოიმბაირს დატოვებდა და ცხენზე შეჯდებოდა, წყევლა წარმოთქვაო. ჰრაპნს ცოლთან ერთი ვაჟი ჰყავდა, მაგრამ იგი მთლად თოთო გარდაიცვალა. მაშინ ჰრაპნის მთელი ქონება იოუნ ეპისკოპოსისა და მისი ასულის თოურუნის ხელში გადავიდა. იგივე ბედი ეწია ტეიტურის ქონების იმ ნაწილს, რომელიც მისი მემკვიდრეებისთვის იყო განკუთვნილი. უპირველეს მემკვიდრეს, ჩანს, გამბედაობა არ ეყო მოეთხოვა თავისი წილი და ქონების ამ ნაწილმაც იოუნ ეპისკოპოსის გუდაში დაივანა. ამრიგად ტეიტურ თორლეივსონის მთელმა ქონებამ ერთ ადგილზე დაიყარა თავი. ეგმუნდურ ეპისკოპოსის გარდაცვალების შემდეგ იოუნ არასონმა პრეტენზია ბიარტნარნესის მიწებზეც წამოაყენა, რომელიც ტეიტურს გაეცვალა ეგმუნდურისთვის. იოუნი თვლიდა, რომ ასეთი გარიგების დადების უფლებამოსილება ტეიტურს არ ჰქონია, რადგან იმ დროისათვის იგი ეკლესიისაგან იყო მოკვეთილი. ამ საქმის შესახებ კი სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

იოუნ არასონის შვილები

აქ მოვიხსენიებთ ეპისკოპოს იოუნ არსონის შვილებსა და ჰელგა სიგურდარდოუჰტირს. იოუნ არასონს კარგი შვილები ჰყავდა და მათ, ვინც მოწიფულობას მიაღწია, დიდი პატივი მოიპოვეს. აქ, თავისთავად ცხადია, მამაც წაადგა, რომელიც შვილების ზურგის გასამაგრებლად არას იშურებდა რასაც პატივისკენ მიმავალ საფეხურებზე ნელ-ნელა აჰყავდა ისინი. ექვსნი იყვნენ და, იოუნ ეპისკოპოსისა არ იყოს, მათი დაბადების წლებიც წყვდიადითაა მოცული. ეპისკოპოსის შვილებს შორის უფროსი არი იყო. 1529 წ. ალთინგზე იგი ლეგმადურად აირჩიეს, არჩევა კი აი ასე მოხდა: იოუნ ეპისკოპოსის სიძე ლეგმადური ჰრაპნ ბრანდსონი 1527 წ. გარდაიცვალა. მისი მონაცვლე მეორე მაფხულისათვის უნდა აერჩიათ. თვით იოუნ ეპისკოპოსი ალთინგზე არ გამგზავრებულა, მაგრამ ლეგმადურებს წერილი მისწერა, სადაც მიუთითებს იმის უკიდურეს აუცილებლობაზე, რომ „ჩრდილო და დასავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეთ ისლანდიის ლეგმადურად აირჩიონ ერთი პატივდებული კაცი. ეპისკოპოსი ამბობს, რომ სურს „დაამტკიცონ ის, ვინც ხალხს საუკეთესო არჩევნად მიაჩნია, ვისაც აქვს საკუთარი კარ-მიდამო და ფული ჩრდილოელთა მეოთხედში. არც ისე გაუგებარია თუ ვის გულისხმობს ეპისკოპოსი, თვითონ კი, ჩანს, მეტ პატივად ჩაუთვლია რომ არ დასწრებოდა ლეგმადურის არჩევნებს. მაგრამ მოხდა ისე, რომ ალთინგზე დამსწრენი ორად გაიყვნენ. ჩრდილოელებმა არი აირჩიეს, მაგრამ დასავლეთ ფიორდელებმა, სამხრეთელებმა, ეგმუნდურ ეპისკოპოსმა და ლეგმადურმა ერლენდურ თორვარდსონმა კი სკაგასტრენდის სისლუმადური თორლეივურ პაულსონი. ჰირდსტიოური იოუჰან პიეტურსონს დაევალა ბიულეტენი მეფისთვის ჩაეტანა, რათა მას გადაეწყვიტა ეს საქმე, მაგრამ ისე მოხდა, რომ თორლეივურის საბუთებმა მეფემდე დროულად ვერ ჩააღწიეს და ამ თანამდებობაზე მან არი დანიშნა. აქედან ერთი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ. ფრედერიქ I-ის გულითადი მეგობარი ეპისკოპოსი იოუნ არასონი თავისი ვაჟის არჩევანს უმაგრებდა ზურგს და იმაზეც იზრუნა, რომ თორლეივურის საბუთები მეფეს გვიან ჩასვლოდა, როგორც უკვე მითითებული იქნა, ჰირდსტიოური ამ საქმეში იოუნ ეპისკოპოსს უჭერდა მხარს. როდესაც არი იოუნსონი* ლეგმადურად დანიშნეს, მოწინააღმდეგეები კიდევ ერთხელ შეეცადნენ მისი არჩევნისათვის ძალა დაეკარგვინებინათ. ამის შესახებ ერთი პერიოდი გაუთავებელი დავა იყო გამართული, მაგრამ უშედეგოდ. ლეგმადურად არი ზედიზედ თორმეტი წელიწადი იჯდა. მრავალმა წელმა ჩაიარა ვიდრე 1541 წ. არი იოუნსონი ლეგმადურის თანამდებობიდან გადადგებოდა და მის ადგილს თორლეივური დაიკავებდა.

ამბობენ ყმაწვილობისას არი ლეგმადურმა თავისი დროის კვალობაზე კარგი განათლება მიიღოო. ძმებისაგან განსხვავებით პასტორობას არასოდეს მოჰკიდებია ყურადღებით და ვაჟკაცობითაც პირველი იყო მათ შორის. მას აღწერენ, როგორც ლათინურის კარგ მცოდნეს, კანონებში ჩახედულს, უშურველსა და ყველაფერში ჰევდინგთა სადარს. ამიტომაც ლეგმადურის თანამდებობისათვის იგი ყველაზე შესაფერი აღმოჩნდა. შემორჩენილია 1531 წლის მისი რამდენიმე განაჩენი ჯამაგირის შესახებ ან უქონელთა, მათხოვართა, მოჯამაგირეთა, უმიწოთა და იმათ მიმართ, ვინც შვილებს ტოვებდნენ. ამ განაჩენებით იგი შეებრძოლა იმ საზიზღარ წესს, რომ ბოგანო ხალხი სოფელ-სოფელ დაიარებოდა და თავის თავს ერთ ძროხად ან უფრო იაფადაც აფასებდა. გადაწყდა, რომ ქვეყანაში აღარ უნდა ყოფილიყვნენ დღიური მუშები, რომელთაც მარჩენალი პირუტყვი არ ეყოლებოდათ. ამით სცადეს აღმოეფხვრათ სიზარმაცე, ქარაფშუტობა, უუნარობა და ის ჩვევები, რომ მეათედებისა* და ბეგარის გადახდის მაგიერ ხალხი ზიზილ-პიპი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოებს ყიდულობდა. ამ განაჩენებიდან ჩანს, რომ დუნიაზე შვილების სამათხოვროდ გაშვება გავრცელებული რამ იყო, თუნდაც ოჯახს ჰქონოდა მათი სარჩენი სახსრები. XVI ს-ში თევზჭერის გაზრდამ საზოგადოებაში ერთგვარი მოძრაობა გამოიწვია. სოფლელებმა მეთევზეთა დასახლებებს მიაშურეს რათა ზღვაზე ემუშავათ. ამიერიდან მათი ფინანსური მდგომარეობა მიწის სიმდიდრეზე აღარ იყო დამოკიდებული. ეს, რა თქმა უნდა, ეკონომიკის სასურველი განვითარება გახლდათ, ყოველ შემთხვევაში ჩვენი თანამედროვეობის გადასახედიდან, რომელსაც მეურნეობის დარგებში მრავალფეროვნება შეჰქონდა. მაგრამ არი იოუნსონი თუ XVI ს-ის სხვა დიდკაცები ამ საქმეს სხვაგვარად ჭვრეტდნენ და ცდილობდნენ დაემუხრუჭებინათ ეს განვითარება. სოფლებიდან რომ მუშახელი გადენილიყო, ამაღლდებოდა დღიური გასამრჯელო და ეს პირდაპირ შეეხებოდა მისსა და მიწისფლობელი გლეხების ინტერესებს. ეს განაჩენი ფაქტიურად კანონმდებლობის ტოლფასი იყო და ზღვისპირა დასახლებების ჩამოყალიბებას მრავალი საუკუნით გადაეღობა წინ.

თავის ვაჟს იოუნ ეპისკოპოსი დაოჯახებაშიც არანაკლებ დახმარებია. ცოლად არის მედრუვეტლირელი ჰალდოურა თორლეივსდოუჭტირი ჰყოლია, მედრუვეტლირელები კი ძლიერი და მდიდარი გვარის ხალხი იყო. არი იოუნსონი უბრწყინვალესი ჰევდინგი ყოფილა, სამართლიანი და უბრალოთათვის საყვარელი.

იოუნ ეპისკოპოსის მომდევნო ვაჟი იყო მაგნუსი. პასტორად იგი 1529 წ. ეკურთხა, თუმცა ოცდასამი წლისიც ძლივს იქნებოდა. ერთი წლის წინ კი მამამისს საპრობსტო* ჩაებარებინა მისთვის, თუმცა კურთხევის მიხედვით ჯერ მხოლოდ დიაკვანი იყო. მოგვიანებით მან გრენიადარსტადური ანუ ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო მრევლიც ჩაიბარა. ამ ადგილზე იგი არქიეპისკოპოსმა გაამწესა. მაგნუსს, ისევე როგორც იოუნ ეპისკოპოსის სხვა ვაჟებს, კარგი ქალი შეხვდა. მისი საყვარელი გახლდათ ჰლიდარენდელი ლეგმადურისა და ჰირდსტიიურის ვიგფუსის ასული. ამ ოჯახს კი მატერიალურად როდი უჭირდა. მაგნუსს დიდხანს არ დასცალდა სიცოცხლე. იგი 1534 წ. გარდაიცვალა.

იოუნ ეპისკოპოსის ასულს თოურუნი ერქვა. იოუნ ეპისკოპოსმა იგი თავისი ვაჟების თანასწორ მემკვიდრედ შერაცხა, ისე კი ქალიშვილებს მემკვიდრეობიდან ვაჟების წილის მხოლოდ ნახევარი ოდენობა თუ რჩებოდათ ხოლმე (ასე იყო ისლანდიაში XIX ს-მდე). სხვა მრავალთან ერთად ესეც ერთ-ერთი დადასტურებაა თუ როგორ უყვარდა ეს შვილი იოუნ ეპისკოპოსს. თოურუნ იოუნსდოუჭტირი სამჯერ იყო გათხოვილი და თავის სამივე ქმარზე მეტ ხანს იცოცხლა. პირველ ქმარზე ანუ ზემოთხსენებულ ლეგმადურ ჰრაპნი ბრანდსონზე იგი ბავშვობის

ასაკიდან სულ ახალი გამოსული დაქორწინდა. ქვრივობაში თოურუნს დიდხანს არ უცხოვრია. ჰრაპნის გარდაცვალებიდან რაღაც ხუთი წლის შემდეგ იგი გრუნდელ ისლეივურ სიგურდსონს მიათხოვეს. მათ შორის 1533 წ. დადებული საქორწინო გარიგების მიხედვით თუ ისლეივური უფრო ადრე გარდაიცვლებოდა ან კანონიერი შვილები არ ეყოლებოდათ, გრუნდად წოდებული კარ-მიდამო ქალს უნდა დარჩენოდა. სამაგიეროდ ისლეივურის პირდაპირი მემკვიდრეებისათვის თოურუნს კარ-მიდამოს საფასური უნდა გადაეხადა. მამულებისადმი იოუნ ეპისკოპოსის ტრფიალთან ეს წინასწარი თავდაზღვევა სრულ ჰარმონიაში გახლდათ. ისლეივურისა და თოურუნის ერთობლივი ცხოვრების შესახებ ურთიერთსაპირისპირო ამბები დადის. ზოგიერთები ყვებიან მათ შორის დაძაბული ურთიერთობა იყოო. ბავშვები არ ჰყოლიათ. თოურუნის შაირიც სწორედ სიტყვის ჩარტყმაა:

აგერ აქ, გრუნდში, ეიაფიორდურზე,
აი სწორედ ამ მშვენიერ ბაღში
ცხოვრობდა ერთი გლეხი,
რომელმაც ვერ გააკეთა ვერც ერთი ბავშვი.

ამბობენ, რომ ისლეივურს ასე უპასუხია:

— ყველაზე კარგად უფალი აკეთებს ბავშვებს, ჩემო ცოლო.

ლექსების თხზვის ნიჭი თოურუნს ნამდვილად თავისი ნათესავებისაგან ჰქონდა დაყოლილი. ისლეივური 1549 წ. გარაიცვალა. მათი საქორწინო გარიგება ძალაში მყოფად ცნეს და თოურუნი გრუნდის უშუალო მფლობელი გახდა. იქ ცხოვრობდა იგი მთელი თავისი სიცოცხლე.

თოურუნის მესამე ქმარი ქოტლაფიორდურელი თორსტეინ გუდმუნდსონი იყო, რომელსაც დიდი მუსუსის სახელი ჰქონდა გავარდნილი. მათ დიდად უყვარდათ ერთმანეთი და სიბერეში თოურუნი იტყვის:

— ჩემი ჰრაპნი უდიდესი ვაჟკაცი იყო, ისლეივური ჩაცმა-დახურვის უდიდესი მოყვარული, ჩემი თორსტეინი კი სიცოცხლის უდიდესი მოტრფიალე.

გრუნდელი თოურუნი ბევრ რამეში განსაკუთრებული და დიდი ნიჭით დაჯილდოვებული ქალი გახლდათ. რწმენის საკითხში კი იგი თავის საკუთარ გზას აღგა, თუმცა ქვეყანაში ახალი რჯული იყო შემოსული*. მტკიცედ შეინარჩუნა ძველი ჩვეები ანუ „გალობა, მღერა, ფსალმუნების კითხვა და ჯვრების გამოსახვა. მრავალთ აცდუნებდა და არკვევდა ამ ცრურწმენაში“, ეპისკოპოსთა თუ პასტორთა კიცხვას და შენიშვნებს კი არად აგდება. მამისა და ძმების გარდაცვალების ყოველ წლისთავზე ბოგანოთა განკითხვის ჩვევა მას კათოლიკურმა რწმენამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუტოვა მემკვიდრეობად. ნაციონალურ მუზეუმში ინახებოდა გრუნ-
დის ეკლესიის სავარძელი. იგი იმ ორი სავარძლის ცალია, რომელიც
თოურუნმა გრუნდის ეკლესიას აჩუქა, მეორეს კი დანიელთა ხელიდან
გამოხსნა არ ეღირსა, სადაც დღემდე ინახება ჯიდეც. თოურუნი გარდა-
იცვალა 1593 წ. ოთხმოცი წლის ასაკში.

იოუნ არასონის მესამე და ყველაზე უმცროსი ვაჟი სიგურდური
იყო. თვლიან, რომ მამის ენერგიულობა და ვაჟკაცობა ყველაზე ნაკ-
ლებად სიგურდურმა მიიღო. მიუხედავად ამისა ეპისკოპოსი შეეცადა
დიდებით შეემოსა იგი, მაგრამ დანარჩენი ვაჟების დარად მისთვის
კანონიერი შვილის უფლებები კი არ მიუნიჭებია, არამედ მამულები
გადასცა, რაც მემკვიდრეობას უნდა შენაცვლებოდა. თავისი გარდაცვ-
ლილი ძმის მაგნუსის შემდეგ გრენიადარსტადურის პასტორი სიგურ-
დური გახდა. თავის ვაჟს იოუნ ეპისკოპოსმა მრავალი საპასუხისმგებ-
ლო თანამდებობა ჩააბარა და ჰოულარის საქმეთა მმართველადაც
დანიშნა, რადგან სიგურდური იქ ყოველ დირე-კუნჭულს იცნობდა,
როგორც ეს მის მიერ შედგენილი ე.წ. სიგურდურის რეესტრიდან ჩანს.
მამის რწმუნებულებით აღჭურვილი იგი ორჯერ წარდგა მეფის აუდი-
ენციაზე. მეორეჯერ ეს იყო 1534 წ., როდესაც ფრედერიქ I-ის გარ-
დაცვალების ამბავი ჩამოვიდა ისლანდიაში. ეჭვს არ იწვევს, რომ სიგ-
ურდური მნიშვნელოვან დიპლომატიურ მისიას ასრულებდა იმ ორ-
ჭოფული მდგომარეობის გამო, რომელიც სკანდინავიაში ფრედერიქ I-
ის გარდაცვალებასთან დაკავშირებით წარმოიშვა. ნორვეგიის რიქს-
როდში ერთი ადგილი იოუნ ეპისკოპოსსაც ეკუთვნოდა და ამ ადგი-
ლის შევსება თავის ვაჟს სწორედ იმ დროს მიანდო, როდესაც რიქს-
როდი მეფის არჩევასთან დაკავშირებული სირთულის წინაშე დადგა.
ამ ვიზიტისას სიგურდურმა გრენიადარსტადური მიიღო, რომელიც დიდი
ხნის მანძილზე ქვეყნის საუკეთესო სამრევლოთა რიცხვში შედიოდა.
ზოგიერთის აზრით სიგურდურმა მამას ლეგატის* თანამდებობაც ჩამოუ-
ტანა, ყოველ შემთხვევაში ჰოულარის ეპარქიის ფარგლებში მაინც,
რადგან ამ დროისათვის, სანამ დანიაში გრაფის ომი[1] მძვინვარებდა,
აქაური ეპისკოპოსები ჰირდსტიოურის მოვალეობასაც ასრულებდნენ.
უფრო მოგვიანებით სიგურდური ქრისტიან III-საც შეხვდა, მაგრამ ამის
შესახებ ამ ნაშრომში მოგვიანებით იქნება საუბარი. მამამ და ძმებმა
სიგურდური რისხვის ქარ-ცეცხლში გაატარეს და იმ სიმხდალისა თუ
პასიურობისათვის გალანძღეს, რომელიც მან მათ მიერ წამოწყებულ
დიდ საქმეში გამოიჩინა.

სიგურდურმა საყვარლად სესილია გაიჩინა, რომელიც მდიდარი და
კეთილშობილი ხალხის შთამომავალი გახლდათ. თავის ძმებს შორის
სიგურდური ერთადერთი იყო, რომელმაც მამაზე მეტ ხანს იცოცხლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ლუთერანობისას დიდ პატივსაც მიაღწია.

აქ ჯერ არ გვიხსენებია ბიორტნ იოუნსონი, რომელსაც იოუნ არასონის შვილებში ისტორიკოსები ყველაზე ნაკლებ ყურადღებას უთმობენ. პასტორთა რიგებში ბიორტნი 1533 წლიდან იხსენიება. იმავე წელს მან საყვარლად სვალბარდელი იოუნ მაგნუსონის ქალიშვილი სტეინუნი გაიჩინა. ქალის ძმები XVI ს-ის მეორე ნახევრის უგანთქმულესი ხალხი იყო. აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ჰელგა, იოუნ ეპისკოპოსის ვაჟის არის ქალიშვილი, სტეინუნის ერთ-ერთი ძმის სისლუმადურისა და სკალდის* სტადარჰოულს-პაუტლის საყვარელი გახლდათ. მათი თანაცხოვრება იმდენად ცვალებადი ხასიათისა ყოფილა, რომ ხალხის ხსოვნასაც კი შემორჩენია. ვიდრე მათ შორის სიამტკბილობა სუფევდა, პაუტლმა ქალს მგზნებარე სასიყვარულო ლექსი დაუწერა:

ნორჩი ქალწული, მე რომ გიამბობთ,
შესახედავად მშვენიერია,
თითქოს სისხლი დაღვრილა თოვლზე
და თეთრი ვარდი ზედ დაჰფენია.
არც რას ვამეტებ,
ვერსად ვერ ვნახე
მასზე სალუქი ტურფა ფერია.

როდესაც მათი გაცნობის შემდეგ რამდენიმე ხანმა განვლო, კაცმა ფირფიტა გამოცვალა:

პატარა ჩიტუნას
პატარა ფილტვი აქვს,
და უფრო პატარა
ჭკუა დედაკაცს.

პასტორობის ადრეულ წლებში იოუნ ეპისკოპოსმა ბიორტნს მელსტადურის სამრევლო გადასცა მიდფიორდურში. სიკვდილის შემდეგ მეტოქეებისაგან ბიორტნს ავი ნეკროლოგები ერგო, მისი სიხარბისა და ეგოიზმის შესახებ კი მრავალი ამბავი თქმულა ხალხში. იგი მიწების სპეკულაციითა და საფინანსო საქმეებში თავისი აქტიურობის წყალობით გამდიდრებულა.

იოუნ არასონის ასული ჰელგა ცოლად ვინმე სტურა-დალურელ ეიოულვურ ეინარსონს გაჰყოლია. იოუნ ეპისკოპოსისა და ჰელგა სიგურდარდოუჰტირის დანარჩენმა შვილებმა კი მოწიფულობას ვერ მიაღწიეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არავითარი გაუგონარი ამბავი არ იყო ის, რომ სასულიერო თუ საერო ფენის დიდი ჰევდინგები თავისი შვილების აღზევებისათვის იღწვოდნენ. ამაზე უფრო თვალშისაცემი მაინც ის არის თუ რა დიდ ძალისხმევას მიმართავდა იოუნ ეპისკოპოსი, რათა მდიდარ და ძლიერ ჰევდინგებს დამოყვრებოდა. ამ საქმეში მართლაც მეტად თანმიმდევრული გახლდათ. ამ გზით გაიფართოვა სარბიელი, გააძლიერა საკუთარი ხელისუფლება და ის კავშირები, რომელიც მის ძალაუფლებას განამტკიცებდა. კათოლიკე ეპისკოპოსი, რომელიც ყველა გარემოებას თავის სასარგებლოდ იყენებდა, თავისი სახელმწიფოს ფაქტიური მეფე იყო.

კულტურის ქურუმი და სკალდი[1]

ცალკეულ ისლანდიელ დიდ პიროვნებებს, რომელთაც საკუთარი თანამედროვეობის მორევში უტრიალიათ და თავისი პერიოდის ამსახველ სურათზე გარკვეული ნაკვალევიც დატოვეს, ორი არსებობა ჰქონდათ ხოლმე, თუ ასე შეიძლება გამოითქვას. თავის თანამედროვეთა თვალში ბორგელი ეიტლ სკატლაგრიმსონი* ლომგულოვანი რაინდი იყო, რომელიც ვალში არავის რჩებოდა. იგი თავისი დროის უდიდესი სკალდიც გახლდათ, ხოლო რაც უფრო დრო გადის, მისი თვისებები უფრო და უფრო ფასდება. მისი უხეში გამომეტყველების მიღმა მგრძნობიარე გული ძგერდა.

სნორი სტურტლუსონი* ე.წ. სტურტლუნგთა საუკუნის* უდიდესი პიროვნება იყო, მაგრამ მისი თანამედროვეობის ისტორიიდან ვერ გამოვიტანთ იმ დასკვნას, თითქოს ხალხს დიდად ყვარებოდეს იგი, რამეთუ სნორის პოლიტიკის ბილიკი მეტად მოლიპული აღმოჩნდა. ისლანდიელთა მადლიერების გრძნობა ჩასახა არა მისი პოლიტიკის წარმატებამ და კეთილშობილებამ, არამედ იმ სულიერმა გმირობამ, რომელსაც იგი ამა წუთისოფლის საზრუნავისაგან თავისუფალ დროს ჩადიოდა ხოლმე. სნორის სამწერლობო მოღვაწეობის შესახებ სტურტლუნგა* ერთობ სიტყვაძვირობს, მაგრამ საუკუნეთა მსვლელობასთან ერთად თანდათან ნათლდებოდა შუქი მისი პოეზიისა და ისტორიოგრაფიისა, ვიდრე ხსოვნა პოლიტიკური ინტრიგანის შესახებ მთლად არ დაბლაგვდა.

ასეთ ადამიანებში ერთ მხრივ მიწიერი საქმიანობის და მეორე მხრივ საგანმანათლებლო მოღვაწეობის, პოეზიისა თუ მწერლობის ურთიერთფარდობითობა ყოველთვის გაწონასწორებული როდია. ჩვენთვის პოლიტიკოსი ჰანეს ჰავსტეინი უფრო ცნობილია, ვიდრე პოეტი ჰანეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰავსტეინი*. იგივე ითქმის იოუნ არასონზეც. ჩვენს შეგნებაში მისი ჰეჭდინგი მის პოეტზე უფრო მაღლა დგას. მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურის ისტორიას იოუნ არასონი ცაში არ აუტყორცნია და „ლილიას“* ავტორის ანდა ჰატლგრიმურ პიეტურსონის* დარად საპატიო სკამზე არ დაუსვამს, იგი უდავოდ თავისი თანამედროვეობის კულტურის უპირველესი ქურუმი და უდიდესი სკალდია.

როგორც უკვე აღინიშნა, იოუნ ეპისკოპოსს არ მიუღია უნივერსიტეტის განათლება, მაგრამ მისი ლიტერატურული მოღვაწეობა გვიჩვენებს, რომ თავისი დროის სულიერ მიმდინარეობებსა და მოძრაობებს კარგად უწყობდა ფეხს. ნორვეგიაში მას შეხება ჰქონდა მსოფლიო კულტურასთან. დანიასა და შვედეთში ამ დროს წიგნები იბეჭდებოდა. იოუნ არასონის გეგმების გრანდიოზულობაზე მეტყველებს ის, რომ ისლანდიაში ტიპოგრაფიის დაარსების საქმეს იგი თავისი ეპისკოპოსობის ადრეულ წლებშივე ჩაუდგა სათავეში. ამით მან თავისი ნათესავი ნორვეგიელები* რამდენადმე უკან ჩამოიტოვა, რადგან იმ დროის პოლიტიკურ პირქარებს ნორვეგიელთა სულიერი სიძაბუნე გამოეწვია. ასე რომ მათ აქვთ თავის სამართლებელი.

დანამდვილებით არ არის ცნობილი თუ როდის შემოიტანა იოუნ ეპისკოპოსმა სტამბა ისლანდიაში, თუმცა ესოდენ ღირშესანიშნავი მოვლენა არავის გამოპარვია. უმეტესობა იმ აზრს ემხრობა, რომ ეს 1530 წ. მოხდა, თუ ეს წელთაღრიცხვა სწორია, შეგვიძლია, ჩავთვალოთ, რომ სტამბა შეიძინა არი იოუნსონმა, როდესაც ლეგმადურად არჩევის შემდეგ ისლანდიიდან გაემგზავრა. აუცილებელია იმის მოხსენიებაც, რომ ზოგიერთი წყარო ისლანდიაში სტამბის ჩამოსვლას სიგურდურის 1534 წლის მოგზაურობას უკავშირებს. იოუნ ეპისკოპოსმა ერთი შვედი ტიპოგრაფი აიყვანა, სახელად იან მათიასონი, რომელიც ხშირად იოუნ შვედად იხსენიება. კურთხევის მიხედვით იგი პასტორი იყო და დიდად განათლებული კაცის სახელიც ჰქონდა. იმ წერილებს, რომელთა შედგენაც იოუნ ეპისკოპოსს განსაკუთრებით ნამუსიანად სურდა, ლათინურად სწორედ ამ კაცს ათარგმნინებდა ხოლმე. ასეთი წერილია მაგალითად მამა გისლი იოუნსონის (შემდგომ ეპისკოპოსის) ხატზე გადაცემის წერილი. სტამბა თავდაპირველად ჰოულარში გამართეს, მაგრამ როდესაც 1535 წ. იოუნ შვედი ბრეიდაბოულსტადირის პასტორი გახდა, სტამბამაც მასთან ერთად გადაინაცვლა.

იოუნ შვედის სტამბაში დაბეჭდილი პირველი წიგნი, რამდენადაც ცნობილია, ბრევიარიუმი გახლავთ. ეს წიგნი ლათინურ ენაზე იყო და პასტორთა სახელმძღვანელოს წარმოადგენდა. რეფომრატორთა ხელში ამ წიგნის ეგზემპლარების რიცხვი მეტად შემცირდა, რადგან მათთვის სხვა რამ უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე კათოლიკეთა მიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწერილი და „არაქრისტიანული“ ცერემონიებისთვის განკუთვნილ თხზულებათა შენახვა. სიგურდურის რეესტრის მიხედვით იოუნ ეპისკოპოსის გარდაცვალების პერიოდში არსებობდა ბრევიარიუმის ჩვიდმეტი ეგზემპლარი, ცხრამეტი წლის შემდეგ კი ეს რიცხვი ორამდე დავიდა. ისლანდიური ტიპოგრაფიის პირველი პირმშოს ბოლო ეგზემპლარს კი ის ბედი ეწია, რომ აურტნი მაგნუსონის * მფლობელობაში გადავიდა და ქოპენჰაგენის 1728 წლის დიდი ხანძრის მსხვერპლი შეიქმნა. რამდენიმე წლის წინ კი სტოკჰოლმის სამეფო ბიბლიოთეკაში „ბრევიარიუმის“ ორი ფურცელი იპოვნეს. ასეთია მრავალი ისლანდიური წიგნის ისტორია, მარგოდენ ნახევები და ნაწილები დასხლტომიან დროთა ეშვებს.

მეორე წიგნი, რომლის შესახებაც გვაქვს მყარი მტკიცებულებები, რომ ისიც იოუნ არასონის სტამბაშია დაბეჭდილი, გახლავთ „ოთხი ევანგელისტი“. ეს იყო ისლანდიური თარგმანი, რომელიც იოუნ ეპისკოპოსმა შეასრულებინა სახარებიდან. მისმა ბოლო ეგზემპლარმა ეპისკოპოს ბრინიოულვურ სვეინსონის კუბოში დაივანა. ბრინიოულვური იოუნ არასონის შთამომავალი იყო და იზრუნა იმაზე, რომ ეს იშვიათი განძი საიმედო საცავში მოხვედრილიყო.

იქნებ მცდარ ნაამბობად ჩავთვალოთ ის, რომ კათოლიკე ეპისკოპოსი საღვთო წერილის ისლანდიურად თარგმნას უწყობდა ხელს, მაგრამ გავიხსენოთ თუ არა ეროვნული ფორმა შეიძინა ჰუმანიზმმა ჩრდილოეთ ევროპაში. ამის მაგალითად უკვე ვახსენეთ, რომ როსტოკის უნივერსიტეტში, სადაც არქიეპისკოპოსმა ულავ ენგილბრიქტსონმა მიიღო განათლება, საპატიო ადგილი გერმანულ ენას ეკავა და ლათინურ ნაწარმოებებსაც მშობლიურ ენაზე თარგმნიდნენ. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ იოუნ ეპისკოპოსმა ამ საქმესაც მოჰკიდა ხელი. არქიეპისკოპოსთან ნაცნობობისას მან მისაბაძი მაგალითიც მიიღო და მხედველობაში უნდა გვქონდეს ისიც, რომ წინაპართა ენისადმი ტრფიალს იოუნ ეპისკოპოსი თავის მრავალ ლექსსა თუ შაირშიც ამჟღავნებს. იმის გამო, რომ ბიბლიის იოუნ ეპისკოპოსისეული თარგმანი დღეისთვის დაკარგულია, არ ვიცით რამდენად შეიძლება იგი მომდევნო თარგმანის საყრდენი ყოფილიყო. ოდურ გოჰტსკაულქსონმა, რომელსაც მოგვიანებით ვახსენებთ, ახალი აღთქმა ისლანდიურად ეპისკოპოს ეგმუნდურ პაულსონის კეთილი შეწევნით თარგმნა. ეს თარგმანი როსკილეში 1540 წ. დაიბეჭდა. ბუნებრივი მიზეზების გამო თავისი თარგმანით ოდურმა ვერ დაიმკვიდრა ადგილი იოუნ არასონის გულში. ოდურს ხომ ლუთერანობა ჰქონდა მიღებული. მაგრამ რა სასიამოვნო იქნებოდა გვცოდნოდა თუ რამდენად დაეყრდნო იგი იოუნ ეპისკოპოსისეულ თარგმანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედი იმ დანარჩენი წიგნებისა, რომელიც იოუნ ეპისკოპოსმა ტაბ-ბეჭდინა, საიდუმლოებითაა მოცული, მაგრამ მისი ლიტერატურული მოღვაწეობის მნიშვნელობა არ შეიძლება რაიმე ეჭვქვეშ იქნას დაყენებული. იოუნ არასონის სტამბამ ეპისკოპოს გუდბრანდურ თორლაუქსონამდე იარსება და შესაძლოა ამ უკანასკნელის მიერ გაჩაღებული აქტიური საგამომცემლო საქმიანობის თავი და თავიც ყოფილიყო.

დიდხანს ითვლებოდა, რომ ისლანდიური ლიტერატურის ისტორიაში ე.წ. შუა საუკუნე ანუ 1350-1550 წ.წ. და, ასე გასინჯეთ, მთელი პერიოდი XVIII ს-მდეც კი სხვა არა იყო რა თუ არა მოხრიოკებული სულიერი უდაბნო, სადაც ღერი ბალახიც კი არ მოიძებნებოდა გარდა ისეთი ოაზისებისა, როგორიცაა „ლილია“ და ჰატლგრიმურ პიეტურსონის „ვნების ფსალმუნები“. უმრავლესობის აზრით XV-XIX საუკუნეთა პერიოდის პოეზიაში ანუ, როდესაც ძველი ისტორიოგრაფია ჩაკვდა და შემდეგ რომანტიკოსმა აღმაშენებლებმა ძაფის ბოლოს მოჰკიდეს ხელი, აღნიშვნის ღირსი მხოლოდ რიმები* იყო. მაგრამ აი, ხალხის პოზიცია შეიცვლა. ლექსებისა თუ სხვა ნაწარმოებების გამოცემათა წყალობით ადამიანების თვალწინ გადაიხსნა ლიტერატურის ის სამყარო, რომელიც აღრე წყვდიადით იყო მოცული. იმავდროულად გამოირკვა, რომ კავშირი ძველსა და ახალ ისლანდიურ ლიტერატურას შორის არასოდეს დარღვეულა და რომ არასოდეს დაწერილა იმაზე მეტი და ზოგჯერ უკეთესიც კი, ვიდრე ამ პერიოდში დაიწერა.

რეფორმაციამდე აყვავებული იყო ლიტერატურის ის განშტოება, რომელსაც ღვთაებრივი ლექსები ეწოდებოდა. მათი უმრავლესობა მიძღვნილი იყო ღვთისმშობელი მარიამის ან კათოლიკე წმინდანების ე.ი. იმ ადამიანებისადმი, რომელნიც სიკვდილის შემდეგ შერაცხეს წმინდანებად. რეფორმაციასთან ერთად დაიწყო ფსალმუნების თხზვა. ღვთაებრივი ლექსებისაგან ფსალმუნები განსაკუთრებით იმით განსხვავდებოდნენ, რომ პოეტი უშუალოდ უფალს ან მის ძეს იესო ქრისტეს მიმართავდა, როცა ღვთაებრივ ლექსებში უფალსა და ადამიანის შუამავლებს (წმინდანებს და ღვთისმშობელს) ასხამდნენ ხოტბას.

იოუნ არასონი ღვთაებრივი ლექსების ერთ-ერთი უკანასკნელი ისლანდიელი ავტორია. მას მიაწერენ ხუთ ღვთაებრივ ლექსს, ჯამში 198 სტროფს.

ბრაუნის ომი და რეფორმაცია სკანდინავიაში

XVI ს-ის პირველ ნახევარში ევროპა ერთ დიდ საბრძოლო ველს წარმოადგენდა. ბრძოლა მიმდინარეობდა სარწმუნოებისთვისაც და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალაუფლებისთვისაც. დიდი ხალხები ერთმანეთს ებრძოდნენ, მცირენი კი ამ ბრძოლაში ძალით ჩათრეულნი აღმოჩნდნენ. ესპანეთი და საფრანგეთი იტალიაში ბატონობას ეცილებოდნენ ერთმანეთს. ჩრდილოეთ ევროპაში ომობდნენ ერთ მხარეზე საფრანგეთი, მეორეზე კი ავსტრია და ჰოლანდია. ეს უკანასკნელი და ესპანეთი იმპერატორ ქარლ V-ს უხრიდნენ ქედს. ინგლისი ცდილობდა იმპერიებს შორის ეშუამავლა, მაგრამ კინაღამ გერმანიის იმპერატორს არ შეეჯახა იმ ახალი სარწმუნოების გამო, რომელმაც ორად გახლიჩა გერმანია. საფრანგეთის მეფე ფრანსუა I-ს* მხარდაჭერა ან გერმანელ პროტესტანტებთან უნდა ეძებნა ან სულეიმან I-თან*, რომელიც დიდი ხანია ევროპას აღმოსავლეთიღან ექადნებოდა. ასეთი გახლდათ კონტინენტის პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც ვინ იცის რა ფორმებში შეიძლებოდა გადაზრდილიყო.

ჩრდილოეთ გერმანიის მოვლენათა განვითარებას ყველაზე დიდი მნიშვნელობა, თავისთავად ცხადია, სკანდინავიისთვის ჰქონდა. გერმანიის ამ ნაწილში ლუთერანობა იყო შემოღებული, რაც მღელვარებათა სათავე გახლდათ. დიდთავადები ლუთერანიზმს თავის სამფლობელოთა დამოუკიდებლობისა და ძალაუფლებებისათვის იყენებდნენ. ამ წიგნში უკვე აღწერილ იქნა თუ როგორ ხდებოდა ეს. გერმანელი პროტესტანტები მხარდაჭერას ფრანგებთან, ინგლისელებთან და დანიელებთან ეძებდნენ. 1532 წლის დასაწყისში ლუთერან დიდთავადებსა და ფრედერიქ I-ს შორის მოლაპარაკება გაიმართა. ამ კავშირით კმაყოფილი ფრედერიქ I დევნილ ქრისტიან II-თან ბრძოლაში ხელებს იფშვნეტდა. ამრიგად დანია და ნორვეგია, მიუხედავად იმისა, რომ პროტესტანტებს იქ საბოლოო გამარჯვება ჰქონდათ მოპოვებული, რელიგიურ ომში ჩაებნენ. ფინალი კი წინა თავებში იქნა მოთხრობილი ანუ ქრისტიან II-ის ნორვეგიაში შეჭრა და ფრედერიქ I-ის უეცარი გარდაცვალება.

ფრედერიქ I-ის გარდაცვალებისთანავე დანიაში დიდი არეულობა დაიწყო. არავითარი ურთიერთთანხმობა არ არსებობდა მეფის არჩევის შესახებ და სხვადასხვა ძალები ერთმანეთს შეერკინნენ. დანიის რიქსროდი შუაზე გაიხლიჩა. ფრედერიქ I-ის ვაჟი ქრისტიანი თავგადაკლული პროტესტანტი გახლდათ, ასე რომ მისი გამეფება ეკლესიას დიდად არ ეხალისებოდა. ქრისტიანის ძმა კი, პრინცი ჰანსი, იმდენად ახალგაზრდა იყო, რომ მის გარშემო ვერავინ გაერთიანდებოდა. მაგრამ ჰერცოგ ქრისტიანს მიპატიჟებისთვის როდი უცდია. ფეოდალთა დახმარებით მან ორივე საჰერცოგოს ძალაუფლება აიღო ხელში. საყურადღებოა ფეოდალთა აღმასვლა დანიაში, როცა სხვა ქვეყნებში მათი ძალაუფლება უკვე შესუსტებას იწყებდა. ეკლესიის ზოგიერთმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიდერმა ამ მდგომარეობის თავის სასარგებლოდ გამოყენება მოიწადინა. აი, არენაზე კიდევ ერთი მხარე გამოვიდა. ეს იყო ჰანზას კავშირის წევრი ქალაქი ლიუბეკი, სადაც თვით მოქალაქეთა დახმარებით გამარჯვება პროტესტანტებს ჰქონდათ მოპოვებული. ლიუბეკმა დანიელ ბიურგერთა* რამდენიმე წინამძღოლთან კოალიციაში შეკრა და მეთაურად ოლდენბურგელი* გრაფი ქრისტოფერი აირჩია. ამის გამო სამოქალაქო ომმა, რომელიც 1534 წ. დაიწყო, გრაფის ომის სახელი მიიღო. ეს ახალი კოალიცია მთელ ძალისხმევას ქრისტიან II-ის განთავისუფლებასა და მეფობის აღორძინებას ახმარდა, მაგრამ ჰერცოგ ქრისტიანთან ბევრს ვერას გახდა, რომლის ზურგსუკან მალე მთელი ფეოდალობა დადგა. 1534 წლის 4 ივლისს იუტლანდელმა და ცოტა მოგვიანებით ფიუნელმა* ფეოდალებმა ქრისტიანი მეფედ აირჩიეს. ქრისტოფერსა და ბიურგერებს მთავარი მხარდაჭერა ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში ჰქონდათ, სადაც ერთი წლის განმავლობაში გააფთრებითაც იბრძოდნენ. მიუხედავად ამისა 1535 წლისთვის, ქოპენჰაგენის გამოკლებით, ჰერცოგმა მთელი ქვეყანა თავის ხელისუფლებას დაუქვემდებარა, ერთი წლის შემდეგ კი ტრიუმფით შევიდა დედაქალაქში. ახალ მეფეს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი მოეშთო თავისი მოქიშპეებიცა და კათოლიკური სარწმუნოებაც. ჯერ ნახევარი თვეც არ იყო გასული, რაც იგი მთელი დანიის მართვას შეუდგა, რომ ქვეყნის ყველა ეპისკოპოსი შეაპყრობინა და საგუსაღოში ჩააყრევინა. ამ დროიდან ეკლესიას ყოველგვარი მმართველობა ჩამოერთვა, როგორც საერო, ისე სასულიერო საქმეებში. ეკლესიის უმაღლესი ხელისუფალი თვით მეფე გახდა, ეპისკოპოსებს კი სუპერინტენდენტები (მმართველები) ეწოდათ. იმავე წელს ქოპენჰაგენში თავად-აზნაურთა ყრილობამ გამოაცხადა, რომ ამ ომიანობისთვის პასუხისმგებლობა მხოლოდ ქვეყნის ეპისკოპოსებს ეკისრებოდათ და დააკანონა, რომ ამ უკანასკნელთ საზღაურად ეკლესიის მთელი ქონება უნდა გადაეხადათ. მეფის მიერ ეკლესიის ქონების ხელში ჩაგდება ანალოგია იყო იმისა, რაც სხვა ქვეყნებში რეფორმაციის გატარებისას ხდებოდა. მეფის ხელისუფლება ეკლესიის ხარჯზე იზრდებოდა. სანამ მეფის ინსტიტუტი დანიაში არჩევითი იყო, რიქსროდი ადგენდა აღთქმის სიგელს, რომლისთვისაც არჩევის წინ მეფეს ხელი უნდა მოეწერა. ახლა კი ყოველივე პირუკუ შებრუნდა. ამიერიდან მეფეს უნდა წამოეყენებინა პირობები. ფრედერიქ I-ის ვაჟის ქრისტიანის აღთქმის სიგელი მეფესა და თავად-აზნაურობას შორის შუამავლობის საკითხსაც შეიცავდა. ამიერიდან ყოველი მეფე თავისი ცოცხალი წინამორბედის მიერ უნდა ყოფილიყო არჩეული. მასვე უნდა გამოეყო ფეოდალთათვის ლენები. მეფემ და თავად-აზნაურობამ ერთმანეთს გაუმაგრეს მხარი, მოქალაქეები

ქართული ბიბლიოთეკა

და გლეხები კი პირშიჩალაგამოვლებული დატოვეს. ნორვეგია დანიის განუყოფელ ნაწილად იქცა, ნორვეგიის რიქსროდი გაუქმდა, მისი მოხარკე ქვეყნები კი უშუალოდ დანიის გვირგვინს დაემორჩილნენ და დანიის მეფე ნორვეგიის შუამავლობის გარეშე ისლანდიის მეფეც გახდა.

ახლა ისტორიას ნორვეგიაში გადავყავართ. გრაფის ომის დამთავრებისთანავე ქრისტიან III-მ სცადა ბადეში გაება ნორვეგიელები და დიდ წარმატებებსაც მიაღწია. 1535 წლის გაზაფხულზე არქიეპისკოპოსმა ულავ ენგილბრიქტსონმა რიქსროდი მოიწვია, მაგრამ საბჭოს წევრთა უმრავლესობამ გამოითქვა აზრი, რომ საამისოდ ნაკლებად იყვნენ მომზადებულნი და ნამდვილი მიზეზის დაფარვას უცნაური მობოდიშებებით შეეცადნენ. მიზეზი ის გახლდათ, რომ ისინი აღარ იდგნენ თავისი წინამძღოლის ზურგსუკან. რიქსროდის გარკვეული ნაწილი ქრისტიან III-ს მიემხრო, ისიც ყოველნაირად ცდილობდა იგივე აეძულებინა არქიეპისკოპოსისა და საბჭოს დანარჩენი წევრებისთვისაც. ულავ ენგილბრიქტსონი შეეცადა გაეჭიანურებინა ეს საკითხი, რადგან თვალწინ იმედის ახალი ნაპერწკალი აუკიაფდა. ქრისტიან II-ის ასული დოროთეა კათოლიკე თავადს მისთხოვდა. 1535 წლის შემოდგომაზე იმპერატორმა (ქარლ V. მთარგმ.) ამ თავადს თავისი მხარდაჭერა აღუთქვა თუკი იგი ქრისტიან II-ის სამეფოს ძალაუფლების ხელში ჩაგდებას შეეცდებოდა. ულავ ენგილბრიქტსონმა სასწრაფო გადაწყვეტილება მიიღო და რიქსროდის რამდენიმე წევრი თავის სამსჯავროზე გამოიძახა. ყველა, ვისაც კი იგი ნორვეგიის ინტერესების გამყიდველად თვლიდა, დააპატიმრებინა, ხოლო მისი ორი უდიდესი მეტოქე სიკვდილით დასაჯეს. ეს მოხდა 1536 წლის დასაწყისში.

რა არქიეპისკოპოსმა დანიელ ეპისკოპოსთა შეპყრობის ამბავი შეიტყო და დახმარება არც იმპერატორისგან მიუღია, მიხვდა რა ბედიც ელოდა ნორვეგიას. მანვე წამოიწყო აჯანყება დანიელ თავადაზნაურთა წინააღმდეგ, მაგრამ თამაში წინდაწინ იყო წაგებული. არქიეპისკოპოსის აჯანყების ჩასაქრობად ქრისტიან III-მ ნორვეგიაში ჯარი გაგზავნა. ულავ ენგილბრიქტსონს აღარ დაუხანებია და ჰოლანდიაში გაიქცა, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1538 წელს.

ძველისა და ახლის შესაყარზე – ეგმუნდურ პაულსონი და რეფორმატორები

1536 წ. ქრისტიან III-ის მიერ ხელისუფლების ხელში აღებითა და დანიელ ეპისკოპოსთა დატყვევებით რეფორმაციამ საბოლოოდ გაიკაფა გზა დანიასა და ნორვეგიაში. რამდენიმე წელიწადში ლუთერანიზმმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ ნამდვილი მხარდაჭერა ჰპოვა, რადგან ამ მოძღვრების გავრცელებას ფრედერიქ I პასიურად შეჰყურებდა.* მისი მმართველობის წლებში ლუთერანიზმმა აქ ძლიერი ფესვების გადგმა იწყო.

სხვაგვარად იდგა საქმე ისლანდიაში. ვერ ვიტყვით თითქოს 1530 წლამდე ამ ახალ მოძღვრებას აქ არავინ აღეფრთოვანებინოს. ბუნებრივია ინფორმაცია მის შესახებ ისლანდიამდე უფრო ადრეც მოაღწევდა. მრავალთა შეფასებით ამ მოძღვრებას ბევრი კარგი თვისება ჰქონდა, რაც მის საპირისპროდ წარმოაჩენდა კათოლიციზმს. ეკლესიის მეთაურთა სიხარბის გამო ხალხს მრავალი შავი დღის გადატანა უხდებოდა და გარდაქმნების გამო ბევრს დიდად არ უნაღვლია. მეორე მხრივ ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ლუთერის რელიგიურ ვნებათა ღელვანი აქ გადმონერგილი იყო და არც ცეცხლი წაუკიდებია ქვეყნისათვის. მიუხედავად იმისა, რომ თავის შესანარჩუნებლად და გასაძლიერებლად ეკლესია აქაც იგივე ხერხებს ხმარობდა, რასაც სხვა ქვეყნებში, და არასოდეს ყოფილა პოპულარული (აქ მხედველობაში გვაქვს ინდულგენციებით ვაჭრობა, შეჩვენება, მიწების დატაცება და ა.შ.), აჯანყების იდეა ისლანდიაში სრულიად უცხო იყო.

ეპისკოპოს იოუნ არასონის დროს ჰოულარის საეპისკოპოსოში კვალიც არ მოიძებნებოდა ახალი რელიგიური მოძრაობისა, თუმცა გამონაკლისი იყო მისი ერთ-ერთი პასტორთაგანი ოულავურ ჰიალტასონი.

ამ დროს სკაულჰოლტის საეპისკოპოსო ის ყანა იყო, სადაც ახალი თესლი ჯირჯვდებოდა, თვით რეზიდენცია კი მჭიდროკვლებიანი ბოსტანი გახლდათ. ეს, რა თქმა უნდა, იმას უნდა დავაბრალოთ, რომ ეგმუნდურ ეპისკოპოსი ამ დროისთვის უკვე დაბერებულ-დაჩაჩანაკებული იყო სიმსივნის ჩაქრობა მისი გაჩენისთავანე აღარ ძალუძდა. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მას სრული გავლენა არ ჰქონდა ადამიანებზე. ამიტომაც მრავალნი დიდად არ უფრთხოდნენ თავზე გადახტომოდნენ მას თუკი ასე ეპრიანებოდათ. სხვაგვარად ჰქონდა საქმე დაყენებული იოუნ არასონს. თავის საეპისკოპოსოში იგი ყველას უყვარდა. ადამიანებს არც სურდათ და ვერც ბედავდნენ მის ზურგსუკან ემოქმედათ, რაც მას დიდად არ ეჭაშნიკებოდა. საჭირო ა ვთქვათ ისიც, რომ წყაროები ჰოულარის ამ პერიოდის შესახებ გაცილებით შეულამაზებელია, ვიდრე სხვა დროს.

ბევრი ჩაძიებულა თუ რა გზებით შემოვიდა ლუთერანობა ისლანდიაში. აქ მხედველობაში მხოლოდ ერთი გზა როდია მისაღები. ყველაზე ადრე, თავისთავად ცხადია, რეფორმატორთა წიგნებმა შემოაღწიეს. ზოგიერთი ისლანდიელი უცხოეთში იღებდა განათლებას და ახალი მოძღვრებისაგან ვალში როდი დარჩენილა, რამდენიმე მათგანი ხომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათი ზედამხვედველობის ქვეშ სწავლობდა, ვინც ლუთერანიზმს უჭერ-
და მხარს. გარდა ამისა ახალი ამბები აქ ისლანდიელ მოგზაურებსაც
ჩამოჰქონდათ. ცნობილია, რომ ზოგიერთი უცხოელი ვაჭარი, რომელ-
იც ისლანდიასთან ვაჭრობას მისდევდა, ლუთერანი იყო. 1536-37 წწ.
ჰამბურგელებმა ეკლესია ააგეს ჰაპნარფიორდურში და მათი ოთხი
პასტორის სახელიც კი ვიცით. როგორც ჩანს, ის პასტორები ლუთერ-
ანები უნდა ყოფილიყვნენ, რადგან ამ დროისთვის ჰამბურგი უკვე
ლუთერანული ქალაქი იყო. შემორჩენილია ეგმუნდურ ეპისკოპოსის
მიერ სტავანგერის* ეპისკოპოსისადმი მიწერილი წერილი, სადაც იგი
მიუთითებს, რომ უცხოელმა მისიონერებმა ისლანდიასაც მიაგნეს.
რამდენიმე მათგანი, ვინც აქ შემდგომ რეფორმაციის მამამთავარი
გახდა, ლუთერის მოძღვრებით უცხოეთშივე იყო დაავადებული. ზოგი-
ერთმა მათგანმა შეძლო დაეფარა თავისი განწყობილება ხანდაზმული
ეპისკოპოსისგან. მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელმა მათი
განდგომა შეიტყო და კარგადაც გაჯორა ისინი, ბოლოს მაინც უკან
მიიღო და შეირიგა.

პირველი, ვისაც ლუთერანობის მომხრედ ასახელებენ, გახლავთ
ოდდელი მამა იოუნ ეინარსონი. რეფორმაციის დამკვიდრების შემდეგ
წამოტივტივდა ერთი ისტორია თითქოს მამა იოუნს თავისი შეცვლილი
შეხედულებები სკაულჰოლტში სიტყვით გამოსვლისას გამოემჟღავნები-
ნოს. წმინდანად შერაცხულთა თაყვანისცემა კერპთაყვანისმცემლობა
და უწმინდურებაა, უთქვამს მას. ისტორია ყვება, რომ ამ
საქციელისთვის ეგმუნდურ ეპისკოპოსს ზურგი აუწვავს იოუნისთვის.
იმ დროს, როდესაც 1534 წ. კურთხევამიღებული ეპისკოპოსი შინ დაბ-
რუნდა, ისლანდიაში ჩამოვიდნენ გისურ ეინარსონი და ოდდურ
გოჰტსკაულქსონი. ისინი ლუთერანობას ემხრობოდნენ.

გისურზე ამბობენ, რომ ეგმუნდურ ეპისკოპოსისაგან დიდად დავალე-
ბული ყოფილა. ეპისკოპოსს გაცნობისთანავე მეტად მოსწონებია იგი,
1531 წ. სასწავლებლად ჰამბურგში გააგზავნა და დააფინანსა კიდეც.
მალე გისურის გერგილიანობის შესახებ ყველამ გაიგო და კარგი სახ-
ელიც მოიპოვა. გერმანიაში იგი ლუთერანიზმს გაეცნო. სულ მალე,
ჩამოსვლის შემდეგ, სარწმუნოების საკითხებში ეპისკოპოსმა გისურს
მერყეობა შეამჩნია. ეპისკოპოსს იგი ერთი პერიოდი გაგდებულიც
ჰყავდა სკაულჰოლტიდან, შემდეგ კი, ჩანს, ისევ შემოირიგა, რადგან
გისური ამ ადგილზე 1536 წ. იხსენიება.

ოდღურ გოჰტსკაულქსონი ეპისკოპოს გოტშალქ ნილსენის ვაჟი იყო.
განათლება მან უცხოეთში მიიღო და მალე, დაახლოებით 1534 წლის
შემდეგ, ეგმუნდურ ეპისკოპოსის სამსახურში შევიდა. ეტყობა იგი უკვე
ლუთერანობისკენ იყო მიქცეული, რადგან მომდევნო წლებში ახალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღთქმა ისლანდიურად თარგმნა, რომელიც, როგორც უკვე თქვა, 1540 წ. ჰროუარსკელდაში გამოვიდა. ოდდურის მთარგმნელობითი საქმიანობის შესახებ ერთი ძველი წყარო ასე მოგვითხრობს: „ოდდურ ეიოულვსონს (ერთ-ერთი პასტორი. მთარგმ.) საკუთარი სახლები ჰქონდა... ისინი (ე.ი. ორივე ოდდური. მთარგმ.) იქ მთელი დღეები მარტონი იყვნენ, ზოგჯერ კი განსვენებული ოდდურ გოჰტსკაულქსონი ბოსელში იჯდა ხოლმე, სადაც ერთი კუთხე ჰქონდა მიხუხულავებული. თავს ყველას ისე აჩვენებდა, თითქოს ძველ წიგნებს კითხულობდა და ეპისკოპოსთა განკარგულებებს იწერდა, რასაც ყველა მომსვლელსაც დაანახებდა ხოლმე. სხვას კი არავინ არაფერს უწყოდა. მან მათეს სახარების თარგმნას მოჰკიდა ხელი. ამბობდა, იესო, ჩვენი მხსნელი, საჯინიბოში დაიბადა, მე კი მისი სიტყვის თარგმნას თუ ბოსელში დავიწყებ, არაფერი მოხდებაო... მალე მას ქაღალდი გაუთავდა და დახმარება ეპისკოპოსს სთხოვა. რას წერო, ჰკითხა ეპისკოპოსმა. ეპისკოპოსთა განკარგულებებს და ძველ საეკლესიო კანონებს ვიწერო, მიუგო ოდდურმა. მიიღებ შენს ქაღალდსო, თქვა ეპისკოპოსმა და ასე დაასრულა ოდდურმა მათეს სახარება.“

ოდდურ გოჰტსკაულქსონი ის ისლანდიელი რეფორმატორია, ვისგანაც ყველაზე მეტად ვართ დავალებულნი. მიუხედავად სტილისტური დაუხვეწაობისა, ახალი აღთქმის მისეული თარგმანი მკაფიოცაა და ძარღვიანიც. ამ თარგმანით მან ისლანდიურ ენას და კულტურას ის სიკეთე მოუტანა, რომლისთვისაც მოგვიანებით უღრმესი მადლობის ღირსი გახდა. ჯერ ერთი, მისი თარგმანი ბიბლიის შემდგომ თარგმანთა საფუძველი იყო (გუდბრანდურ თორლაუქსონმა ბიბლიის თავისი თარგმანი სწორედ მის ახალ აღთქმაზე ააგო). მეორეც ის, რომ მისი წყალობით მოსახლეობა ღვთის სიტყვას ახლა მშობლიურ ენაზე შეისმენდა და არა დანიურად. წინააღმდეგ შემთხვევაში იგივე მოხდებოდა, რაც ნორვეგიაში მოხდა* და ჩვენს ენას დავკარგავდით. სამღვდელოებას რომ დანიურად ექადაგა და მოსახლეობის ყურისთვის გარითმულ-გაურითმავი ღვთის სიტყვა ამ ენაზე მიეწოდებინა, სხვაგვარად არც შეიძლება მომხდარიყო. მეორე მხრივ არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ენის შესანარჩუნებლად მხოლოდ ოდდურის თარგმანი არ იყო საკმარისი. XVI-XVII საუკუნეების უაქტიურესი გამომცემლობის გუდბრანდურ თორლაუქსონის ფართო მსოფლმხედველობა და გონიერებაც დიდად წაადგა ამ საქმეს. გუდბრანდურს ესმოდა, რომ „პოეტური გენიისა და ლექსთა ზომის მხრივ ამ ძველსკანდინავიურ ენას მრავალ იმ ენაზე მეტი უპირატესობა აქვს, რომელსაც კი ვიცნობთ. ჭეშმარიტად ღვთის მიერ გარდმოცემული და ბოძებული აქვს ამ ძველსკანდინავიურ ენას ნიჭი“, როგორც თვითონ გამოთქვამდა ხოლმე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როდესაც ქრისტიან III ტახტზე გამაგრდა, თავისი ქვეყნებისათვის ე.წ. ორდინანსია შეადგინა, რომელიც 1537 წლის 2 სექტემბერს გამოვიდა. მისი შედგენისას მეფემ განთქმული სწავლული და ლუთერის თანამებრძოლი იოჰან ბუგენჰაგენი დაიხმარა. ორდინანსია ლათინურად იქნა დაწერილი და შესამოწმებლად თვით ლუთერს გაეგზავნა. ამ ახალი განკარგულების სული და გული ის გახლდათ, რომ ლუთერანიზმს დანიის მეფის ყველა ქვეყანაში უნდა შეეძინა იურიდიული ძალა. იგი მრავალი მუხლისაგან შედგებოდა. მასში დაწვრილებით იყო განხილული ყველა ის სიახლე და ცვლილება, რომელიც კი კათოლიკური ეკლესიის ლუთერანულად გარდაქმნას მოჰყვებოდა. მისი უმთავრესი დეტალები გახლდათ ის, რომ უფლისადმი თაყვანისცემა მხოლოდ ბიბლიის მითითებათა მიხედვით უნდა მომხდარიყო. გაუქმდა სხვადასხვა საეკლესიო ცერემონიები, შემცირებულ იქნა ეპისკოპოსთა ძალაუფლება და ამის შესაბამისად გაიზარდა მეფის ხელისუფლება. ორდინანსია მეფის სამფლობელოს ყველა ეპისკოპოსს დაეგზავნა, მაგრამ მისი დამტკიცება ყველა ქვეყანაში როდი დაუჩქარებიათ. თვით დანიაში იგი 1539 წ. იქნა მიღებული, ისლანდიელებმა კი ერთ წერტილზე გაყინეს იგი.

1538 წ. ორდინანსია ალთინგზე განსახილველად გაიტანეს. ეგმუნდურ ეპისკოპოსი პირდაპირ პასუხებს თავს არიდებდა. მისი აბრით ორდინანსიის მრავალი მუხლი მისაღები იყო, მაგრამ დაგმო ის მითითებები, რომელიც საქმეში ყველაზე მეტს წყვეტდა. „მაგრამ არ ვიცით, როგორ უნდა შევცვალოთ ღვთისმსახურება და წირვა-ლოცვა“, ამბობს იგი მეფისადმი მიწერილ წერილში. როგორც ჩანს, სკაულჰოლტის საეპისკოპოსოში ორდინანსიამ ხალხისაგან გარკვეული ზურგქარი მიიღო. „შევიტყვეთ, რომ ამბოხებულა ვინმე მღვდელ-მათხოვარა და მწვალებლობისა და ურჯულოების ქადაგება დაუწყია... ვერ ვპოულობთ ვერც ღვთისა და ვერც კაცთა კანონებში იმას, რომ ეს მწვალებლობა უნდა შევისმინოთ“. ეპისკოპოსი სასტიკად კრძალავს ამ მწვალებლობის მიყოლას „ვიდრე აქ პაპის ხელისუფლების ან იმპერატორული აღმატებულების ღია წერილი არ ჩამოვა“. ამ ბოლო სიტყვებით ვიგებთ იმ ფანდის შინაარსს, რომელსაც ორივე ეპისკოპოსის ბრძოლა ემყარებოდა უკანასკნელ წუთამდე. წერილში ნახსენებია პაპი და იმპერატორი, რაც ტრენტოს 1545 წლის მოსალოდნელ საეკლესიო ყრილობასა* და მის რელიგიურ ვერდიქტებზე მიგვანიშნებს. სკაულჰოლტის ეპარქიაში ორდინანსია ეგმუნდურ ეპისკოპოსის გარდაცვალებამდე არ დამტკიცებულა.

იმის პარალელურად, რომ ორდინანსიის გარშემო სამხრეთში (ე.ი. სკაულჰოლტის საეპისკოპოსოში. მთარგმ.) დავა გაიმართა, მოხდა შემაშფოთებელი მოვლენები. 1536 წ. მეფემ აქ ჰირდსტიოურად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინმე ქლაუს ვან დერ მარვიტსენი დანიშნა. სამი წლის შემდეგ მას სრული უფლებამოსილება გადაეცა ვიდეის მონასტერზე, ამასთან მითითებულ იქნა, რომ საკვებითა და სამოსით მონასტრის აბატი და ბერები მასვე უნდა მოემარაგებინა. ეს ღონისძიება იდენტური იყო იმ ოპერაციებისა, რომელიც დანიაში ჩატარდა, სადაც მონასტრები მეფის გვირგვინს დაუმორჩილეს. იმავე წელს ვან დერ მარვიტსენი სასწრაფოდ უნდა გამგზავრებულიყო ისლანდიიდან, აქ კი თავისი რწმუნებული ანუ ფოგტი ჰამბურგელი დიდრიქ ფონ მინდენი დასვა, რომელსაც ჰირდსტიოურისთვის ხანგრძლივი და ერთგული სამსახური ჰქონდა გაწეული. მასზე ცუდი ხმები დადიოდა. დიდრიქს განსაკუთრებით ვიდეის მონასტრის ხელისუფლება ჩააბარეს, მაგრამ ვიდრე ქლაუსი გემბანზე ავიდოდა, დამქაშები მონასტერში შეიჭრნენ, სამხედრო ძალის გამოყენებით დაარბიეს აქაურობა, დალეწეს ყოველვიერ და ნაცარტუტებად აქციეს, ცეცხლს მისცეს შენობებიცა და ნივთებიც, გარეთ გამოყარეს ბერები და დაასახიჩრეს, ხოლო მონასტერში თავისი ხალხი ჩასვეს. მეფისადმი ერთი წლის შემდეგ მიწერილ წერილში ეს ამბავი ასეა აღწერილი: „სწორედ ეგ ქლაუსი, აგრეთვე მისი ხალხი, რომლებიც ახლა დახოცილები არიან, დათარეშობდა ქვეყანაში და ყაჩაღობდა. ერთი წლის შემდეგ ღამით, წმინდა სამების დღეს ზემოხსენებული ქლაუსი თავისი ხალხით მამათა ერთ მონასტერს მიადგა, რომელიც ვიდეიდ იწოდება. მისი ხალხი დასაძინებლად გახდილ ბერებს ლოგინებშივე დაერია. ერთმა ნაწილმა ბერები დახოცა და დაჭრა, მეორე ნაწილმა კი უდანაშაულოდ ჰგვემა და გაკოჭა. შემდეგ მათ მონასტრის მთელი მოძრავ-უძრავი ქონება წაიღეს, თვით მონასტერზე კი თვალი დაიჭირეს, რათა აღარ ჩატარებულიყო წირვა-ლოცვა და ჩვეული ღვთისმსახურება, რომელიც იქ ძველი დროიდან მოყოლებული ტარდებოდა. სანდო ხალხისა და მოწმეების თქმით, თავის ხალხთან ერთად მან გაანადგურა ან გაიტაცა 20 ზრდასრულ ხარზე, 100 ზრდასრულ ცხვარსა და 7.000-ზე მეტი თევზი“. აბატი ალექსიუს პაულსონი იქაურობას გაეცალა და ქლოისტურჰოულარში მონასტრის მიწაზე დასახლდა, სადაც სიცოცხლის ბოლომდე დარჩა. ამ ამბის შესახებ იოუნ ეპისკოპოსმა თქვა:

სამხრეთშიო, ასე ამბობენ,
მონასტერი დაუქცევიათ,
სიავეს სჩადიანო გერმანელები
ვიდეის კუნძულზე.
ავი დროება ავად ეხუმრა
ზღვათა ხელმწიფეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ძნელსაცნობი შეიქმნება ისლანდია,
თუ მის ბილიკებს არვინ გამართავს.

როდესაც ეგმუნდურ ეპისკოპოსმა სიცოცხლის მერვე ათწლეულს მიაღწია, მისმა ჯანმრთელობამ მკვეთრად იწყო დაცემა. განსაკუთრებით მხედველობის დაქვეითებამ გატანჯა, რის გამოც წიგნსაც ძლივს კითხულობდა. ეპისკოპოსმა აუცილებლად მიიჩნია, რომ მის ადგილზე სხვა უნდა აერჩიათ. არჩევანი მის ნათესავ ჰიტარდალურელ სიგმუნდურ ეიოულვსონზე შეჩერდა, მაგრამ მისმა ეპისკოპოსობამ მეტად მცირე ხანს გასტანა. სიგმუნდური სულ მალე, კურთხევის მიღების შემდეგ 1537 წ. გარდაიცვალა. იმავე ზაფხულს არქიეპისკოპოსი ულავ ენგილბრიქტსონი ნორვეგიიდან გაიქცა, ასე რომ ახალი ეპისკოპოსის კურთხევა მას ახლა აღარ შეეძლო. ორდინანსიით რომ რომელიმე დიდი ეპისკოპოსი ყოფილიყო გათვალისწინებული, ეს გარდასული დროის მოგონება იქნებოდა. ამიტომ შელანის* ეპისკოპოსი პედერი **primus inter pares** ანუ თანასწორთა შორის უპირველესად აირჩიეს, რომელსაც წილად ხვდა სკაულჰოლტის მომდევნო ეპისკოპოსის კურთხევა.

სამხრეთელებმა ეპისკოპოსად გისურ ეინარსონი აირჩიეს, რომელიც დასამტკიცებლად მეფის აუდიენციაზე უნდა ჩასულიყო. გისურის მანდატით ირკვევა, რომ იგი ლუთერანიზმს იზიარებს. საკვირველია, რომ ეგმუნდურ ეპისპოკოსმა დასტური ამ არჩევანს მისცა, მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ დიდად უყვარდა გისური და ვერც სხვას ხედავდა უკეთესს, ვისთვისაც ამ მრავალის მომცველი საძნელო თანამდებობის ჩაბარება შეიძლებოდა. შესაძლოა ეპიკოპოსი იმედოვნებდა, რომ მოახერხებდა ლაგამქვეშ ჰყოლოდა გისური და, სანამ თვითონ ცოცხალი იყო, თავისი სურვილისამებრ ეტარებინა. ასეა თუ ისე, 1539 წლის ზაფხულში გისურმა ისლანდიიდან გაცურა, სექტემბრისთვის კი მას უკვე ჰამბურგში ჩასულად იხსენიებენ.

როდესაც გისური ქვეყნიდან გაემგზავრა, დიდრიქ ფონ მინდენმა გეზი აღმოსავლეთისკენ აიღო, რათა სკაფტაფელის ოლქის მონასტრებში კონფისკაცია ჩაეტარებინა. გზად სკაულჰოლტშიც შეიარა. ეგმუნდურ ეპისკოპოსი შეეცადა ხელი აეღებინებინა მისთვის ამ უკანონობაზე, მაგრამ დიდრიქმა ავი სიტყვით უპასუხა. იგი არც მაშინ შერბილებულა, როდესაც ეგმუნდურმა გააფრთხილა ჩემს ხალხს მაგ გერმანული სისხლის დაღვრა სწყურიაო. აღარ ღირს სიტყვის გაგრძელება თუ როგორ დაეწია ფოგტს სწრაფი სიკვდილი უკანა გზაზე. მამა იუონ ჰედინსონის თაოსნობით სამხრეთელებმა ისიც და მისი თანმხლებიც ჰრუნიში ჩახოცეს. ეს პირველი როდი იყო, როდესაც უცხოელ ხელის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფალთა ძალმომრეობას ისლანდიელები ქვას უხვედრებდნენ.

როგორც მოსალოდნელი იყო, ფოგტ დიდრიქის მკვლელობას საქმის აღძვრა მოჰყვა. ჰირდსტიოური ქლაუსმა მკვლელობებში ეგმუნდური დაადანაშაულა, მეფემ კი წერილი მისწერა ალთინგს, სადაც იგივე ბრალდებებს უყენებს ეპისკოპოსს. გისურ ეინარსონი ჰამბურგში იყო გაჩერებული, როდესაც ამ მკვლელობების ამბავი შეიტყო. ამ მოვლენებმა გისური, რაღა თქმა უნდა, შეაშფოთა, რადგან სწორედ ამ დროს თავისი არჩევანის დასამტკიცებლად მეფის აუდიენციაზე მიეშურებოდა. გისურის პოზიცია ამ მკვლელობების მიმართ რამდენადმე გაურკვეველია. ეგმუნდურისადმი მიწერილ წერილში გისური, საფიქრალია, თვლის, რომ გარკვეული პასუხისმგებლობა ეპისკოპოსსაც მიუძღვის. ამბობს, რომ ამ საქმის შედეგებს პირადად მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მეფისადმი მიწერილ წერილში კი გისური ხელს აფარებს ეგმუნდურს. ყვება, რომ მოხუცებული ეპისკოპოსის მიმართ დიდრიქმა გამოიყენა ძალადობა, ჩაიდინა ავკაცობა და აბუჩად აიგდო იგი. ის, რომ გისურმა ისლანდიასთან მოვაჭრე ჰამბურგელი ვაჭრებიც დააშოშმინა, ჭეშმარიტებას არ უნდა იყოს მოკლებული, რადგან ისინი ჯერ დაჟინებით მოითხოვდნენ შურიძიებას, შემდეგ კი თითქმის ბრაზმაც გაუარათ და ქრისტიან III-ს ეს შურისგებაც გადაათქმევინეს. შესაძლოა თავის სავაჭრო ინტერესებსაც გაუფრთხილდნენ და ისლანდიელთა განაწყენებას ამიტომაც მოერიდნენ.

1540 წლის დასაწყისისათვის მეფის მიერ გისური ეპისკოპოსის თანამდებობაზე იქნა დანიშნული. ეგმუნდური მან იმ წლის მაისში შეცვალა, კურთხევა კი ორ წელზე ადრე არ მიუღია.

სკაულჰოლტის ეპარქიაში მდგომარეობა ისევ არასაიმედო იყო, მეფის ორდინანსია კი ჯერაც არ დაემტკიცებინათ. მეფემ არჩია საეპოსკოპოსოს კათოლიკეებთან აშკარა ბრძოლაზე ასე სწრაფად არ გადასულიყო და გისური ლუთერანი ეპისკოპოსისათვის არ ეკურთხებინებინა. 1540 წლის ზაფხულში ორი თორმეტეულისაგან შემდგარმა სინოდმა გისური თავის ეპისკოპოსად აკურთხა, მან კი თავის მხრივ დადო აღთქმა „ემართა წმინდა ეკლესიის ძველი და კეთილი კანონების მიხედვით“. ამ აღთქმით გისურმა წყალში ფონი გაიმზადა და არ შეურაცხყო თავისი მეოხი ეგმუნდურ ეპისკოპოსი.

1540 წლის ალთინგს ეპისკოპოსი იოუნ არასონიც დაესწრო. აქ მან დაწერა წერილი, რომელსაც გარდა ეპისკოპოსებისა ხელი მოაწერა ლეგმადურმა არი იოუნსონმა, ოცდაოთხმა ზემოთ მოხსენიებულმა ლეგრეტუმადურმა და ჩრდილო თუ დასავლეთ ისლანდიის დეპუტაციის წევრებმა. მათ შორის სნოუქსდალურელი დადი გუდმუნდსონიც იყო, რომელიც ამ ისტორიაში მოგვიანებით ერთ-ერთ უმთავრეს ადგილს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიკავებს. წერილით ისინი ცდილობენ თავიდან მოიშორონ ჰირდსტიოური ქლაუს ვან დერ მარვიტსენის ხელისუფლება ეგმუნდურისადმი მიმართული იმ ცილისწამების გამო, თითქოს ეპისკოპოსს ფოგტ დიდრიქისა და მისი ხალხის დახოცვაში მიეღოს მონაწილეობა. ისინი აქ დიდრიქის ძარცვა-ყაჩაღობასაც აღწერენ.

ამ წერილით ნათლად მჟღავნდება იოუნ ეპისკოპოსის დამოკიდებულება ორდინანსიისადმი. „თუ თქვენი აღმატებულების რწმუნებულები ჩვენგან იმ რწმენის მიღებას მოითხოვენ, რომელიც ჩვენს გონებას ეწინააღმდეგება, უმორჩილესად ვთხოვთ თქვენს სამეფო უდიდებულესობას მოგვცეს ნება ჩვენვე განვაგოთ ჩვენი მოძრავი ქონება, რათა შევძლოთ ვუშველოთ ჩვენს თავს იმ ქვეყანაში, სადაც უფალმა ყველას მიუჩინა ადგილი“. მაგრამ: „თუ თქვენს აღმატებულებას სურს ვყავდეთ ნორვეგიის კანონებქვეშ, რომელსაც ქრისტიანობის აღზევებიდან მოყოლებული თქვენი და ჩვენი წინაპრები ემორჩილებოდნენ, ჩვენც მოვისურვებთ ვიცოცხლოთ და მოვკვდეთ თქვენს სამეფო მფარველობაში“.

განა შეიძლება უფრო ნათლად გადმოიცეს იოუნ ეპისკოპოსისა და მისი თანამოაზრეების დამოკიდებულება ორდინანსიისადმი, ვიდრე ამ წერილით იქნა გადმოცემული? მისთვის ყველაზე მთავარია მთელი ცხოვრება პაპის სამკვიდრებელში გალიოს და არა მწვალებლებთან საკუთარ ქვეყანაში. ნათლადაა შემოფარგლული ეპისკოპოსის სურვილი პატივი მიაგოს და ერთგული იყოს ქრისტიან III-ისა თუკი იგი ისლანდიელებს თავს არ მოახვევს იმ კანონებს, რომლებიც ნორვეგიის მართალ კანონებს ეწინააღმდეგებიან. მეფისადმი მიწერილ მეორე წერილში ორივე ეპისკოპოსი, იოუნი და ეგმუნდური, ერთობლივ პოზიციას იკავებს ორდინანსიისადმი და ორივე საეპისკოპოსოში კატეგორიულად უკუაგდებს მას.

1540 წ. ეგმუნდურსა და გისურს შორის ურთიერთობა იძაბება. ამას მოწმობს ეგმუნდურის მიერ იოუნ ეპისკოპოსისადმი მიწერილი წერილი. იგი ჩივის, რომ გისურს ეკლესიიდან ნივთები და ძვირფასეულობა გააქვს. „ტაძრიდან გატანილია ეკლესიის საუნჯე და ვერცხლი, ჩადებულია ერთ სკივრში და ჩაკეტილია სახლში, სადაც მას (გისურს. მთარგმ.) სძინავს ხოლმე“. დანამდვილებით ვიცით, რომ ეს ნივთები გისურმა მეფეს გადაუგზავნა.

როდესაც 1540 წლის შემოდგომაზე მეფემ ზემოხსენებული წერილები მიიღო, ყოყმანმა დარია ხელი და მიხვდა, რომ უიმედო მდგომარეობა შეექმნა. ახლა კი ჩათვალა, რომ ისლანდიაში ჰირდსტიოურის მოვალეობისთვის ქლაუსი არ იყო შესაფერისი. 1541 წ. აქ ჩამოვიდა ჰირდსტიოურის ხელისუფლებით აღჭურვილი ქრისტოფერი, მეგსახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელად თეთრქურქიანი, რომელიც ადრე მეფის ლენსმანი* იყო ნიდაროსში. ორი სამხედრო ხომალდით ახალმა ჰირდსტიოურიმ ძლიერი ჯარი ჩამოიყვანა. მას ქლაუსიც ახლდა თან. ფოგტ დიდრიქის მკვლელობის გარშემო ალთინგზე გარკვეული შეხლა-შემოხლა მოხდა, მაგრამ საბოლოო ჯამში მკვლელობას არავითარი საზღაური არ მოჰყოლია.

ჰირდსტიურის ორი მისია ჰქონდა: აეკრიფა ფული ე.წ. „ქვეყნის ხსნისათვის", რათა შეევსო ის დანაკლისი, რომელსაც გრაფის ომის დროს მეფის ფინანსებში იჩინა თავი და დაეკანონებინა ორდინანსია სკაულჰოლტის საეპისკოპოსოში. ჩანს ქრისტოფერი იმ უფლებებითაც ყოფილა აღჭურვილი, რომ ეგმუნდურ ეპისკოპოსი შეეპყრო. მიპატიჟებისთვის არც მოუცდია. ეგმუნდური ელფუსზე, ჰიატლიში შეიპყრეს, სადაც იგი თავის დასთან, აუსდისთან იმყოფებოდა, დიდად დაამცირეს დაავადმყოფებული მოხუცი, გემზე დასვეს და დანიაში ჩაიყვანეს, სადაც სულ მალე მიიცვალა კიდეც. იგი სორეში* მონასტრის მიწას მიაბარეს. დანიის მიწაზე მან დამსახურებული განსასვენებელი ჰპოვა, რადგან მგზავრობის ხარჯები მის მიერვე უხვად იყო ანაზღაურებული. ეგმუნდურ ეპისკოპოსის მთელ ქონებას კონფისკაცია უყვეს და უშუალოდ ომის გუდაში გადაუძახეს, მის დას კი მთელი ვერცხლი და განძი დასტყუეს და ყოველივე ესეც იმავე გზას დაადგა.

ძნელია პირი მოწმინდო გისურ ეპისკოპოსს. გისურის სურვილის წინააღმდეგ ხომ ეგმუნდურს ასე უღმერთოდ არ მოექცეოდნენ.

ისლანდია ორ სახელმწიფოდ იხლიჩება

1541 წ. ალთინგზე დადებულ იქნა მეფისადმი ერთგულების ფიცი და სკაულჰოლტის ეპარქიაში დამტკიცდა ორდინანსია. აქ დაკანონეს ლუთერანობა და ეკლესიის მმართველობაც ყოველივე ამის შესაბამისად გარდაიქმნა. ისლანდია ფაქტიურად ორ სახელმწიფოდ გაიხლიჩა, სადაც ახლა ორი სახის რელიგიური წესები და რეჟიმი ბატონობდა.

გმირობა იყო ის, რასაც მეფესთან ურთიერთობის დაწყებისთანავე მიაღწია გისურმა. ეს გახლდათ მონასტრების შენარჩუნება. დანიასა და ნორვეგიაში ქრისტიან III-მ სამონასტრო ქონებას კონფისკაცია უყო და მონასტრები საერო ლენებად აქცია, ზოგი თავის ფავორიტებს ჩაუგდო ხელში, ზოგიც სხვა გზით გააუქმა. ჩანდა ისლანდიურ მონასტრებსაც იგივე ხვედრს უმზადებდა. გისურმა წინადადება წამოაყენა აქაურ მონასტრებში სკოლები გაემართათ. მეფე დაეთანხმა ამ წინადადებას, სკაულჰოლტის საეპისკოპოსოს მონასტრებში ლათინური სკოლები დააარსებინა და სათანადო კანონიც გამოსცა, მაგრამ უკანვე წაიღო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი მითითება ვიდეიში სკოლის გამართვის შესახებ, მონასტრის ქონება კი ჰირდსტიოურის ჩააბარა. სამონასტრო ღონისძიება შესანიშნავი რამ იყო და მრავალ თაობასაც გასწვდებოდა, მაგრამ ხანმოკლეა ამა სოფლის სიხარული. სამონასტრო სკოლებს დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დასცალდათ.

იმავე გაზაფხულს, როდესაც ქრისტოფერ თეთრქურქიანი ხომალდიდან ხმელეთზე გადმოვიდა, ეპისკოპოსმა იოუნ არასონმა სინოდი მოიწვია ეირარლანდში. სურდა პოზიცია დაეკავებინა იმ მისიის მიმართ, რომელიც ახალ ჰირდსტიოურის ჰქონდა მინდობილი აქაურთა წინააღმდეგ. ამ თათბირზე დაწერილ წერილში, რომელიც მეფეს გაეგზავნა, ითქვა, რომ აქაურები მოწადინებულნი იყვნენ პატივი მიეგოთ ქრისტიან III-თვის. აქვე დაიდო აღთქმა „ქვეყნის ხსნისთვის“ მხარდაჭერის აღმოჩენის შესახებ. მეფის რწმუნებულთა თაობაზე კი ნათქვამია, რომ ეპისკოპოსი და პასტორები მხარში ამოუდგებიან მათ, თუკი ისინი ხალხს დაუნარჩუნებენ ნორვეგიისა და ისლანდიის მართალ კანონებს, „ძველ თავისთავადობას და გარდასულ დროთა ადათ-წესებს“.

როდესაც ზაფხული დადგა და ალთინგის დრომ მოაწია, თავის ძე არისთან, პასტორებთან, სისლუმადურებსა და ლეგრეტუმადურებთან ერთად ეპისკოპოსმა სამხრეთით გამგზავრება დააპირა, რათა ქრისტოფერს შეხვედროდა. როდესაც ამ მშვენიერმა დასმა ქალმანსტუნგას ჩააღწია, ეგმუნდურ ეპისკოპოსის შეპყრობის ამბავი შეიტყო. გზის გაგრძელება არც თუ უხიფათოდ ჩათვალეს, მაგრამ იოუნ ეპისკოპოსმა მამა ოულავურ ჰიპლტასონი სამხრეთით ჰირდსტიოურისა და ალთინგისადმი მიწერილი წერილით გაგზავნა. წერილში ეპისკოპოსი ბოდიშს იხდის იმის გამო, რომ იძულებულია უკანვე გაბრუნდეს, რადგან ხალხი და პასტორები ალთინგზე მისი გამგზავრების სასტიკი წინააღმდეგი არიან, მაგრამ შეფერხების მიზეზებს ჰირდსტიოურის მამა ოულავური აუხსნის. ეპისკოპოსის წერილიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქრისტოფერს ეპისკოპოსისთვის ადრეც მიუწერია წერილი და ალთინგზე შეხვედრაც უთხოვია. მეგობრობის ნიშნად ეპისკოპოსმა თავის სიტყვებს მეტად თავისებური საჩუქარიც დაურთო. საქმე იმაში იყო, რომ იოუნ ეპისკოპოსს ყოფილი ჰირდსტიოურის ქლაუს ვან დერ მარვიტსენის ვალი ემართა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ვერა და ვერ შეძლო დაებრუნებინა ეს თანხა. ახლა კი ეპისკოპოსი ამბობს, რომ „მცირედ ძღვენს“ ქრისტოფერს უგზავნის და სთხოვს „არ იუკადრისოს იგი“, „რამეთუ ჩვენ კიდევ გამოგიგზავნით მეტს და უკეთესს თუკი შევიტყობთ თქვენს სურვილს საუკეთესო მხრიდან წარმოუჩინოთ ჩვენი საქმეები ჩვენს უკეთილშობილეს უფალ ხელმწიფეს“.

მეფისადმი თაყვანისცემის სანაცვლოდ ეპისკოპოსი გამუდმებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

აყენებს ფაქტიურად იმ პირობებს, რომ არანაირი რეფორმა არ უნდა გატარდეს მის საეპისკოპოსოში ანუ პირობებს, რომელსაც საეჭვოა მეფე დათანხმდეს. ქრისტოფერისადმი მიწერილი წერილი პირდაპირიცაა და თავაზიანიც. ეპისკოპოსი პირდება, რომ „ქვეყნის ხსნას“ ჩრდილოელები მხარდაჭერას აღმოუჩენენ, მაგრამ ამბობს, რომ აქაურ ქრისტიანობაში არაფერი არ უნდა შეიცვალოს, თუ ამას არ დაამტკიცებს ნიდაროსის კათედრალური სინოდი. ახლა, როდესაც ისტორიის ამ მონაკვეთს მოვადექით, სინოდი უკვე გაუქმებულია, არქიეპისკოპოსი კი სამი წელია რაც საფლავში განისვენებს. ყოველივე ეს ნათლად წარმოგვიდგენს იმ საშინელ და ამავე დროს უიმედო მდგომარეობას, რომელშიც იოუნ ეპისკოპოსი ჩავარდა, თუმცა ამ ფაქტს არც თავისი თავისა და არც სხვათა წინაშე არ აღიარებდა.

ალთინგისა და ჰირდსტიოურის წინაშე თავისი სურვილის გამოხატვა არი ლეგმადურს სხვაზე ნაკლებ როდი სურდა. თქვა, რომ პატივს მიაგებდა ქრისტიან III-ს. „ნორვეგიის ნამდვილ მეფეს ხარკსა და სხვა საქვეშემრდომო გადასახადს ისლანდიელთა კანონების წიგნის მიხედვით გადავუხდი, რომლისთვისაც ჩემს წინაპრებს ფიცი მიუციათ და აქ მეფე მაგნუსს ლეგმადურ იოუნის ხელით გამოუგზავნია“. აქ ლეგმადური იმოწმებს ე.წ. იოუნსბოუკს, რომელსაც იოუნ ეინარსონმა ისლანდიელებს მაგნუს კანონთსრულმქმნელის* დროს ჩამოუტანა. ამას გარდა არიმ თავიდან მოიხსნა ლეგმადურისა და სისლუმადურის თანამდებობები და თავის მაგიერ ალთინგს სხვისი არჩევა სთხოვა, უფრო აღრე კი განთავისუფლება მეფისთვისაც უთხოვია. განთავისუფლების თხოვნის საფუძვლად მან მეფის კარისკაცთა ცილისმწამებლობა დაასახელა. არის მეფის ვალების გადაუხდელობაში დასდეს ბრალი, მან კი იმავე დღეს სცადა ლაქა მოეწმინდა და ანგარიში გადასახდელი ფულის შესახებ ჰირდსტიოურის წერილობით ჩააბარა. შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ არიმ აღარ ისურვა ემსახურა იმ მეფისთვის, რომლის რწმუნებულებმა ან თვით მან, მისი შეფასებით, ასეთი უკანონობა ჩაიდინეს სკაულჰოლტის საეპისპოკოსოში.

ქალმანსტუნგადან უკან გამობრუნებისას ეპისკოპოსი იოუნ არასონი იმ გზას დაადგა, რომელიც მისი და ჰოულარის საეპისკოპოსოს პოლიტიკური თუ სარწმუნოებრივი იზოლაციისაკენ მიემართებოდა. იოუნ ეპისკოპოსის ამ წლების პოზიციისა და ქცევის შეფასებისას მხედველობაში უნდა გვქონდეს ის, რომ მას არასოდეს უღიარებია ქრისტიან III როგორც თავისი ბატონი, რამეთუ მეფემ არ განახორციელებინა მას „ნორვეგიისა და ისლანდიის მართალი კანონები“. მის თვალში ისლანდია ნორვეგიის მოხარკე ქვეყანა იყო, რომელიც ექვემდებარებოდა ნორვეგიის რიქსროდს, როგორც ამ ორი ქვეყნის უზენაეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწესებულებას. ქრისტიან III-მდე ნორვეგიული რიქსროდი, წესისამებრ, ყოველ ახალ მეფეს მკაცრი აღთქმის სიგელზე აწერინებდა ხელს, ხელის მოწერის გარეშე კი მეფეს არც უნდა ჰქონოდა იმის იმედი, რომ ნორვეგიის და მაშასადამე ისლანდიის მეფე გახდებოდა. იოუნ არასონის შეფასებით ქრისტიან III უზურპატორი იყო, რომელიც ნორვეგიისა და ისლანდიის სათავეში უკანონო გზით მოვიდა. ნიდაროსის სინოდს მისთვის არასოდეს უცია თაყვანი, რადგან არქიეპისკოპოსმა ანუ რიქსროდის თავმჯდომარემ უარი თქვა მეფედ ეღიარებინა იგი. როდესაც მეფემ ძალაუფლება განიმტკიცა, დაითხოვა რიქსროდი და ნორვეგია (მაშასადამე ისლანდიაც) მისი ხელისუფლების გარეშე დატოვა. მაგრამ მეფისადმი იოუნ ეპისკოპოსის დამოკიდებულება და მის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ ამ მიზეზით როდი უნდა აიხსნას. ჩანს იგი თვლიდა, რომ სკანდინავიასა და სკაულჰოლტის საეპისკოპოსოში რეფორმაციის გამარჯვება დროებითი მოვლენა იყო, რომელიც ქამთა მსვლელობაში ჩაივლიდა. ნორვეგიული რიქსროდისა და ნიდაროსის საარქიეპისკოპოსოს აღორძინება იოუნ ეპისკოპოსის ოცნება გახლდათ, რომელიც მისი რწმენით ცხადად უნდა ქცეულიყო. მხედველობაში უნდა გვქონდეს ის, რომ იოუნ ეპისკოპოსი თავისი თანამედროვეობის მოვლენებს ჩვენი დღევანდელობის თვალით არ ჭვრეტდა. ჩვენ, დიახაც, უკვე შეგვიძლია აღვიქვათ გარდასული დროის მოვლენათა მიზეზები თუ შედეგები, ამიტომაც მათი ჩვენეული შეფასება სულ სხვაგვარია. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი განმარტება. არავითარი მინიშნება არ არსებობს იმის შესახებ, თითქოს იოუნ არასონი ის მეოცნებე ყოფილიყოს, რომელსაც ბრძოლაში მარტოდენ იმედი აკმაყოფილებდა. მას სწამდა, რომ ვალდებული იყო ემოქმედა.

დავუბრუნდეთ 1524 წელს, როდესაც იოუნ ეპისკოპოსი ნორვეგიაში კურთხევის მისაღებად იყო ჩასული და აგვისტოში, როგორც ერთ-ერთი წევრი, ნორვეგიის რიქსროდს ესწრებოდა. მაშინ მან მხარი დაუჭირა გადაწყვეტილებას ფრედერიქ I-ის აღთქმის სიგელის შესახებ და თავის მხრივ ხელიც მოაწერა მას. ეჭვგარეშეა, რომ ამ სიგელის სული და შინაარსი არქიეპისკოპოს ულავისგან მოედინებოდა და იგი სიკვდილამდე ერთგულიც დარჩა იმ პოლიტიკისა, რომელიც სიგელში იჩენდა თავს. ეს პოლიტიკა ყველაზე ნათლად იმ მუხლებში ჩანს, სადაც დათქმულია, რომ ეკლესია ინარჩუნებს მთელ თავის დოვლათს და უფლებებს, რომ „არც ერთ პროტესტანტს არ უნდა შერჩეს ქადაგება კათოლიკური მოძღვრებისა და სარწმუნოების წინააღმდეგ“ ქვეყნის სუვერენიტეტი კი რიქსროდის არსებობით იქნება დაბღვეული და ნორვეგია თავისუფალ არჩევით სამეფოდ დარჩება. გადაწყდა, რომ მეფისთვის ნიდაროსში უნდა დაედგათ გვირგვინი, ასე ვთქვათ ნორვეგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იულ მიწაზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს სიგელი ფრედერიქ I-თვის იქნა შედგენილი, ჩანს, არქიეპისკოპოსი თვლიდა, რომ იმავე პირობებზე ნორვეგიის ყველა მეფეს უნდა მიეცა თანხმობა, რათა იგი არჩეული ყოფილიყო, როგორც უკვე ამ წიგნში იქნა ნაჩვენები, ფრედერიქ I-მა ყველა ეს მუხლი ფეხით გაქელა. ამიტომაც მისთვის არასოდეს უციათ თაყვანი როგორც ნორვეგიის მეფისთვის და მით უფრო ნაკლები პატივი მიაგეს ქრისტიან III-ს. იოუნ არასონის მთელი ბრძოლის მანძილზე კი ჩანს ის, რომ კანონვალდებულად თავს მხოლოდ 1524 წლის სიგელის ზემოხსენებული მუხლების წინაშე თვლიდა.

არქიეპისკოპოსსა და იოუნ არასონს შორის გაცნობისთანავე დიდი მეგობრობა დამყარდა. იოუნ ეპისკოპოსი აღფრთოვანებული იყო ამ განათლებული უნივერსიტეტელის ნიჭითა და ბრწყინვალებით, რომელმაც ბერგენის სხდომათა დარბაზში როსტოკის უნივერსიტეტის სული შემოიტანა. არქიეპისკოპოსმა თავიდანვე იცოდა თუ რა ბრძოლა ელოდა მას და მის თანამოძმეებს. არ არის გამორიცხული, რომ მას და იოუნ ეპისკოპოსს შეთანხმება დაედოთ თუ როგორ უნდა დაეცვა თითოეულს თავი თავის ქვეყანაში და შეეტია ახალი სარწმუნოებისათვის. როდესაც ნორვეგიის თავზე ცა მოიქუფრა და არქიეპისკოპოსის თავისდამცავი მანქანები მეფისა და ლუთერის მოძღვრების წინააღმდეგ ამოქმედდნენ, იოუნ ეპისკოპოსს აზრადაც არ მოსვლია არქიეპისკოპოსის ქმედებათა კანონიერებაში დაეჭვებულიყო. არქიეპისკოპოსის ბრძოლა მისთვის ნამდვილ მაგალითს წარმოადგენდა. მას საშუალება ჰქონდა ზედმიწევნით ედევნებინა თვალყური იმისთვის, რაც ნორვეგიაში ხდებოდა და იმის მოწმეც გახდა, რომ ბრძოლა დამარცხებით და გაქცევით დასრულდა. არქიეპისკოპოსის ბრძოლა მან თავის ბრძოლად ქმნა, რომელიც ორივესთვის მსგავს წინამძღვრებზე იყო დამყარებული. მეორე მხრივ არქიეპისკოპოსის დამარცხებამ იოუნ ეპისკოპოსის ნებისყოფა რკინასავით გაამაგრა, გაქცევა კი მისთვის იმის აღთქმად იქცა, რომ არასოდეს დანებებულიყო. ყველა იმედი, ოცნება, მრწამსი და არგუმენტი ეპისკოპოსის ურყევ რელიგიურ წრმენას შეერია, როგორც ეს პოეტ იოუნ არასონის ლექსებში მეღავნდება. მწვალებლობის წინააღმდეგ ასეთი რწმენის ადამიანს, დიახაც, უკანასკნელ წუთამდე უნდა ებრძოლა. სარწმუნოების ტაძარი, ეკლესია ეპისკოპოსისათვის წმინდა დაწესებულება იყო. იგი ეკლესიის სამსახურსა და მფარველობის ქვეშ გაიზარდა. მან ყველაფერი მისცა ეკლესიას, ეკლესიამ კი სულიერი დაკმაკყოფილება, საერო ძალაუფლება, თანამდებობები და დიდება უბოძა. ეკლესიის გარეშე მისი სიცოცხლე აბსურდი იყო. ის შუბი, რომელიც უცხო უზურპატორმა და ერეტიკოსმა ამ დაწესებულებისაკენ მიმართა, ეპისკოპოსის ხორცსაც შეეხო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგიერთი ისტორიკოსი იოუნ არასონის ბრძოლას ორ ფენაში განიხილავს. ეპისკოპოსი ერთის მხრივ რეფორმაციის წინააღმდეგ და კათოლიკური ეკლესიის შენარჩუნებისა თუ ზრდის, მეორე მხრივ კი მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ და ქვეყნის ძველი უფლებებისათვის იბრძოდა. ნაკლებ სარწმუნოა, რომ თვით იოუნ არასონს ასე მკვეთრად გაემიჯნა თავისი ბრძოლა. კათოლიკეთა ბრძოლა რეფორმაციის წინააღმდეგ იმავდროულად მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაც იყო. როგორც უკვე ამ წიგნში ნათლად ვუჩვენეთ, მეფის ხელისუფლება იმ ქვეყნებში იზრდებოდა, სადაც ლუთერანობა დაამყარა და, სხვათა შორის, იმ მიზნით, რომ კათოლიკური ეკლესიის ქონება კონფისკაციაქმნილი იქნა და მეფისკენ გაედინა. ეს ცნობილი იყო იოუნ არასონისთვის. ამიტომაც დიდი ჩაძიება არ დასჭირვებია რა ბედი ეწეოდა ეკლესიის და თავის საკუთარ ქონებასაც თუკი მის საეპისკოპოსოში რეფორმაცია შემოვიდოდა. არც ის არის სარწმუნო თითქოს მეცხრამეტე საუკუნელთა დარად ეპისკოპოსი იოუნ არასონი დამოუკიდებლობის რომანტიკით ყოფილიყოს შეპყრობილი. მეფისადმი 1540 წ. მიწერილი წერილით, სადაც იგი ორდინანსიას უკუაგდებს, ადამიანს ისეთი წარმოდგენა დარჩება, თითქოს ისლანდიაში ცხოვრება მხოლოდ იმითაა კარგი, რომ აქ კათოლიციზმი ბატონობს. ამ წერილის შინაარსის გარშემო დავა იყო გამართული, მაგრამ აქ წერია: „უმორჩილესად ვთხოვთ თქვენს სამეფო უდიდებულესობას მოგვცეს ნება ჩვენვე განვაგოთ ჩვენი მოძრავი ქონება, რათა შევძლოთ ვუშველოთ ჩვენს თავს იმ ქვეყანაში, სადაც უფალმა ყველას მიუჩინა ადგილი“. იოუნ არასონისა და სხვა კათოლიკეთა გონებაში ცნებები „ნორვეგიისა და ისლანდიის კანონები“ და „საეკლესიო კანონები“ ერთმანეთთან გახლდათ გაიგივებული. ქვეყნის უფლებებისა და ეკლესიისათვის ბრძოლა ცნობიერად თუ ქვეცნობიერად მათთვის ერთი და იგივე იყო. არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ მათ ცნობიერებაში ყველაზე დიდ ადგილს ეკლესია იკავებდა. მიუხედავად ყოველივე ამის გათვალისწინებისა იოუნ ეპისკოპოსის ბრძოლის ბრწყინვალება არამც და არამც არ მკრთალდება.

ხანი ბრძოლებს შორის

მას შემდეგ, რაც 1541 წ. ეპისკოპოსმა გისურ ეინარსონმა ქრისტიან III-ის ორდინანსია დაამტკიცა, მოსალოდნელი იყო, რომ მას და იოუნ არასონს აღარაფერი შეარიგებდათ. მაგრამ, როგორც დავინახავთ, იმ რამდენიმე წელიწადს, ვიდრე გისური ცოცხალი იყო, ეპისკოპოსები საუცხოოდ შეეწყვნენ ერთიმეორეს. ჩანს ორივე ერიდებოდა იმის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთებას, რაც შეურაცხყოფას მიაყენებდა მეორეს. ქალმანსტუნგადან იოუნ ეპისკოპოსისა და მისი თანამგზავრების უკან გაბრუნების შემდეგ გისურ ეპისკოპოსმა წერილი მისწერა მას, სადაც იგი წუხს, რომ იოუნ ეპისკოპოსი გზიდან გაბრუნდა. წერილს იგი თან ურთავს გაფრთხილებას, რომ არც ერთმა არ უნდა დაუჯეროს ბოგროტ კაცთა მიერ რომელიმე მათგანის მიმართ წაყენებულ ცილისწამებას. მის სიტყვებში არც შემრიგებლური ტონი იმალება. მათ შორის მეტი მიწერ-მოწერაც ყოფილა. სხვათა შორის გისური დათანხმდა მოეგვარებინათ ბიარტნარნესის დაუსრულებელი კონფლიქტი, იოუნ ეპისკოპოსს კი ჯერ კიდევ ეგმუნდურ ეპისკოპოსის სიცოცხლეშივე აღარ წამოუყენებია პრეტენზია ამ ქონებაზე. 1542 წლის გაზაფხულზე დაწერილ წერილში იოუნ ეპისკოპოსი ამბობს, რომ გისურ ეინარსონთან „ურღვევი ერთგულებითა და კეთილშობილებით ძმური სიყვარული გავაბი".

უკონფლიქტო იყო ლეგმადურ არისა და გისურის ურთიერთობაც. როგორც ჩანს, მათ ზეპირი შეთანხმება დადეს იმის შესახებ, რომ ურთიერთშორის მშვიდობა და მეგობრობა შეენახათ, მეგობრობის განსამტკიცებლად კი საჩუქრები გაცვალ-გამოცვალეს. გისურ ეპისკოპოსმა არისგან საუცხოო ცხენი მიიღო. ჩემს ავისმოსურნეებს ყური არ უგდოო, სთხოვა წერილში ეპისკოპოსს. ცხადია არც ღირს იმის განხილვა თუ რა სიკეთე მოჰქონდა ეპისკოპოსთა მიერ ურთიერთგამოხტომების შეწყვეტას. ის, რომ მათ შორის სიმშვიდე ყოფილიყო, ორივეს ინტერესებში შედიოდა. თავისი საეპისკოპოსოს სავარძელში გისური ჯერ არც ისე მყარად იჯდა რომ ჰოულარის ეპისკოპოსისთვის ეწყენინებინა. ორდინანსია სკაულჰოლტის ეპარქიის სასულიერო პირთა მხოლოდ მცირე ნაწილის მიერ გახლდათ დამტკიცებული, ასე რომ მრავალი მათგანი გაღმა იდგა და რეფორმაციის წინააღმდეგიც იყო, თუმცა არჩევდნენ ნაკლებად გამოეჩინათ თავი. თავის მხრივ არც იოუნ ეპისკოპოსი ლამობდა მტრად მოჰკიდებოდა გისურს. მას არც თუ სახარბიელო მდგომარეობა ჰქონდა და ახსოვდა რა ბედისწერამ უწია ეგმუნდურ პაულსონს 1541 წელს. მას რომ გისურისთვის აშკარა მტრობა ეჩვენებინა, მეფის რისხვას დაიმსახურებდა, მარტო კაცი კი ჭამაშიც ცოდვაა. ამიტომ გისურის დროს ეპისკოპოსებს შორის შეიარაღებული მშვიდობა ერთგვარად გაწონასწორებული იყო.

1542 წლის 25 მარტს ქრისტიან III-მ ორივე ეპისკოპოსს წერილი მისწერა და ქოპენჰაგენში აუდიენციაზე გამოცხადება უბრძანა, აგრძნობინა, რომ საუბარი ორდინანსიაზე იქნებოდა. მეფემ თქვა, რომ ხომალდით უგრუნველყოფდა ეპისკოპოსებს რათა ისინი დანიაში ჩასულიყვნენ, ხოლო გაზაფხულზე უკანვე შინისკენ გამოეცურათ, მაგრამ, ჩანს, ინანა ეს დაპირება და ისლანდიის ნაპირები იმ ხომალდს არა-

სოდეს უხილავს. საპასუხო წერილში იოუნ ეპისკოპოსი მეფეს უხსნის, როს ვინაიდან ის ხომალდი არ ჩამოსულა, მეფის ბრძანებას ვერ შეასრულებს, გარდა ამისა ავადმყოფობამაც დარია ხელი და ზღვაზე ასეთ ხანგრძლივ მოგზაურობას ვერ გაბედავს. თავის მაგიერ ეპისკოპოსმა აუდიენციაზე თავისი ვაჟი სიგურდური, სიძე ისლეივურ სიგურდსონი და მამა ოულავურ ჰიალტასონი წარგზავნა. „გვჯერა, რომ ზემოხსენებულ კაცებს საუკეთესო გონიერება აქვთ, რათა ყურად იღონ თქვენი უმაღლესობის სურვილი – ისლანდიის კეთილდღეობა და შემწეობა", ამბობს ეპისკოპოსი წერილში, რომელიც მისმა წარგზავნილებმა ჩაუტანეს მეფეს.

ვიდრე გისური ისლანდიიდან გაემგზავრებოდა, მიდდალურში, ლოიგარდალურზე სინოდი მოიწვია და ოცდარვა პასტორს ორდინანსია აკურთხებინა. ელოდა რა დანიაში კურთხევის მიღებას, გისურმა ჩათვალა, რომ ორდინანსიისათვის მეტი მხარდაჭერა უნდა აღმოეჩინა, რადგან პასტორები, ჩანდა, უხალისოდ ემხრობოდნენ მას.

1542-43 წლის ზამთარს გისურ ეპისკოპოსი და ჰოულარის ეპისკოპოსის წარგზავნილები ქოპენჰაგენში ერთსა და იმავე დროს მოხვდნენ. გისურის წერილთა ასლების დავთრიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ის ზამთარი კარგა გვარიან განცხრომაში უცხოვრია. მასსა და ჩრდილოელებს შორის კარგი ურთიერთობა დამყარდა. გვინდა ვირწმუნოთ, რომ გრენიადარსტადურელი პასტორი (ე.ი. სიგურდური. მთანგმ.) და მისი თანხმლებნი ქეიფის ეშხზე სწორედ სკაულჰოლტის ეპარქიის უფალმა ეპისკოპოსმა მოიყვანა, რადგან ზემოხსენებულ დავთარში ჩვეული გამოწვლილვით წერს: „Item* ორჯერ მოვიდნენ ჩემთან მამა სიგურდული და et cetera* (ე.ი. ისლეივური და ოულავური). ორჯერვე გეახელით როსტოკის რვა* თეთრ ლუდს*. ამ ქეიფებისას თითქმის მეც ამდენივე დავლიე". აუდიენციის შემდეგ, რომელზეც მის უდიდებულესობა ქრისტიან III-თან ერთად ისხდნენ და ისლანდიის მომავალი ხელთ ეპყრათ, ამხანაგებმა, ცხადია, დაძაბულობის თავიდან მოხსნა ისურვეს. ამაში იოუნ არასონმა მიზეზიც კი დაინახა, რათა თავის წარგზავნილთა გამასპინძლებისთვის გისურისადმი წერილობით გადაეხადა მადლობა.

გისურ ეპისკოპოსმა კურთხევა, როგორც ნავარაუდევი იყო, პედერ პალადიუსისაგან მიიღო. მაგრამ სრულიად უცნობია რა მოხდა ქრისტიან III-სა და ისლანდიიდან წარგზავნილებს შორის. არც იმ ცვლილებებისა და ახალი წყობის შესახებ ვიცით რამე, რომლის ჰოულარის საეპისკოპოსოში გატარება მეფეს ამ ჰოულარელებისთვის უნდა ებრძანებინა. უნდა ვიფიქროთ, რომ მეფე აპირებდა ნელ-ნელა წამოეყენებინა ბრალდებები და ენახა რა მოხდებოდა ამით, რადგან ის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორიის ამ მონაკვეთისათვის იოუნ ეპისკოპოსი უკვე ხნეში იყო შესული. ამიტომ უფრო ჭკვიანური და მომგებიანი იქნებოდა მეფეს ჰოულარის ეპისკოპოსთა თავისთავადი ცვლისთვის მოეცადა. მართლაც, არ არსებობს ამ წლების არანაირი საბუთი, რომელსაც ჰოულარის საეპისკოპოსოში სარწმუნოების შეცვლაზე შეეძლოს მინიშნება.

ერთადერთი ადამიანი დანიის სამეფოში, რომელსაც იოუნ არასონის პოზიცია ახარებდა, შელანის ეპისკოპოსი პედერ პალადიუსი იყო. ორმურ სტურტლუსონისა და პიეტურ ეინარსონისადმი მიწერილ წერილში შელანის ეპისკოპოსი ამბობს, რომ ზემოხსენებული საპასუხო წერილით იოუნ არასონი ქრისტიან III-ს თავის საეპისკოპოსოში ახალი სარწმუნოების შეტანას დაპირდა. იმისათვის, რომ თავისი განმარტება უფრო სარწმუნო გაეხადა, პალადიუსმა ეს წერილი ერთ შემეცნებით ბროშურასთან ერთად დააბეჭდინა, რომელიც ისლანდიელებისთვის იყო გამოცემული. ვერ ვიტყვით თითქოს ამ ბროშურას დიდი ადგილი მოეპოვებინოს აქაურთა გულებში, ის ხომ დანიურად იყო დაბეჭდილი.

ცხადია, პალადიუსმა იოუნ ეპისკოპოსის პოზიცია ან მთლად შებრუნებით გაიგო ან შეგნებულად დაამახინჯა შინაარსი იმ წერილისა, რომელიც იოუნ ეპისკოპოსმა მეფეს თავისი წარგზავნილების ხელით გაუგზავნა. არც ის ჩანს, რომ პალადიუსის სიტყვები ქრისტიან III-ს დიდი ზეიმით მიეღოს. ერთი ასოც კი არ წერია სადმე, რომ მეფეს იოუნ ეპისკოპოსისაგან ამ გამოგონებული აღთქმის შესრულება მოეთხოვოს.

ერთი ხანობა მეფე შეეცადა სიმშვიდე დაერღვია იოუნ ეპისკოპოსისთვის და ჰოულარის საეპისკოპოსო მონასტრებზე ბატონობას წაეპოტინა. 1545 წლის გაზაფხულზე, ბუნიაობის შემდეგ, მეფემ პიეტურ ეინარსონს რეინისტადირის მონასტერი გადასცა იმ პირობით, რომ მონაზვნებზე იზრუნებდა. ასევე უბოძა მან თინგეირის მონასტერი ვინმე სვეიტნ ფინბოგასონს, ერთი წლის შემდეგ კი ორმურ სტურტლუსონმა მისგან მუნკათვერაუს მონასტერი მიიღო. ეს ღონისძიება, რა თქმა უნდა, სრული ანალოგია იყო იმისა, რაც ლუთერანობამიღებულ ქვეყნებში ან რაიონებში ხდებოდა. ვერ ვიტყვით, რომ ამ ოპერაციებით მეფე ქრისტიანს იოუნ ეპისკოპოსისათვის მეგობრული დახმარება გაეწიოს, რადგან ამავე გზით ჰირდსტიოური ოტო სტიგსონმა მეფეს 500 ლოუდი* ვერცხლი გადასცა, რომელიც „ქვეყნის ხსნისთვის" ჰოულარის ეპარქიის ეკლესიებსა და მონასტრებში იყო შეგროვებული. გარდა ამისა თვით ჰოულარის ტაძრიდან მან 600 ლოუდი ვერცხლი ამოიღო. და მაინც, ყოველივე ეს წვრილმანი იყო იმასთან შედარებით, რაც სკაულჰოლტის საეპისკოპოსომ დაკარგა. სკაულჰოლტის ეკლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სია თავის ყველა ძვირფას ნივთს გამოეთხოვა, მათ შორის ქლაინგურ თორსტეინსონის* დროინდელ საკურთხეველის ოქროს დიდებულ თასს, რომელიც სუფთა ოქროს ოთხ მერკს* და ვერცხლის ერთ ლოუდს იწონიდა. ყოველივე ამან ეკლესიაზე იმხელა გავლენა იქონია, რომ როდესაც ახალგაზრდა სტუდენტი თორვარდურ ეინარსონი ეკლესიის ხაზინის შეწევნით ქოპენჰაგენში სასწავლებლად ჩავიდა, გისურ ეპისკოპოსმა მისი დახმარება ვეღარ შეძლო. ხაზინა დანიისკენ გაფრინდა, ღმერთმა განუსვენოსო, უთქვამს გისურს.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ეპისკოპოსები შეთანხმდნენ სასამართლო დაენიშნათ ბიარტნარნესის ქონების თაობაზე, მაგრამ განაჩენის გამოტანა გაჭიანურდა. მაშინ გისურ ეპისკოპოსი დათანხმდა, რომ 1544 წლის ზაფხულში ალთინგზე სამედიატორო სასამართლო დანიშნულიყო, მაგრამ ალთინგამდე ბიარტნარნესის მიწებზე მთელი უფლებამოსილება მან თავის ძმას იოუნ ეინარსონს გადასცა და სკეიდარაუსა და ლოუნსჰეიდის შორის პრობსტადაც დანიშნა. მოლაპარაკებისას გისურს უკვე ყოყმანი და ორჭოფობა დაეტყო. ალთინგზე ექვსი კაცისაგან შემდგარმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ მთელი თავისი მტკიცებულობებით ეს საქმე მეფის სამსჯავროზე უნდა წარდგენილიყო. მეფის დადგენილება კი აღაღადდა, რომ ეგმუნდურ ეპისკოპოსისა და ტეიტურ თორლეივსონის ნასყიდობის წერილი მხედველობაში არ იყო მისაღები და ბიარტნარნესი, ისევე, როგორც ტეიტურ თორლეივსონის მთელი ქონება იოუნ ეპისკოპოსის მფლობელობაში გადადიოდა. მეფის პოზიცია ამ საქმის მიმართ ერთობ გასაკვირია და გვიჩვენებს, რომ მეფისა და იოუნ ეპისკოპოსს შორის იმ წელს კარგი ურთიერთობა ყოფილა. დანიაში ეპისკოპოსის ვაჟის, სიძისა და ნდობით აღჭურვილი პასტორის ჩასვლამ, ჩანს, სასიკეთოდ იმოქმედა. ამას გარდა მეფის გული იოუნ არასონის მიერ „ქვეყნის ხსნისთვის“ გაღებულმა წვლილმაც მოალბო.

როდესაც იოუნ ეპისკოპოსს მეფის დადგენილების ამბავი ჩამოუვიდა, ჩათვალა, რომ მისი ფინანსური მდგომარეობა დიდად გაუმჯობესდა. ახლა მან დააპირა რაც შეიძლება მალე ესარგებლა საკუთრების უფლებით, ის ხომ მთელ ჩვიდმეტ წელიწადს ითმენდა და იცდიდა, რათა დაუფლებოდა ქონებას, რომელსაც თავისად მიიჩნევდა. ერთ-ერთი წყარო გადმოგვცემს, რომ ღალის ასაკრეფად იოუნ ეპისკოპოსი ხშირად დადიოდა ბიარტნარნესში, მაგრამ ამის შესახებ არ გაგვაჩნია რაიმე სარწმუნო ცნობები. მეორე მხრივ დანამდვილებით ვიცით, რომ იგი იქ ორჯერ ჩასულა. პირველად ეს იყო 1545 წ., ალბათ ზაფხულის მიწურულს, და მის ამ მგზავრობას ბიარტნარნესის მხედრობას უწოდებენ ხოლმე. ეპისკოპოსს დიდი და ძლიერი რაზმი ახლდა თან, რადგან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩანდა, საძნელო საქმეზე მიეშურებოდა, თუმცა ღალა უკვე აკრეფილი ჰქონდა. 1547 წლის მხედრობისას მან უფრო მეტად გააჩანაგა იქაურობა. როდესაც გისურ ეპისკოპოსმა ბიარტნარნესის მხედრობის ამბავი შეიტყო, წერილი მისწერა იოუნ ეპისკოპოსს: „დიდად მაოცებს თქვენი ქმედება, რამეთუ არავითარი იმედი არა მაქვს, რომ უმოწყალესი უფალი ხელმწიფისაგან რაიმე საბუთი გქონდეთ მიღებული". რა გისურის წერილი მიიღო, იოუნ ეპისკოპოსს ეს ლექსი გამოუფრინდა:

აწი მცირდება სამყაროს ძალა,
სადღა იპოვის შემწეს, მეგობარს?
ბევრს თვალთმაქცურად ეხმარებიან,
ვაჟკაცობისთვის უშვიათ ხელი.
ახლა ერთგულებას სიგიჟედ თვლიან,
სენი შეჰყრია აგერ რწმენასაც,
ვხედავ მოუკლავთ დიდსულოვნება,
შორს გაუგდიათ გულსათნოებაც.

გისურის წერილიდან ჩანს, რომ მეფის დადგენილების შესახებ გაკვრითაც არ არის ინფორმირებული. ამ საქციელისთვის მან იოუნ ეპისკოპოსს ჰირდსტიოურისთან უჩივლა.

ბიარტნარნესის 1547 წლის მხედრობისას იოუნ ეპისკოპოსს, ჩანს, არაადამიანური ძალა მისცემია. ეპისკოპოსისა და მისი ხალხის გათარეშების შესახებ არსებობს აურტნანესელი გლეხის ინდრიდი ქეტილსონის ჩვენება, რომელიც შემდეგ შვიდი კაცის მიერ იქნა დამოწმებული. ამ მხედრობისას იოუნ ეპისკოპოსს სხვა კაცთა გარდა მისი ვაჟები არი და სიგურდური, მამა ოულავურ ჰიალტასონი და ეპისკოპოსის აღზრიდილი ოულავურ თოუმასონი ახლდა თან. ამბობენ, პირუტყვი საძოვრიდან გამორეკეს, ოთხი დღე დამწყვდეული ჰყავდათ და საქონელი კინაღამ არ გაიგუდაო. ასეთი პატივი მიაგეს ცხენებსაც. რამდენიმე მათგანს საპალნეები მოხსნეს და აღვირ-მოსართავები შუაზე გადაუჭრეს, ერთი ცხენი კი გლეხის ბიჭს ქვეშიდან გამოაცალეს. ბიჭი დაეცა და დახეიბრდა. შემდეგ სოფელში დაიწყეს ჭენება, ხალხი სამუშაოს მოაცდინეს და ერთი კაცი ცემით სიკვდილის პირზე მიიყვანეს, თან ყველას ემუქრებოდნენ. ამ ორომტრიალში ეპისკოპოსის ვაჟი არი ცხენიდან გადმოვარდა, ნაკადულში ჩავარდა და იძულებული გახდა ტანისამოსი გამოეცვალა.

იოუნ ეპისკოპოსისა და მისი ხალხის ქცევა აქ გამოწვლილვით იმიტომ აღვწერეთ, რომ სწორედ ეს გვიჩვენებს თუ როგორ იზრდებოდა ეპისკოპოსის სიშლეგე და აგრესია ჟამთა მსვლელობასა და მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზის ჩასვლასთან ერთად. წყაროები მოიარებით ყვებიან, რომ სხვადასხვა კუთხეებში რაზმით დაიარებოდა და კონფლიქტებს ძალმომრეობით წყვეტდა. გლეხი ინდრიდის ჩვენება მოწმობს თუ რა შავ დღეში აგდებდნენ ხალხს ჰევდინგები, მაგრამ იმ დროისთვის იოუნ ეპისკოპოსის ქცევა სულაც არ გახლდათ აგრესიის გაუგონარი გამოვლინება. მოულოდნელი ის არის, რომ მამა სიგურდური აქ მამამისს ახლავს თან, სხვა დროს ხომ თითქმის მშვიდობიანი კაცი იყო და არც დიდი საქმეები წამოუწყია ოდესმე. იგივე ითქმის მამა ოულავურ ჰიალტასონზე, რადგან ისტორიის ამ მონაკვეთისთვის ორივეს უკვე ლუთერანობა მიღებული აქვთ.

საქმე დაწყებულია. იოუნ ეპისკოპოსის სკაულჰოლტს გამგზავრება

ეპისკოპოსი გისურ ეინარსონი სკაულჰოლტში 1548 წ. გარდაიცვალა. ახლა სკაულჰოლტის რეზიდენციაში მისი მონაცვლე უნდა აერჩიათ. ამ მიზნით გისურის მიერ დანიშნულმა სკაულჰოლტის საეპისკოპოსოს რწმუნებულებმა საერთო სინოდი მოიწვიეს, რომელიც ივნისის ბოლოსთვის უნდა გამართულიყო. სინოდის დაწყების დღე იოუნ ეპისკოპოსმაც შეიტყო, რადგან, უეჭველია, სამხრეთში ახლო მეგობრები ჰყავდა, რომლებიც ამბავს ჩაუტანდნენ. როდესაც ეს დღე მოახლოვდა, იოუნ ეპისკოპოსი გაემზადა და თავის რაზმთან ერთად სამხრეთისაკენ გაეშურა.

მას თავისი ვაჟები და სიძე ისლეივური ახლდნენ თან. იოუნ ეპისკოპოსის მგზავრობის მიზანი, ცხადია, ეპისკოპოსის არჩევნებში მონაწილეობის მიღება იყო. მიაჩნდა, რომ ლუთერანები უხელმძღვანელოდ იყვნენ დარჩენილნი და სინოდის მთელი ძალაუფლების ხელში დაჭერა იოლი იქნებოდა. სანამ გავაგრძელებდეთ, ღირს მივიხედოთ უკან და დავუკვირდეთ, მოუფიქრებლად, მოუმზადებლად ხომ არ გაემგზავრა იოუნ ეპისკოპოსი სამხრეთით.

გისურ ეპისკოპოსის გარდაცვალებისთანავე იოუნ არასონმა სკაულჰოლტს მიაშურა, რადგან ამ საეპისკოპოსოს ზედამხედველობა მას ევალებოდა. თქმა არ უნდა, იმ ნიადაგის მომზადებას აპირებდა, რომ ეპისკოპოსის არჩევნებში თავისი ხელიც გაერია. ამაზე მიგვითითებს ქალმანსტუნგაში 21 აპრილით დათარიღებული წერილი, რომელიც მან სკაულჰოლტის საეპისკოპოსოს მცხოვრებლებს მისწერა. წერილის შინაარსის მიხედვით იოუნ ეპისკოპოსს სურს „გააძლიეროს სკაულჰოლტის ეკლესია ყოველგვარი რჩევებითა და კეთილი წინადადებე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეპისკოპოს იონ არასონის მოსასხამი, რომელიც
ინახება ისლანდიის სახ. მუზეუმში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით", ვინაიდან ქრისტიანული სამართლის შესაბამისად ამ უფლებამოსილებით იგი მეფემ აღჭურვა. ამბობს, რომ მიღებული აქვს რომის წმინდა ეკლესიის ლეგატის თანამდებობა, რაც მას ანიჭებს „სრულ ძალაუფლებას მთელ ისლანდიაზე, რათა dispensera* მთელ causas papales*". მისი თქმით სკაულჰოლტის საეპისკოპოსოში იგი ეპისკოპოსის მოვალეობის შესასრულებლად მიიწვიეს, ვინაიდან კეთილმა ხალხმა ინება ეთხოვა ეს. აქვე იგი მკაფიო მახვილს სვამს იმაზე, რომ არ სურს განახორციელოს „სკაულჰოლტის ეკლესიის ხელისუფლება და კანონები".

ის, რასაც იოუნ ეპისკოპოსი ამბობს და წერილიდან ირკვევა, საეკლესიო სამართლის თანახმად მართლა მისი გასაკეთებელი იყო. ყოველთვის, როცა კი ერთ-ერთი ეპარქია უეპისკოპოსოდ რჩებოდა, ახალი ეპისკოპოსის არჩევამდე ადგილი მეორე ეპისკოპოსს უნდა დაეკავებინა. ყოველივე ეს შეიცავდა ვალდებულებას (ან უფლებას), რომ ეპარქიაში შესრულებული ყოფილიყო ეპისკოპოსის ყველაზე აუცილებელი მოვალეობები. გავიხსენოთ, რომ ვიდრე იოუნ ეპისკოპოსი კურთხევის მისაღებად ნორვეგიაში იყო ჩასული, ჰოულარის საეპისკოპოსოს სასულიერო მმართველობას ეგმუნდურ ეპისკოპოსი ახორციელებდა. წერილში ეპისკოპოსი ნათლად უსვამს ხაზს იმას, რომ არ სურს ხელი მოკიდოს „ხელისუფლებას და კანონებს". ესეც ქრისტიანულ სამართალს ეთანხმება, რადგან ეს უფლება ეპისკოპოსის რწმუნებულთა (ოფიციალეთა) ხელისუფლების ფარგლებში იყო.

ამით ჯერ ყველაფერი არ თქმულა. იოუნ ეპისკოპოსმა უფრო შორს წასვლა განიზრახა. მან დაინახა შესაძლებლობა, რომ მისი ჩარევითა და თაოსნობით ეპისკოპოსად კათოლიკე აერჩიათ და, აქედან გამომდინარე, მთელ ისლანდიაში აღედგინა კათოლიციზმი. მიუხედავად იმისა, რომ ეპისკოპოსად გისურის აღიარება სიტყვითაც და საქმითაც მოუხდა (ან თავის სასარგებლოდ ჩათვალა), კანონიერ ეპისკოპოსად არასოდეს მიუჩნევია იგი, ის ხომ მხოლოდ სუპერინტენდენტი იყო ანუ მეფის მოხელე. ამ თანამდებობას კი ქრისტიანული (კანონიკური) სამართლის მიხედვით ეპისკოპოსის ხელისუფლებასთან ბევრი არაფერი ჰქონდა საერთო. ახლა კი დადგა ჟამი, რომ ყველაფერი თავის კალაპოტში ჩამდგარიყო და სკაულჰოლტის რეზიდენციაში დაესვათ კაცი, რომელიც „ნორვეგიისა და ისლანდიის კანონების" თანახმად იმოქმედებდა. ის კი, თუ როგორ უნდა ეკურთხებინათ ეს კაცი ეპისკოპოსად, როდესაც არქიეპისკოპოსი აღარ არსებობდა, სხვა ისტორიაა.

ახლა კი დავუბრუნდეთ იმას, რომ 1548 წლის 25 ივნისს იოუნ ეპისკოპოსი სკაულჰოლტის სიახლოვეს გაჩერდა. ერთი დღის შემდეგ დაიწყო სინოდის სხდომა. ეპისკოპოსს განზრახული ჰქონდა დრო ეხელთა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

განეწმინდა ტაძარი, სადაც გისურ ეინარსონი გახლდათ დაკრძალული. მაგრამ მისთვის და მისი თანამგზავრებისთვის სკაულჰოლტის ბილიკები ხსნილი როდი იყო, რადგან ლუთერანებს იქ დიდძალი რაზმი ჩაეყენებინათ. იოუნ ეპისკოპოსის მხედრიონის შესახებ მათთვის უკვე მიეტანათ ენა და მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი წინ აღდგომოდნენ იმას, რომ სინოდი ეპისკოპოსს წარემართა. პირველად თავის ცხოვრებაში სკაულჰოლტელებზე იერიშის მიტანა იოუნ ეპისკოპოსს არც თუ იოლ საქმედ ეჩვენა. სკაულჰოლტის საეპისკოპოსოს საქმეთა მმართველის და ახალი სარწმუნოების თავგამოდებული მომხრის მამა იოუნ ბიარტნასონის, პიეტურ ეინარსონისა და სნოუქსდალურელი დადი გუდმუნდსონის ხელმძღვანელობით სკაულჰოლტელები დიდად მომზადებულები იყვნენ. რაზმს ეს უკანასკნელი ედგა სათავეში. სტრატეგია, განსაკუთრებით კი თავის დასაცავი ნაგებობების აგება პიეტურს დანიაში ჰქონდა ნასწავლი.

რიცხოვანებით სკაულჰოლტელები ეპისკოპოსის ხალხს აღემატებოდნენ. მათ სამასი კაცი გამოიყვანეს, თორლაუქსუდთან ზღუდეები ააგეს და თავის დასაცავად ხალხს ცეცხლსასროლი იარაღი დაურიგეს. იოუნ ეპისკოპოსს დაახლოებით ასი კაცით ნაკლები ჰყავდა და თავდასხმა ვერ გადაეწყვიტა. იგი ჩრდილოეთით ჩამოხტა იმ ადგილას, რომელსაც ფორტნისტედუტლი ერქვა და კარვები დასვა იქ. აი, ამ ადგილებისაკენ საეპისკოპოსოს ყოველი მხრიდან დაიძვრნენ როგორც პროტესტანტები, ისე კათოლიკე პასტორები და ეს უკანასკნელნი რიცხვით, ალბათ, ყველას ჯაბნიდნენ. წყაროები არ გვიამბობენ თუ ვინ ხელმძღვანელობდა სინოდის სხდომას, რომელიც ეკლესიაში გაიმართა. ყოველ შემთხვევაში ეს არ იქნებოდა იოუნ არასონი, რადგან სკაულჰოლტის მისასვლელები მისთვის აღკვეთილი იყო.

როგორც მოსალოდნელი იყო, სასულიერო ბატონებს ბედმა არ გაუღიმათ ეპისკოპოსის კანდიდატურაზე შეთანხმებულიყვნენ. ხანგრძლივი დავისა და სარწმუნოებრივი შეხლა-შემოხლის შედეგად შერჩეული იქნა ორი კანდიდატურა, თიკვაბაირის მონასტრის აბატი სიგვარდურ ჰალდორსონი კათოლიკეთა მხრიდან და სტადურ აუ ელდუჰრიგურის პასტორი მარტეიტნ ეინარსონი ლუთერანთა მხრიდან.

წყალი არ გაუვა იმას, რომ იოუნ არასონმა, თუმცა რეზიდენციის ფარგლებს გარეთ იყო, საქმის მსვლელობაზე გარკვეული გავლენა იქონია.კათოლიკები ხომ მისი თხოვნით შეჯარდნენ სინოდზე.

სიგვარდური კანონიერად იქნა არჩეული, მარტეიტნი კი უკანონოდ. ეს უდიდესი მნიშვნელობის მომენტი გახლავთ, რომელიც შემდგომ მარტეიტნისადმი იოუნ ეპისკოპოსის ქცევას გააშუქებს. ნაპოვნია სიგვარდურის მანდატი. იგი ოცდაოთხ მოძღვარს აურჩევია. მარტეიტნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანდატი კი ღღეისთვის დაკარგულია, მაგრამ ერთ-ერთი წყაროდან ჩანს, რომ იგი იგივე რაოდენობის მოძღვართა მიერ არის არჩეული, ამათგან კი მხოლოდ ექვსი თუ რვა იყო პასტორად ნაკურთხი. დანარჩენებს კურთხევა უფრო დაბალ ხარისხში მიუღიათ.

ამ ზაფხულს მეფის დასტურისა და შემდეგ კურთხევის მისაღებად ორივე კანდიდატი დანიაში გაემგზავრა. სიგვარდურისთვის თამაში, რაღა თქმა უნდა, წინდაწინვე წაგებული გახლდათ. არ არსებობდა არავითარი იმედი, რომ ქრისტიან III კათოლიკეს არჩევანს დაეთანხმებოდა. 1549 წლის გაზაფხულზე მამა მარტეიტნმა დასტურიც მიიღო და კურთხევაც. მაგრამ იგი დიდხანს ვერ დატკბა სიცოცხლით, რადგან 1550 წ. ქოპენჰაგენში, ჩანს, უკვე ლუთერანობაზე მოქცეული გარდაიცვალა.

სინოდის სხდომაზე, ეპისკოპოსის არჩევნების დასასრულს, კათოლიკე სასულიერო პირებმა იოუნ ეპისკოპოსი სკაულჰოლტის ადმინისტრატორად დაამტკიცეს, სიგვარდურმა კი იგი თავისი რეზიდენციის რწმუნებულად დანიშნა. აქ იოუნ ეპისკოპოსმა ჩათვალა, რომ უკვე ხელთ ჰქონდა ის ძალაუფლება, რომელიც ამ საეპისკოპოსოს ბატონობაზე პრეტენზიის წამოსაყენებლად იყო საკმარისი. ყველას, ვისაც კი ქედის მოხრა არ სურდა, ეპისკოპოსი შეჩვენებით დაემუქრა, თუმცა ამით ვერას მიაღწია. სკაულჰოლტზე თავდასხმის მცდელობის შემდეგ კი ხუთ ღღეში იგი იძულებული გახდა იქაურობას გასცლოდა. მაგრამ იოუნ ეპისკოპოსს ჯერ არ გამოლეოდა ენერგია. მოგვიანებით ალთინგზე ყველაფერი მან წარმართა და საქმეებიც თავისი სურვილის მიხედვით გადაჭრა.

ზაფხულის მიწურულს იოუნ ეპისკოპოსმა დასავლეთით დალირისკენ მოაწყო მხედრობა, რათა იმ მოწინააღმდეგისთვის ესწავლებინა ჭკუა, რომელიც შემდგომ მისი უსაშიშესი მტერი გახდა. ეს იყო სნოუქსდალურელი დადი გუდმუნდსონი. იგი ყველაფერში დიდი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი გახლდათ. პატივსა და სიმდიდრეს ეგმუნდურ ეპისკოპოსის დროს მიაღწია, შემდეგ კი გისურ ეინარსონის წყალობაც მოიპოვა. ამას გარდა 1547 წ. თორლეივურ პაულსონის შემდეგ იგი ლეგმადურობაზეც კი წარადგინეს, მაგრამ მის მაგიერ ორმურ სტურტლუსონი იქნა არჩეული. გისურის დროს დადი ლუთერანიზმის ლაქიად იქცა, ცოლად მარტეიტნისა და პიეტურის და მოიყვანა და ძმებს დაუმოყვრდა. იგი დიდი მუსუსიც ყოფილა და ოჯახის გარეთ მრავალი შვილიც ჰყოლია.

იოუნ ეპისკოპოსი თავს მოვალედ თვლიდა შური ეძია დადიზე, რადგან იმ ზაფხულს სწორედ ის მეთაურობდა მათ, ვინც სკაულჰოლტის ეკლესიაში შესვლა აუკრძალა ეპისკოპოსს. იოუნ არასონმა ნაც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

არტუტად აქცია დადის სამი კარ-მიდამო: სოიდაფეტლი, სნოუქსდალური და ქვამური, მაგრამ ვინაიდან ვერსად მოიხელთა დადი, შემოდგომისთვის ქვამურში თორმეტეულის სასამართლოზე დაიბარა. ბრალდება შვიდი პუნქტისგან შედგება, სადაც დადის ბრალად ედება დაუმორჩილებლობა, სკაულჰოლტის ეკლესიის ქონების მითვისება, სისხლის აღრევა და სხვა. როგორც ჩანს, დადიმ ეს გამოძახება არად ჩააგდო. ქვამურის სასამართლომ მძიმე ჯარიმები დააკისრა, მას კი განაჩენისთვის წინა გამოძახებაზე მეტი ყურადღება როდი დაუთმია. ფოგტ ქრისტიანისადმი (მეტსახელად მოხელე) დაწერილ მოხსენებაში ეპისკოპოსისა და მისი ხალხის მიერ თავისი კარ-მიდამოების ძარცვა-შემუსვრის ამბავი დადიმ გაცილებით მუქი ფერებით აღწერა: „ქვამურში პასტორს წიგნები წაჰგვარეს, ლიტურგიკონი და დავითნი, item ეკლესიაში გატეხეს სკივრი, შემოსასვლელში მოისროლეს და მთლად დაამსხვრიეს“. იქვე ამბობს, რომ თან წაიღეს 120 ფუთი კარაქი, ფეხსაცმლის ტყავი, ცხვრის გაკრეჭილი ტყავები, თავზსაჭერი აღჭურვილობა, ერთი ოთხ და ერთი ათფუთიანი ქვაბი, ათი ცხენის დასაჭედი რკინა და სხვა მრავალი.

თავისი ქონების განადგურებისთვის დადი შურის საძიებლად კი არ გაჭრილა, არამედ ფოგტ ქრისტიან მოხელესთან უჩივლა ეპისკოპოსს, ის კი აბა რომელი ვაქკაცი იყო ამ საქმეში გარეულიყო და დადის ლეგმაღურისკენ გაუშვირა თითი. მეორე მხრივ ფოგტმა აღუთქვა, რომ მის მოწინააღმდეგეებს არანაირ მხარდაჭერას არ აღმოუჩენდა, თან სთხოვა ვიდრე მომავალ ზაფხულს მეფის პირდაპირი რწმუნებული (პირდსტიოური) არ ჩამოვა, ამგვარი ბრალდებების წაყენებისას ფრთხილად იყავიო. როდესაც იოუნ ეპისკოპოსმა ნახა, რომ ვერ დაიმორჩილა დადი, ის კი არც განაჩენს დაგიდევდათ და არც ცოდვების მონანიება-გამთსყიდვით იკლავდა თავს, უკანასკნელ გამოსავალს მიმართა და შეაჩვენა იგი. შეჩვენების წერილი დათარიღებულია ჰოულარში 1549 წლის 2 იანვარს. წერილში ჩამოთვლილია იგივე ბრალდებები, რომლის მიხედვითაც ქვამურის სასამართლო ჩატარდა. დიდი იყო ის ბრალდებებიც, რომელიც ეპისკოპოსმა დადის წინააღმდეგ სასამართლოს განაჩენის გამოტანის შემდეგ წამოაყენა. მაგალითად დადი შუაზე ხევდა კიცხვის წერილებს, რომელსაც მას ეპისკოპოსი უგზავნიდა ხოლმე, შიკრიკებს კი, სასულიერო პირებს, ერეკებოდა, აფურთხებდა და წერილების წაკითხვაში უშლიდა ხოლმე ხელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე, პაპი და იმპერატორი

ის ამბები, რომელიც იქნა მოთხრობილი, მალე ქრისტიან III-ის ყურსაც მისწვდა. სკაულჰოლტის საეპისკოპოსოში იოუნ არასონის ქცევის ამბავი მეფეს, ცხადია, მომავალმა ეპისკოპოსმა მარტეიტნ ეინარსონმა ჩაუტანა. მეფემ ჩათვალა, რომ მწარეთ მოატყუეს. უკანასკნელ წლებში ეპისკოპოსის მიმართ იგი დიდ მოთმინებას იჩენდა და არც მის ეპარქიას ესხმოდა თავს. მაგრამ ის, რომ იოუნ ეპისკოპოსი სკაულჰოლტის საქმეებშიც ჩაერია და ხელშეუხებელ ხალხსაც გამოსდო სარმა, მეფეს დიდად არ ეჯაშნიკა. ამიტომ წერილი მისწერა ეპისკოპოსს, თავისთან დაიბარა და იქითა თუ აქეთა გზაზე ხელშეუხებლობაც აღუთქვა. მეფე ამას არ დასჯერდა და ყველა ისლანდიელის მისამართით აფრინა ბრძანება, სადაც აცხადებს, რომ იოუნ ეპისკოპოსის ქცევის ამბავი უკვე მის ყურსაც მისწვდა და თუ ეპისკოპოსი მის გამოძახებას არ დაემორჩილება, გადასახლების მუქარით ყველას უკრძალავს დაემორჩილოს ამ უკანასკნელს ან ხელი გაუმართოს მას, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ გამოძახებისთვის იოუნ ეპისკოპოსს ყურიც არ უთხოვებია. არ აპირებდა კრავივით მოეტყუებინებინა თავი მეფისთვის. ესეც არ იყოს, თვლიდა, რომ ამ საქმეებზე მეფეს არავითარი უფლებამოსილება არ ჰქონდა. „მეფის გამოძახებებს არ დავეთანხმებით იმაზე მეტად, ვიდრე ეს კანონთა წიგნითაა დამტკიცებული“. ეს იყო ერთ-ერთი იმ პირობათაგანი, რომელიც ისლანდიელებმა მეფე მაგნუსს წამოუყენეს. იოუნ არასონი ისტორიაშიც განსწავლული გახლდათ და კანონებშიც, იცოდა რა შინაარსიც იდო ამ სიტყვებში.* იოუნ არასონის ქმედებათა შესახებ მეფეს კიდევ მრავალი საჩივარი ჩაუვიდა, მაგრამ ამ ბრალდებებს ეპისკოპოსი არად აგდებდა. როდესაც მეფემ დაინახა, რომ იოუნ ეპისკოპოსი მის ყველა ბრძანებას ჯიქურ დაუდგა და არც მისი მუქარისთვის უთხოვებია ყური, იოუნ არასონი განდევნილად და კანონგარეშედ გამოაცხადა. ეს მოხდა 1549 წლის დასაწყისში. მეფე ამას როდი დასჯერდა. სნოუქსდალურელ დადი გუდმუნსონს ეპისკოპოსისა და მისი ვაჟების შეპყრობა უბრძანა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი თავს იძულებულად ჩათვლიდა სამხედრო რაზმები გამოეგზავნა ისლანდაში, რაც ისევ დადი გუდმუნდსონსა და უბრალო ხალხს ავნებდა. მეფის ეს ბრძანება გაზაფხულის ხომალდებს ჩამოჰყვა აქ. იოუნ ეპისკოპოსის მტრებმა ჩათვალეს, რომ მათ აფრებს ზურგქარმა დაუბერა, მაგრამ იოუნ არასონს ნირიც არ უცვლია და თავის დასაცავად გაემზადა. გაიხსენა, რა ბედი ეწია ეგმუნდურ ეპისკოპოსს ათი წლის წინ და გადაწყვიტა იგივე ორმოში არ ჩავარდნილიყო. ულავ არქიეპისკოპოსის მსგავსად მან სიმაგრე ააგებინა ჰოულარში. სიმაგრე ეკ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლესიისაგან ჩრდილოეთ მხარეს იქნა აგებული, მასსა და ეკლესიას შორის კი გვირაბი გათხარეს, რომელსაც ციხე-დარბაზი ეწოდა. სიმაგრის გარშემო შემოვლებული თხრილი ეპისკოპოსმა წყლით აავსებინა, როგორც შუა საუკუნეთა რაინდები იცავდნენ ხოლმე თავიანთ ციხეებს. სიგურდურის რეესტრის თანახმად რეზიდენციას იარაღიც თავზესაყრელად ჰქონდა. ჰოულარის მფლობელობაში ზარბაზნებიც იყო, რომელიც მეთექვსმეტე ასწლეულამდე გახლდათ ნაყიდი. გარდა ამისა ჰქონდათ ორმოცდაათი ფუთი დენთი, ყუმბარები და თოფები. მაგრამ ეს მძლავრი ნაგებობა იოუნ ეპისკოპოსს არასოდეს გამოსდგომია. გარემოებები ისე აეწყო, რომ თავის დაცვა მას სულ სხვა ადგილზე მოუხდა.

1549 წლის ზაფხულში ეპისკოპოსს გადასცეს წერილი, რომელსაც იგი სიხარულით უნდა აღევსო. წერილი თვით რომის პაპის პავლე III-გან იყო. ჯობს ამ მოვლენაზე მცირე ხნით შევჩერდეთ. 1548 წლის ზაფხულში პაპს წერილი დაუწერა და ერთ უცხოელ მეხომალდეს გაატანა, რომელსაც ვოლფი ერქვა. მიუხედავად პაპის არქივში ჩატარებული ძიებისა, ეს წერილი ნაპოვნი არ არის, მაგრამ წინა წერილის შინაარსი პაპის პასუხის მიხედვით შეგვიძლია დავადგინოთ. თავის საპასუხო წერილში მისი უწმინდესობა მოუწოდებს „პატივდებულ ძმას", რომ მტკიცედ იდგეს „ამაზე" (არავინ იცის რა არის „ამაზე". წინა წერილში იოუნ ეპისკოპოსს რაღაც უკითხავს მისთვის). პეტრეს ფული კი ანუ წმინდა რომის გადასახადი ჯობს უქონელთ დაურიგდეთო, ამბობს პაპი. წმინდა რომის გადასახადი, რომელიც თავის საეპისკოპოსოში შეაგროვა და ჩვეულებისამებრ არქიეპისკოპოსისთვის უნდა გადაეცა, თვით ეპისკოპოსთან ინახებოდა.

წყაროები მოგვითხრობენ, რომ ეს წერილი მხოლოდ სამი სტრიქონისგან შედგებოდა. როგორც ჩანს ეს იყო ე.წ. ბრევე ანუ თარაზულად ნაწერი. ამბობენ, რომ პაპის წერილი იოუნ ეპისკოპოსს დიდი ცერემონიით მიუღია. როდესაც ჰოულარის კათედრალური ეკლესიის ქანდარაზე წერილი წაუკითხავთ, იგი თავისი უძვირფასესი მორთულობით აღკაზმულა. პაპის ეს წერილი შესანიშნავი დოკუმენტია, რადგან წარმოდგენას გვიქმნის თუ როგორ აიკრიფა პაპმა გუდა-ნაბადი დედამიწის ჩრდილოეთ ნახევარსფეროდან. ეს წერილი იოუნ ეპისკოპოსს ნამდვილად გულს მოეფონა, რომაელი მამის ლოცვები და წრფელი სურვილები ქრისტიან III-თან შეტაკებაში დიდად არ წადგომია.

თავგამოდებით ამტკიცებენ, თითქოს ამ ბრძოლაში სახსრების მიღების მიზნით იოუნ ეპისკოპოსს უცხოელ ფეოდალებთან ჰქონდა საიდუმლო კავშირი. მცდარია ის აზრიც, ვითომ თავის სამშობლოზე ბატონობა უცხოელი ფეოდალის ხელისუფლებას შეფარებულს სურდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა საკითხია ის, რომ ქრისტიან III-ს ისლანდიის ხელისუფლების სათავეში არაკანონიერი გზით მოსულად თვლიდა. ამიტომ, თუკი საშუალება მიეცემოდა ხელი შეეშალა თავისი ეკლესიის გაუქმებისა და მწვალებლობის დანერგვისათვის, სულაც არ მიაჩნდა მკრეხელობად დახმარება უცხოელებთან ეძებნა. ის, რომ ეპისკოპოსმა გერმანიის იმპერატორს ქარლ V-ს წერილი მისწერა და სთხოვა ამ საქმეზე ქრისტიან III-თან ელაპარაკა, სრული ჭეშმარიტებაა. ხშირად მიუთითებენ ხოლმე, იოუნ ეპისკოპოსმა სკაულჰოლტის მიმართ აქტიურობა იმ დროისთვის გამოიჩინა, როდესაც ლუთერანების წინააღმდეგ ბრძოლაში იმპერატორს საქმეები კარგად წაუვიდაო. განა რა დაუჯერებელია, რომ ახალ ამბებს ეპისკოპოსისთვის მეტი ენერგია შთაებერა და იმედის ნაპერწკალიც აეკიაფებინა სამხრეთით? განა მისი ოცნება, რომ ლუთერანებს სული დაეღაფათ, ახდენას არ იწყებდა? ეპისკოპოსს ის აზრიც უელავდა, რომ ამ დროისთვის მეფე მეტ-ნაკლებად მომლბალი იქნებოდა და ეგებ ყურადაც ეღო მორჭმული იმპერატორის თხოვნა ისლანდიაში კათოლიციზმის დანდობის შესახებ, მითუმეტეს მეფე ერთგვარად დავალებულიც იყო იმპერატორისაგან, ვინაიდან თვითონაც გერმანელი ჰერცოგი გახლდათ.

ჩვენ გვახსოვს, რომ 1548 წ. სკაულჰოლტში იოუნ არასონის შემწეობით კათოლიკეთა მხრიდან ეპისკოპოსის კანდიდატურად შერჩეულ იქნა სიგვარდურ ჰალდოურსონი. ეს მეტად გაბედული ნაბიჯი იყო, მაგრამ იოუნ არასონი არ გახლდათ ისეთი ვიწრო მსოფლმხედველობის ადამიანი, რომ კათოლიკე კაცის არჩევისთვის ებრძოლა თუ ამ დროს მისი წინსვლისა და დანიაში დამტკიცების იმედი არ ჰქონოდა. მისი იმედი კი სწორედ ქარლ V-ს მხარდაჭერას ემყარებოდა. არსებობს იმის მყარი მტკიცებულებები, რომ იმპერატორსა და მეფეს შორის წერილებს ვინმე ვოლფი დაატარებდა, რომელიც უკანასკნელ წყაროებში ჰანსონად იხსენიება ანუ ის, ვინც 1548 წ. პაპს იოუნ არასონის წერილი ჩაუტანა. ამ წერილებზე, რომელიც იმპერატორისგან მეფეს გაეგზავნა, სიგურდურის რეესტრის მიხედვით გადარიცხულია ორმოცი გულდენი.* ამ ვოლფმა, რომელიც ყველა ნიშნის მიხედვით გერმანელი უნდა იყოს, იკისრა იოუნ არასონის წერილები იმპერატორისთვის, შემდეგ კი ეპისკოპოსისგანვე მეფისთვის გადაეცა. მაშინ ეს მოღალატეობა იყო, როგორც ამას ეძახდნენ.

მიუხედავად იოუნ ეპისკოპოსის ჩანაფიქრისა და მეცადინეობისა მოეპოვებინა იმპერატორის მხარდაჭერა, ქარლ V-ის მიერ ქრისტიან III-საღმი მიწერილ წერილებს საქმეზე არავითარი გავლენა არ მოუხდენიათ, პირიქით, მეფის რისხვა უფრო გამოიწვიეს. როდესაც მეფემ დიანახა, რა საძაგელი ხრიკებით ლამობდა იოუნ ეპისკოპოსი მასზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზეგავლენის მოხდენას, სიბრაზისგან ენა ჩაუვარდა. იგი მხოლოდ განრისხებას როდი დასჯერდა, არამედ, როგორც უკვე ზევით ითქვა, ეპისკოპოსი კანონგარეშე დევნილად გამოაცხადა. ევროპის ტახტებზე მჯდარ იოუნ არასონის ერთმორწმუნე ძმებს კი ახლა აღარაფრის შეცვლა აღარ ძალუძდათ, რადგან დაკარგული იყო დროც და შანსიც.

„ბადაეღობა ვინმე კვერთხოსანი"

ახლა მარტეიტნ ეინარსონზე ვისაუბროთ. როდესაც 1549 წ. პედერ პალადიუსისაგან კურთხევა მიიღო, მარტეიტნმა ისლანდიისკენ გამოსწია. იმ ზაფხულს ახლადნაკურთხი ეპისკოპოსი სასწრაფოდ ალთინგს დაეშურა და სკაულჰოლტის ეპარქიის მიმართ იოუნ არასონის ქცევის განსასჯელად სასამართლო დანიშნა. განაჩენის თანახმად ბათილად გამოცხადდა როგორც ამ უკანასკნელის მიერ გამოტანილი ყველა განაჩენი, წერილი და საქმე, ასევე მისი საეპისკოპოხო უფლებებიც. ამასთან ერთად ლეგრეტაზე წაკითხულ იქნა იოუნ ეპისკოპოსის განდევნის ფირმანი. ეპისკოპოსი ამ დროს ალთინგს არ ესწრებოდა, მაგრამ შეიტყო რა ეს განაჩენი, ჩათვალა, რომ არჩევანი აღარ ჰქონდა, უნდა დარეოდა მოწინააღმდეგეებს, ბოლო მოეღო პირველ რიგში ეპისკოპოს მარტეიტნისა და დადი გუდმუნდსონისათვის, რომელსაც მეფისგან მისი დაპატიმრების ბრძანება ჰქონდა მიღებული.

დასავლეთ ფიორდების საზედამხედველო შემოსვლის შემდეგ ეპისკოპოსი მარტეიტნი თავის კარ-მიდამოში, სტადურში დაბრუნდა. შეიტყო რა ეს იოუნ ეპისკოპოსმა, თავისი ორი ვაჟი არი და ბიორტნი კარგად შეიარაღებული მრავალი თანმხლებით მარტეიტნის შესაპყრობად გაგზავნა. სტადურისკენ მიმავალ გზაზე მათ ჰიტარდალურელი მამა აურტნი არტნოურსონი გაბაწრეს, რომელიც თავის კარავში შიშველი იწვა. იგი ეპისკოპოს მარტეიტნისაგან მიემგზავრებოდა შინ. კარგი ნადავლი ჩაუვარდათ ხელთ ეპისკოპოსის ვაჟებს, ვინაიდან მარტეიტნს, ვიდრე იგი უცხოეთში იმყოფებოდა, აურტნი სკაულჰოლტის ეპარქიის ოფიციალედ ჰყავდა დანიშნული. როდესაც ძმები სტადურს ჩავიდნენ, იქაურებმა თავი ვერ დაიცვეს და მარტეიტნი შეპყრობილ იქნა, ამ მხედრობისასვე ძმებმა სცადეს სნოუქსდალურელი დადიც დაეთრიათ ქოჩრით. იგი სტადურის სიახლოვეს ერთ ხუტორში გახლდათ ჩამომხტარი. დადი ძლივს დაუძვრა ძმებს და ერთ თავის ფავორიტთან მარკუსარ-ბრუნში გაიქცა. ეპისკოპოსის ვაჟებზე კი ის უნდა ვთქვათ, რომ მარტეიტნის სახლში ქეიფი გამართეს და დიდ ლხენასაც მიეცნენ. და აი, როდესაც ძმებს სმა ჰქონდათ გაჩეღებული, სტადურში დადი გუდმუნდსონის კაცი ჩამოვიდა, მეტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელად იოუნ მელა. შევიდა დარბაზში, განაპირას დაჯდა და თავი ისე დაიჭირა თითქოს მათი კაცი იყო. არც არავინ დაეჭვებულა. იოუნ მელამ ძმების საუბარს და სჯა-ბაასს მოუსმინა, შემდეგ კი იქიდან სიბნელის საფარქვეშ გაიპარა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა მარკუს-სრუნისაკენ გააჭენა ცხენი და დადი გუდმუნდსონს ამბავი ჩაუტანა მალე ძმები, ალბათ, დასავლეთით დალირში ჩავლენო. დადი უკვე საკმარისად მომზადებული იყო და როდესაც არი და ბიორტნი სნოუქსდალურში ჩავიდნენ, მისი ხელში ჩაგდება იოლ საქმედ აღარ მოჩვენებიათ. აქ მხარეებს შორის დიდი ლანძღვა-გინება ატყდა, მაგრამ თავდასხმა ვერც ერთმა ვერ გადაწყვიტა. ყოველივე იმით დასრულდა, რომ თავის მსხვერპლთან ერთად ეპისკოპოსის ვაჟები ჩრდილოეთით ჰოულარისკენ გაეშურნენ. იოუნ ეპისკოპოსი მარტეიტნს, რომელიც თავს სკაულჰოლტის ეპისკოპოსს უწოდებდა, ირონიული ლექსით შეეგება:

რაღა არ იღონა
ერთმა გლეხკაცმა
ეპისკოპოსი გამოსულიყო.
ბევრს ვერას გახდა,
არ გაუმართლა
და სულაც ჯობდა,
რომ სულ თავიდან
შინ, თავის სახლში
დარჩენილიყო.

ლექსი ასე მთავრდება:

გადაეღობა ვინმე კვერთხოსანი,
კოპებშეკრული, გულსშემოყრილი.
წარგზავნა თავისი ორივე ვაჟი,
რომ მიეგვარათ ბორკილგაყრილი.

თავდაპირველად მარტეიტნი ჰოულარში ჰყავდათ, შემდეგ კი ჩანს იქ ყოფნა დიდად არ ეპიტნავა და გაიქცა, მაგრამ მალევე შეიპყრეს. მარტეიტნის გაქცევის შესახებ იოუნ ეპისკოპოსმა ასე თქვა:

დაჰკრა ფეხი და გაექცა სტეიტნს,[3]
მარტეიტნს სიტყვების ფანტვა არ უყვარს.
გადაირბინა ვინდრაურდალური,
მაგრამ ვაი, რომ მგერს გზა შეუკრავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაქცევის მცდელობის შემდეგ მარტეიტნი მედრუვეტლირში არი იოუნსონისას გადაიყვანეს, სადაც გაცილებით უკეთ უმასპინძლეს.

აურტნი არტნოურსონზე კი ამბობენ დიდად დამამცირებელი ყოფის გადატანა მოუხდაო. „იგი ჰოულარში დაამწყვდიეს და საკუჭნაოს კიბის ქვეშ ერთი სოროც მოუწყვეს. მთელი თვე იქ ნახევრად მოკუნტული იჯდა, რადგან გამართვა არ შეეძლო. მთელი ეს დრო ან ცოტას ან სულაც არაფერს არ აჭმევდნენ, თუ არ ჩავთვლით მრევლის კმაყოფაზე მყოფ ერთ დედაბერს, რომელიც უმასპინძლდებოდა და იმ ერთი ფანჯრიდან რამე მცირეოდენს შეაწვდიდა ხოლმე, მას კი, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი მადა არც ჰქონდა“. ეპისკოპოსი ამით თავს იქცევდა:

შავად წაუვიდა საქმე აურტნის,
ბედმა არგუნა ტანჯვა და გვემა,
საქალებოს ქვეშ გამოამწყვდიეს
და გულ-მუცელმა დაუწყო გვრემა.
ზედ მიამაგრეს აქოთებული
ერთი ქოთანი ნაპოვნი სადმე,
ადრე რომ თურმე დიაცნი იხმარდნენ,
როდესაც დროულად უხმობდათ საქმე.

მოგვიანებით, ზამთარში, აურტნი ეპისკოპოსთან შერიგებაზე წავიდა და პატიმრობიდან განთავისუფლებული იქნა.

როგორც გადმოცემებიდან ირკვევა, ჩვენს ქვეყანაში ამ დროისთვის დიდი არეულობა სუფევდა. მაგრამ შეცდომაში შევალთ თუ ჩავთვლით, რომ მღელვარება და შფოთი, რომელმაც ჩვენი ხალხი XVI ს-ის შუა ხანებამდე ასე გატანჯა, სათავეს მხოლოდ იოუნ არასონის მიერ მეფისა და ლუთერანების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლიდან იღებდა. ჩვენ უკვე შევნიშნეთ, რომ გარდა გამოძახებებისა, განდევნის განაჩენისა, მუქარისა და შეპყრობის ბრძანებისა მეფე პრაქტიკულად არაფერს აკეთებდა, რათა ყოველივე ეს ძალის გამოყენებით განახორციელებინა. მიზები ის გახლდათ, რომ იოუნ არასონის გარდა მეფე აქ სხვა მხარეებსაც ებრძოდა.

1547 წ. ქრისტიან III-მ ქოპენჰაგენის მუნიციპალიტეტს მთელი თავისი ბეგარით ისლანდია ათი წლის მიაქირავა. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ისლადნიასთან მკაცრ სავაჭრო კონკურენციაში თავისი ქვეშემრდომებისთვის მეფის საუკეთესო პირობების შექმნა სურდა. ისლანდიის სავაჭრო პოზიციებისთვის გერმანელებსა და ინგლისელებს ბრძოლა ჰქონდათ გაჩაღებული და მეფის წარმომადგენლებს მრავალ

საბრუნავსაც უჩენდნენ. ამიტომაც დანიის მეფეები ყოველთვის ცდილობდნენ მათსა და ისლანდიელებს შორის საქმიანი ურთიერთობისას მტკიცე ბღუდეები აღემართათ. XVI ს-ის დამდეგისათვის ისლანდიის ნაპირებთან ინგლისელ ვაჭრებს შავად წაუვიდათ საქმე, რადგან ადგილობრივ მოსახლეობასთან მუდამ უთანასწოროდ ვაჭრობდნენ. სხვანაირად ჰქონდათ საქმე დაყენებული გერმანელებს, რომელთა უმრავლესობა ჰამბურგიდან იყო. ისინი გამუდმებით იმარჯვებდნენ კონკურენციაში, დინჯად მოქმედებდნენ და ისლანდიელებისთვის ინგლისელებზე მეტად გულმისავალნიც იყვნენ.

დანიელთა მეფე გამუდმებით ცდილობდა უცხოელი ვაჭრებისთვის ისლანდიაში გამოზამთრება მოეშლევინებინა. 1490 წლის ე.წ. პინინგის* დადგენილებაში წერია: „არც ერთმა უცხოელმა არ უნდა გამოიზამთროს აქ თუ დიდ გაჭირვებაში არ არის ჩავარდნილი“. ვაჭრები მაინც შეეცადნენ დასხლტომოდნენ ამ პუნქტს, მაგრამ როდესაც ქრისტიან III-ს მოთმინების ფიალა აევსო, 1542 წ. ახალი მითითება გამოსცა და ისლანდიაში უცხოელთა გამოზამთრება კატეგორიულად აკრძალა. ოტო სტიგსონს, თავის ჰირდსტიოურის, მეფემ ამ აკრძალვის განხორციელება ყოველ მიზეზგარეშე უბრძანა. საქმეში ოტო მეტად მკაცრი იყო და ჰამბურგელებიც ყველაზე მეტად მას უფრთხოდნენ. მან შეძლო ბღვარი დაედო მათი აქ გამოზამთრებისა და ისლანდიური ნავსადგურებიდან თევზაობისათვის.

მეფისა და ქოპენჰაგენის მუნიციპალიტეტის ქირავნობის ხელშეკრულებით დათქმული იყო, რომ ისლანდიისკენ გემებს ყოველწლიურად უნდა ეცურათ. მუნიციპალიტეტი თვითონ აირჩევდა წრმუნებულს ან ზედამხვედველს, რომელიც ჰირდსტიოურის ძალაუფლებით იქნებოდა აღჭურვილი. არჩევანი ლაურენტიუს მულეზე შეჩერდა. ჰამბურგელთა ალაგმვა მულემ თავის წინამორბედებზე მეტად როდი იძალა. გერმანელებმა აქ თავიდან დაიწყეს ბატონკაცობა და ქვეყანაში ყველაფერი აირდაირია. ასეთი გახლდათ მდგომარეობა ვაჭრობის სფეროში, როდესაც იოუნ არასონი კუთხიდან კუთხეში რაზმებით დადიოდა და საქმეებს სურვილისამებრ წყვეტდა.

მეორე მხრივ ჰამბურგელები მულეს ისე ეთამაშებოდნენ, როგორც კატა თაგვს, ხოლო როდესაც მულემ კანონი და მეფის დადგენილება იშიშვლა, მათ მთელი ძალ-ღონე მოიკრიფეს. 1548-50 წწ. ვაჭრებსა და ჰირდსტიოურის შორის გაუთავებელი ორომტრიალი და შეხლა-შემოხლა იყო. საქმე პირდაპირ შეტაკებამდეც მივიდა. უღმერთოდ მოექცნენ ჰამბურგელები ფოგტ ქრისტიან მოხელეს – გააგდეს, სცემეს და ხუთი დღე-ღამით გაკოჭილი დააგდეს, მეორეჯერ კი ისეთი დღე აყარეს, რომ ისღა დარჩენოდა ან სირბილით გაძღოლოდა მათ ცხენებს და

ეჩვენებინა თუ სად იჭირებოდა სამეფო თევზი ან სულაც სიცოცხლეს უნდა გამომშვიდობებოდა. გარდა ამისა ქრისტიან მოხელე იძულებული იყო შერიგებოდა იმას, რომ პატიმრობაში თავისი კვების საფასურად ოთხმოც კილომდე თევზი უნდა გადაეხადა. ბოლოს მან შეძლო დაძვრომოდა მათ ხელიდან იმ პირობით, რომ ხელშეუხებლობას აღუთქვამდა და ჰამბურგელებზე ძვირს აღარასოდეს იტყოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ისინი ისლანდიაში ყველა დანიელს ამოხოცავდნენ. მეფის მოხელეები იძულებული გახდნენ თავი დაეღუნათ, რადგან ჰამბურგელები აქ მათზე მეტნი იყვნენ. ახლა სამხრეთში ისინი განაგებდნენ ყველაფერს, ჩრდილოეთში კი ყველა ჰოულარის ეპისკოპოსის ნათქვამზე დადიოდა.

მეფე ეჭვობდა, რომ იოუნ არასონსა და გერმანელ ვაჭრებს შორის დიდი მეგობრობა უნდა ყოფილიყო. ქრისტიან III-ის მიერ 1550 წ. წამოყენებული ერთ-ერთი ბრალდება შემდეგში მდგომარეობდა: (იოუნ ეპისკოპოსი) „შეპირდა ჰამბურგელ ვაჭრებს ისეთი დღე დაეწია თავის ვაჟებთან ერთად დანიელებისთვის, რომ, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, მომავალი გაბაფხულისთვის აქ ერთი ცოცხალი დანიელიც კი აღარ ყოფილიყო“. ეს იყო უსაზიზღრესი მონაჩმახი, რომელიც 1550 წლის შემოდგომაზე მულემ ჩაუტანა მეფეს, გასაგები გახდა, რომ თუ მეფე ისლანდიაში ოპოზიციის დამარცხებას აპირებდა, შეტევაზე უნდა გადასულიყო.

ეპისკოპოს მარტეიტნს უკანასკნელად მაშინ დავცილდით, როდესაც მედრუვეტლირში ჰყავდათ დაპატიმრებული. როგორც ჩანს, იმ ზამთარს ეპისკოპოსებს შორის დამოკიდებულება იმდენად გაუმჯობესებულა, რომ მომრიგებელი კრების მოწვევაც კი დაგეგმეს, დადი გულმუნდსონის მიერ ქრისტიან მოხელისადმი მიწერილი წერილით ირკვევა, რომ სურვილი ჰქონდა შერიგებაზე წასულიყო ეპისკოპოსთან, რადგან იოუნ არასონის მეტოქეები უკვე დიდად შევიწროებულები იყვნენ. მოვლენათა მსვლელობა ამჯერად მეტად აჩქარებულიყო და ლუთერანებს მრავალი ჭირთათმენა გარდახდათ თავს. იოუნ ეპისკოპოსმა ერთ-ერთი თავისი პასტორი ყოფილი ლეგმადურის თორლევურ პაულსონის შესაპყრობად დასავლეთით სკარდში გაგზავნა. ეს მხედრობა, ეტყობა, ჩაშლილა, რაც იოუნ ეპისკოპოსს უგერგილობად ჩაუთვლია პასტორისათვის.

ეპისკოპოსის მტრები მისი სხვა საქმეებითაც იყვნენ თავზარდაცემულნი. წლის დასაწყისში მან სელადალურელი მამა გისლი შეაჩვენა. შეჩვენების წერილი გვიჩვენებს, რომ თავის ძალაუფლებას სკალჰოლტსა და მთელი ისლანდიის საეკლესიო საქმეებზე ეპისკოპოსი არაფრით არ ნიღბავს. გისლის ბრალად ედება მწვალებლობის გავრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცელება და ყოველგვარი სახის დარღვევა წმინდა ეკლესიის მიმართ. ეკლესიიდან მოკვეთა გისლიმ ისე განიცადა, რომ, როგორც კი საშუალება მიეცა, ქვეყანა დატოვა. ასეთივე პატივი მიაგო იოუნ ეპისკოპოსმა თავის ახლო მეგობარს და ნდობით აღჭურვილ პირს მამა ოულავურ ჰიალტასონს. დიდ ხანს უმალავდა მამა ოულავური ეპისკოპოსს თავის განწყობას. თვლიან, რომ ლუთერანულმა სარწმუნოებამ იგი 1542 წ. დანიაში დეპუტაციის დროს აღაფრთოვანა. როდესაც ეპისკოპოსი მის ბრალეულობაში დარწმუნდა, ისეთ ქარ-ცეცხლში გაატარა ოულავური, რომ იძულებული გახადა სამხრეთით ცხრა მთა გადაევლო და ვასლეისუსტრენდში ჩასულიყო, სადაც გემზე ავიდა კიდეც, თუმცა ამას ერთობ საეჭვო სიზუსტის ისტორიები მოგვითხრობენ. მაგრამ ის, რომ მეფე ქრისტიანის წინაშე ოულავურმა ეპისკოპოსს დიდად დასწამა ცილი, ნამდვილად დასაჯერებელია.

როდესაც მეფეს იუონ ეპისკოპოსის წინააღმდეგ აღძრული საჩივრები ჩაუვიდა, აგრეთვე ჩვენება მისი ერთი წინანდელი ნამოქმედარის შესახებ, ისლანდიაში ორი წერილი გამოაგზავნა. ერთ-ერთი წერილი იყო მიმართვა ჰოულარის ეპარქიის მოძღვრებისადმი. იგი ბრძანებს, რომ იოუნ არასონის ადგილზე სხვა ეპისკოპოსი აირჩიონ, რადგან მას იგი განდევნილად ჰყავს გამოცხადებული. მეორე წერილს მეფე სნოუქსდალურელ დადი გუდმუნდსონს და პიეტურ ეინარსონს უგზავნის, სადაც უბრძანებს, რომ ჰირდსტიოური მულეს ეპისკოპოსის შეპყრობაში დაეხმარონ. ამ წერილებმა იოუნ ეპისკოპოსს მხოლოდ ვაჟკაცობა შემატეს, მაგრამ გული მიეცათ მის მოქიშპეებსაც, რადგან შეეძლოთ ხმლები ელესაც უკვე.

როდესაც 1550 წლის ზაფხულში ალთინგმა მოაწია, ეპისკოპოსმა რაზმი შეკრიბა და თინგვეტლირისაკენ* ასი კაცისა და ხუნდებდადებული მარტეიტნ ეპისკოპოსის თანხლებით გაემართა. გარდა ამისა მის ორივე ვაჟსაც ას-ასი კაცი მოყვებოდა. ალთინგზე ჰირდსტიოური ლაურენტიუს მულეც გახლდათ, თუმცა ბევრად მცირე რაზმით. აი, ეპისკოპოსის ვაჟი არი ლეგრეტასკენ წავიდა, ჰირდსტიოურის მიადგა, მეფისთვის გადასაცემი ვერცხლი ცხვირში ლეწა და უბრძანა შეჭამეო. ჩანს, იმას, რომ მეფემ ორი ზემოხსენებული წერილი გამოგზავნა, არი მულეს უთვლიდა ბრალად. ჰირდსტიოურის შიშის ზარი დაეცა და ხელის გამოღება ვერ გაბედა, რადგან მხოლოდ დანებით შეიარაღებული მსახურები ახლდნენ თან, მომრევთან ჭიდილი კი არ ღირდა.

ალთინგზე ეპისკოპოსმა ყველაფერი ისე წარმართა, როგორც მას სურდა და აიძულა თორმეტეული მისი მმართველობა ეცნო სკაულჰოლტის საეპისკოპოსოში. აი რას ამბობს ლექსი ალთინგზე მისი ძალაუფლების შესახებ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს კაცი ალთინგს გაშურებულა
მრავალი მსახურით
საქმის საქმნელად.
ყველამ ლომგულად იგული იგი,
ისალანდიისთვის თავდადებულად.*

ახლა ეპისკოპოსი ისე იყო გაშმაგებული, რომ მისი აზრით ვეღარაფერი აღუდგებოდა წინ და ალთინგის შემდეგ გეზი პირდაპირ სკაულჰოლტისაკენ აიღო, სურდა თავისი ორი წლის წინანდელი დამარცხება აენაზღაურებინა, ხუნდებდადებული ეპისკოპოსი მარტეიტნი მას თან ჰყავდა. ყვებიან, რომ რეზიდენციის საქმეთა მმართველმა იოუნ ბიარტნასონმა რეზიდენციის დატოვება უწინდებურად არ ისურვა. მაშინ იოუნ ეპისკოპოსმა ამცნო, რომ შეტევაზე გადავიდოდა და სკაულჰოლტელთა სროლისაგან თავდასაცავად ეპისკოპოს მარტეიტნს რაზმის წინ დააყენებდა. სწორედ რომ ესიკვდილებოდა იოუნ ბიარტნასონს კაპიტულაციის მიღება. ამიტომაც მოგვიანებით რეზიდენციისა და ეკლესიის გასაღებები მარტეიტნს მიუგდო და უთხრა ამიერიდან ყველაფერს შენ მიხედეო, შემდეგ კი იოუნ ეპისკოპოსის ბრძანებით კათოლიკობა მიიღო. მალე იოუნ ეპისკოპოსმა ამ საქმეს მიხედა, რომლის შესრულებაშიც აღრე ხელს უშლიდნენ. მან განწმინდა ტაძარი ყოველგვარი უწმინდურებისაგან და ნაკურთხი წყალი აპკურა, ხოლო სვეტებს, კარებებსა თუ საკურთხეველს კვერცხი დაჰკრა „რათა ეკლესიას ყოველგვარი სიბინძურე ჩამოშორებოდა". ამის შემდეგ მან ეპისკოპოს გისურის მიწიერი ნარჩენები ამოათხრევინა, ღვთის მიერ ბოძებული სიმშვიდით რომ განისვენებდნენ, ძვლები გუდაში ჩაალაგა, ერთ ორმოში ჩაფლა და მიწით დაფარა. მორჩა იოუნ ეპისკოპოსი ამის კეთებას და ის სიტყვები წარმოთქვა, რომელიც ხალხის მეხსიერებას დღემდე შემორჩენია:

– ახლა ერთი გლეხის ბიჭისა და ჭიანახევრის გარდა მთელი ისლანდია ჩემია.

გლეხის ბიჭი, როგორც ფიქრობენ, პიეტურ ეინარსონი უნდა იყოს, ჭიანახევარი კი სნოუქსდალურელი დადი გუდმუნდსონი. თუ ეს სიტყვები სერიოზულადაა ნათქვამი, საფიქრალია, რომ ეპისკოპოსმა ვერ შეძლო შეეფასებინა თავისი უძლიერესი მოწინააღმდეგე.

სკაულჰოლტის მხედრობის შემდეგ თავისი თანამგზავრებითურთ ეპისკოპოსი სამხრეთით ფაქსაფლოუის ყურესაკენ გაეშურა. როგორც უკვე ითქვა, ვიდეის სამონასტრო ცხოვრება სრულიად ჩამკვდარი იყო. ვიდეის აღორძინების შესახებ თვით ეპისკოპოსი ასე ამბობს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკან მიუბრუნდა ვიდეის მონასტერს.
ვიცი, ბერიკაცი სხვებსაც მიხედავს,
ქედს როდი მოუხრის დანიელებს და
ხომალდამდე რისხვით მირეკავს.

ამ მხედრობისას ეპისკოპოსმა ჰელგაფეტლის მონასტერიც დააყენა ფეხზე და ბრძანა, რომ კათოლიკური წესები ყველგან შეენარჩუნებინათ. ამის შემდეგ მან ჩრდილოეთით ჰოულარისკენ აიღო გეზი.

არასოდენ გაკეთებულა ასეთი დიადი საქმეები ასეთ მოკლე დროში, ეპისკოპოსიც ერთი ხანობა გამარჯვებას ზეიმობდა.

აი, ჰოულარში დუნე ნაბიჯით დაბრუნებულა,
რადგან მხცოვანებას გადაუქანცავს.
შემოელიოს დაე ლექსები,
შიშს როდი დაულუნავს თავს.

იმ ზაფხულის კეთილსვეობის შემდეგ ეპისკოპოსმა და მისმა ვაჟებმა, ჩანს, ირწმუნეს, რომ გამარჯვება ურყევი იყო და მას თვით მეფეც შეურიგდებოდა.

„მცირე რამ შველა იქნება“[4]

აი, მივადექით ეპისკოპოს იოუნ არასონის ისტორიის ბოლო მონაკვეთსაც. როგორც უკვე ითქვა, მას შეჩვენებული ჰყავდა სნოუქსდალურელი დადი გუდმუნდსონი და ჩაფიქრებული ჰქონდა აეძულებინა იგი დათმობაზე წასულიყო მის წინაშე. მაგრამ დადი არ დაჰყვა მას და არც ამ შეჩვენების გამო მოუკლავს თავი. ამან დიდად განარისხა ეპისკოპოსი და ზაფხულში, როდესაც დასავლეთით, ბრეიდაფიორდურში ჩავიდა, ლაზი გუდმუნდსონი ლეგმადურ ორმურ სტურტლუსონის სასამართლოზე გამოიძახა. სასამართლო უნდა შემდგარიყო ორ ოქტომბერს, სოიდაფეტლში. საბედისწერო აღმოჩნდა ეს მგზავრობა ეპისკოპოსისა და მისი ვაჟების არისა და ბიორგნისათვის. როგორც თვლიან, მას ას კაცზე ნაკლები ხლებია თან. სასამართლომდე რამდენიმე დღით ადრე ისინი სოიდაფეტლში, დადი გულმუნდსონის კარ-მიდამოში ჩამოხტნენ. იმის შესახებ თუ რა მოხდა შემდეგ, ბღვა წყაროები გვაქვს ხელთ, მაგრამ აქ მხოლოდ მთავარზე გავჩერდებით. სოიდაფეტლში ეპისკოპოსისა და მისი ვაჟების ჩასვლის შემდეგ სულ მალე იქ დადი გუდმუნდსონი მივიდა და ეპისკოპოსს შერიგება შესთავაზა, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამასა და შვილებს შორის უთანხმოებამ იჩინა თავი.

– კარგი შემოთავაზებაა, მამაჩემო – უთქვამს არის.

– შეშინდი, მოყვარეე? – ჰკითხა ეპისკოპოსმა.

– არა, მამავ ბატონო, თუმცა მხოლოდ სიფიცხეს როდი უნდა ავყვეთ.

მაგრამ გადაწყდა, რომ ეპისკოპოსი დადი გუდმუნდსონის წინადადებას ყურს არ ათხოვებდა. რისხვამ დაჯაბნა შემწყნარებლობა ეპისკოპოსში. ამჯერად მივდივარ, მაგრამ დავბრუნდები სოიდაფეტლშიო, თქვა დადიმ. აი, მოაწია სასამართლოს დღემაც, ორმა ოქტომბერმა, და, როგრც აღთქმული ჰქონდა, დადი სოიდაფეტლში დაბრუნდა, მაგრამ ეპისკოპოსის ხალხზე გაცილებით რიცხვმრავალი რაზმით კი. მისი ხალხი თითო ცხენზე ორ-ორკაცშემჯდარი უახლოვდებოდა სახლს და რაზმის მხოლოდ ნახევარი ჩანდა. „ნისლი იწვა და ბინდ-ბუნდი იყო. მან (ე.ი. დადიმ. მთარგმ.) თავის ხალხს ნაცრისფერი, უფერული და ნისლისფერი გრძელი ანაფორები ჩააცმევინა“. დადი გუდმუნდსონის მოხსენებაში ეს შეტაკება გამოწვლილვითაა ნაამბობი. რა ეპისკოპოსის ვაჟებმა სახლისკენ მომავალი მხედრიონი დალანდეს, თოფები მოიმარჯვეს და ჩათვალეს, რომ თავისზე უფრო დიდ ძალასთან არ ექნებოდათ საქმე. მიახლოებისას რაზმებს შორის ლანძღვა და დავა ატყდა, რაც ყოველი სიტყვის მერე მწვავდებოდა. დადიმ დამხვდურებს უბრძანა სასწრაფოდ გასცლოდნენ სოიდაფეტლს და თქვა, რომ სურდა დაებრუნებინა „ადგილი, სახლი და კარი თავისთვის და თავისი ხალხისთვის“. ვერასოდეს ეღირსება „წყეული ნაბიჭვარი“ სოიდაფეტლსო, უთქვამს ბიორტნს. დადი ამბობს, რომ სამჯერ შეუთავაზებია დაეტოვებინათ იქაურობა და საქმე მომავალი ზაფხულისთვის ალთინგზე გაეტანათ. ჰოულარელი მამისა და ვაჟების მხრიდან ამ ამბის შესახებ არავითარი ჩვენება არსებობს, ასე რომ წყაროები მეტად ერთფეროვანია, მაგრამ ერთი რამ არის ცხადი – იოუნ ეპისკოპოსი ყველაზე დიდი უიღბლო კაცი ყოფილა, რადგან შერიგება არ შედგა.

რაც უფრო დიდხანს ლაპარაკობდნენ, მით უფრო მატულობდა მუქარა და გააფთრებული გადაძახილ-გადმოძახილი. საქმე იქამდეც მივიდა, რომ მათ შორის ბრძოლა ატყდა. დადიმ თავისი ხალხი სასაფლაოს გარეთ შეაჯარა და სათოფურებად ქვები დაახოხოლავებინა. როდესაც დაინახეს თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო, ეპისკოპოსმა და მისმა ვაჟებმა თავი ეკლესიას შეაფარეს, რაზმი კი აეფარა მათ და სასაფლაოზე გამაგრდა. იმის შესახებ თუ რა მოხდა შემდეგ, არსებობს სხვადასხვანაირი გადმოცემები. საგულისხმოა, რომ დადიმ ეკლესიისკენ გაიკაფა გზა. ეპისკოპოსი ეკლესიის სიღრმეში შევიდა, ვაჟები კი კარებთან გაჩერდნენ, მაგრამ დადი გუდმუნდსონის ხალხმა ისინიც ეკლესიაში შეყარა. შიგნით ეპისკოპოსის რამდენიმე რაზმელმაც შეაღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წია, რომელმაც კარებს სკივრები და სხვა მოძრავი ნივთები მიაბჯინა. ერთ ადგილას ისეა მოთხრობილი, თითქოს დადიმ კედელი გამოანგრევინა საკურთხეველთან და ამ გზით შეაღწია ეკლესიაში. იოუნ ეპისკოპოსი საზეიმოდ მორთული იდგა საკურთხეველთან, ერთ ხელში წმინდა კვერი ეკავა, მეორეში მარიამ ღვთისმშობლის ხატი. აი, დადი გუდმუნდსონის ხალხი ეპისკოპოსსა და მის ვაჟებს დაერია. ამბობენ ერთმა ბრგე კაცმა, სახელად დალა-მარკუსმა ეპისკოპოსი დაუნდობლად გაათრია გარეთ და როცა ამ უკანასკნელმა გაიბრძოლა, მარკუსმა ისე ჩაარტყა, რომ ეპისკოპოსს ორი კბილი ჩაემტვრაო. ამისთვის დადი გუდმუნდსონს დიდად გაულანძღავს მარკუსი.

შეპყრობის შემდეგ ტყვეები სნოუქსდალურში წაასხეს. ყველა, ვინც ეპისკოპოსს და მის ვაჟებს ახლდა, დადიმ იმ პირობთ გაათავისუფლა, რომ ერთგულებას შეჰფიცებდნენ მას, ხოლო იოუნ ეპისკოპოსი, ბიორტნი და არი პატარა ბადსტოვაში* დაცვის ქვეშ სამი კვირა და ორი დღე ამყოფა.

უკანასკნელ წლებში იოუნ ეპისკოპოსის ვაჟი სიგურდური მამას და ძმებს თანხლებას აღარ უწევდა ხოლმე, მაგრამ რა ეჭვი გაუჩნდა დახმარება ხომ არ ჭირდებთო, ოცდაათი კაცით გაემზადა და დასავლეთით გასწია. ჰრუტაფიორდურში ჩასვლისას მას მამამისის რამდენიმე რაზმელი შეხვდა, რომლებიც ყველაზე ადრე გაენთავისუფლებინათ. როდესაც სიგურდურმა ამბავი შეიტყო, უკანვე გაბრუნდა, მაგრამ სამშვიდობო მოლაპარაკების ჩასატარებლად რომელიღაც პასტორი სნოუქსდალურში აფრინა. წარგზავნილმა ბევრი ვერა მოიგო რა. მისი დანები, იარაღი, აბჯარი, ტანისამოსი, ცხენი და მთელი სამგზავრო აღკაზმულობა დადი გუდმუნდსონის ხალხმა სამხედრო ნადავლის სახით მიიღო.

სამხრეთით, ბესასტადირში* ქრისტიან მოხელეს ცნობა უფრინეს. იგი სასწრაფოდ გაემზადა და დასავლეთით, სნოუქსდალურისკენ აიღო გეზი. 23 ნოემბერს იქ ლეგმადურ ორმურ სტურტლუსონის მიერ დანიშნულმა თორმეტეულმა ეპისკოპოსისა და მისი ვაჟების დაპატიმრების განაჩენი გამოიტანა (უფრო სწორად გადაწყვეტილება შეპყრობის კანონიერების შესახებ. მთარგმ.). საფიქრალია, რომ ეს განაჩენი ლეგმადურს იძულებით გამოატანინეს. განაჩენში ნათქვამია, რომ: „ისინი კანონიერად იქნენ შეპყრობილნი მეფის ფირმანისა და ალთინგის გადაწყვეტილების მიხედვით". დადი გუდმუნდსონი კი უდანაშაულოდ ცნეს. ეპისკოპოსი და მისი ვაჟები დადი გუდმუნდსონის ზედამხვედველობიდან მეფის რწმუნებულის ქრისტიან მოხელის ხელში გადავიდნენ, რომელსაც დაევალა მიეღო ისინი და მომავალ ექსარაურთინგამდე* ფხიზელი დაცვის ქვეშ ჰყოლოდა. ისინი ალთინგამდე ყველასგან ხელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუხებლებად გამოაცხადეს. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს განაჩენის ზემომოყვანილი სიტყვები. მათი მეშვეობით დაზღვეული უნდა ყოფილიყო ის, რომ ეპისკოპოსისა და მისი ვაჟების საქმე კანონისა და სასამართლოს წესით იქნებოდა განხილული.

გზის ბოლო

ჭიდილი ისე წარიმართა, რომ გლეხის ბიჭმა ეკლესიის არისტოკრატს აჯობა. ამ საქმეში, რა თქმა უნდა, დაუფიქრებელი, გაუფრთხილებელი ნაბიჯები იქნა გადადგმული და შედეგიც შესაბამისი იყო. ზოგჯერ ამბობენ ხოლმე, იოუნ არასონის ისტორიის დასასრული რამდენადმე სხვაგვარი იქნებოდა, ეპისკოპოსს რომ თამაშის სხვა ხერხები გამოეყენებინაო, მაგრამ დასასრული მაშინ ყოველდღიურობას დაემსგავსებოდა და ტრაგედიის მთელი ბრწყინვალებაც ჩამოსცილდებოდა.

სნოუქსდალურიდან ტყვეები აღმოსავლეთით, სკულჰოლტში გადაიყვანეს. მათ მოჰყვებოდათ დადი, ქრისტიან მოხელე და ეპისკოპოსი მარტეიტნი, რომელსაც უკვე შეეძლო თავისუფლებით დამტკბარიყო. ისტორია მოგვითხრობს, რომ გზად რეიკჰოლტში შეუვლიათ. აქ არი იოუნსონი ფოგტის ერთ კაცს შეუთანხმდა, რომ ეს უკანასკნელი საუკეთესო ცხენზე დასვამდა მას. შეჯდა არი ცხენზე, მაგრამ რა გაქუსლვა დააპირა, ცხენ[illegible]ადგილიდან არ დაძრულა. მაშინ იოუნ ეპისკოპოსს ეს მშვენიერი ლექსი უთქვამს:

მე მგონი უკეთ ის გაჭენდება,
ვინც წინ დაუდგება დარდსა და ჯავრს,
ბედიც ცხენზე შემჯდარი გაჰყვება,
იღბალი წისქვილზე დაუსხამს წყალს.

სკულჰოლტში ჩასვლისას დავა ატყდა თუ როგორ დაენიშნათ ზედამხედველობა ეპისკოპოსსა და მის ვაჟებზე. თითოეულს თავისი აზრი ჰქონდა. შიშობდნენ ვაითუ რაღაც გამოტყვრეს და თავი გაითავსუფლონო, განსაკუთრებით კი ჩრდილოელებს უყურებდნენ ცუდი თვალით. რაღაც ხანმა ამ კამათში განნვლო. 5 ნოემბერს ქრისტიან მოხელეს ყელში ამოუვიდა ეს გაუთავებელი დისკუსიები, შეკაზმა ცხენი და ბესასტადირში გასამგზავრებლად გაემზადა. დადი და ეპისკოპოსი მარტეიტნი მის დაშოშმინებას შეეცადნენ. „დადიმ მისი სადღეგრძელო ვერცხლის სირჩით შესვა და აჩუქა, მარტეიტნმა კი ვერცხლის თასით დალია და იმანაც აჩუქა, სამაგიეროდ სთხოვეს ეპისკოპოსსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მის ვაჟებზე ხომალდის ჩამოსვლამდე გვქონდეს თვალყურიო". ყოყმანი დაეტყო მოხელეს, ცხენიდან ჩამოხტა და თქვა:

– მიწა უდარაჯებს მაგათ კარგად.

ეს იყო განაჩენი, რომელსაც ყველა შეურიგდა, თუმცა ეჭვგარეშეა ზოგიერთები უარყოფითად იყვნენ განწყობილნი ასე თავხედურად დაერღვიათ სნოუქსდალურის სასამართლოს გადაწყვეტილება, რადგან ყველა თუ არა, უმეტესობა მაინც იმისკენ იხრებოდა, რომ დადი გუდმუნდსონისთვის ამ საქმეში ყოველგვარი პასუხისმგებლობა აეცილებინათ. ქრისტიან მოხელეს გამბედაობა აღარ ეყო მომავალ ზაფხულს ალთინგზე განაჩენის გამოტანამდე ბადრაგის ქვეშ ჰყოლოდა ჰოულარელები*, ამიტომაც ისე გადაჭრა საქმე, როგორც თავისი თავისთვის ყველაზე ნაკლებ უხიფათოდ თვლიდა. ჭეშმარიტად ბედის დაცინვა იყო ის, რომ ქრისტიან მოხელეს განგმირული იოუნ არასონისთვის დაედგა ფეხი, მაგრამ „ისლანდიის უბედურება იარაღად იქცევა."*

იოუნ ეპისკოპოსისა და მისი ვაჟების წინააღმდეგ ქრისტიან მოხელემ ჩვიდმეტი მუხლისაგან შემდგარი საჩივარი შეადგინა, მაგრამ მის შინაარს აქ არ მოვყვებით. არავითარი განაჩენი არ ყოფილა გამოტანილი მამისა და მისი ვაჟების სიკვდილით დასჯის შესახებ, მაგრამ გადაწყდა, რომ 7 ნოემბერს მათ ჯალათის კუნძზე დაადებინებდნენ თავს. სიკვდილით დასჯის წინა დღეს ქრისტიან მოხელემ რეზიდენციის ყველა სასულიერო პირი იხმო და მოხსენება წაუკითხა, რომელიც იოუნ ეპისკოპოსისა და მისი ვაჟების მიმართ წაყენებულ ბრალდებებს შეიცავდა. მან სასულიერო პირებს „წერილობითი დასტური" სთხოვა, მაგრამ არავის ჰქონია ხალისი ამ ავკაცობაში მიეღო მონაწილეობა. თავისი სიტყვის დასასრულს ქრისტიან მოხელემ რამდენიმე დამსწრეს უბრძანა წაჰყოლოდნენ და მოესმინათ თუ რას ილაპარაკებდნენ ის და სიკვდილმისჯილები. ამის შემდეგ ფოგტმა თავისი გადაწყვეტილება ეპისკოპოსს ამცნო. შეცბა ეპისკოპოსი, რადგან ქვეყნის კანონებსა და სნოუქსდალურის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე უკანასკნელ წუთამდე ამყარებდა იმედს. და აი ეს სიტყვები წამოსცდა:

თუ დანიელთა ტომის წერა ვარ
და მათი მეფის ხელიდან ვკვდები,
ჩანს წილად გვერგო ბედი მუხთალი,
წუთისოფელმა გვიმრუდა გზები.

ჰოულარელი მამისა და მისი ვაჟების სიკვდილით დასჯის შესახებ ურთიერთსაპირისპირო გადმოცემები არსებობს, მაგრამ მათგან ყველაზე სარწმუნოს ავარჩევთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მკვლელობის ჩასადენად ჯალათი ბესასტადირიდან იხმეს. თითოეულს თითო პასტორი მიუჩინეს და ზიარებაც მიაღებინეს. რეზიდენციის ყველა სასულიერო პირს უბრძანეს ეფხიზლათ იმ ღამით და არსად წასულიყვნენ.

იდგა 1500 წლის 7 ნოემბრის მოჟამული დღე. ზამთრისეული დილის უღიმღამო ბინდ-ბუნდში დაღონებულ პასტორთა ჯგუფი სკაულჰოლტისგან აღმოსავლეთით, ღარტაფებისაკენ მიჩანჩალებდა, სადაც უკვე ჯალათის კუნძიც მიეტანათ. ბესასტადირელმა ნაძირალამ მკლავები დაიკაპიწა და ნაჯახი მოიღერა. ეპისკოპოსი და მისი ვაჟები ცალ-ცალკე გამოიყვანეს. პირველი არი გამოვიდა პასტორთა ოთახიდან და თქვა:

— კიდევ მრავალი კეთილშობილი კაცი გამოვა აქედან. ძალით ჩამაბეს ამ საქმეში, მაგრამ გარეთ გამოსვლა მაინც მეხალისება. ნეტავი ჩემი ძმის მამა სიგურდურის დედლური გული ჩემთვის ჩაედგათ, ჩემი კი მისთვის.

და რა ჯალათის კუნძს მიუახლოვდა, წარმოთქვა:

— აქ უნდა გავჩერდე, უფლო ჩემო?

— დიახ. — მიუგო ქრისტიან მოხელემ.

— ფუი, შე არამზადავ, — უთხრა არიმ — როდის იყო უფალს ჩემსას გიწოდებდი?! მე ჩემს უფალს ვესაუბრებოდი.

კუნძზე მრგვალი ნაჭდევი ამოეჩორკნათ ნიკაპისთვის. სურდათ თვალები აეხვიათ არისთვის, მაგრამ იუარა და ჯალათს სთხოვა „კეთილშობილურად“ დამკარიო. შემდეგ კუნძზე დადო თავი, ნიკაპი ჭდეში ჩადო და კისერი ისე გაიწვდინა, რომ ყველა ძარღვი, მყესი და სადრეკი გამოუჩნდა. თავი პირველსავე დარტყმაზე მოცილდა ტანს.

სანამ მამა ბიორტნს გარეთ გამოიყვანდნენ, კუნძი გვერდზე გადაათრიეს. ბიორტნი სახეშეცვლილი იყო. თავისი მრავალი წვრილშვილისთვის სიცოცხლის შენარჩუნება ითხოვა, თან ლამაზი, გრძელი სიტყვა წაიმძღვანია. ჯალათი შეყოყმანდა, მაგრამ დადი მიადგა და უკმეხად უბრძანა დაარტყიო.

კუნძზე თავის დადებისას ბიორტნს სიმტკიცემ უმტყუნა:

— ო, რამდენი ბავშვი მყავს და რა პატარები! — გაისმა მისი ხმა. თავი მეოთხე დარტყმის შედეგღა მოსცილდა ტანს, რადგან ბიორტნს კისერი შეეკუმშა.

თავისი სიკვდილის შესახვედრად ყველაზე ბოლო იოუნ ეპისკოპოსი გამოვიდა. მისთვის ნება დაერთოთ ეკლესიაში შესულიყო და ახლა ჯვარცმა ეპყრა ხელთ. რა ეპისკოპოსი საკურთხეველიდან გამოვიდა, მარიამ ღვთისმშობლის ქანდაკების წინ მოინდომა დაჩოქება, მაგრამ პასტორმა, რომელმაც იგი აზიარა და სვეიტნი ერქვა, სთხოვა განეგდო ცრუმორწმუნეობა და უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

– სიცოცხლე ამ სიცოცხლის მერე იწყება, ბატონო.

ეპისკოპოსი იმ წამსვე ამ სიტყვებით მიუბრუნდა:

– ვიცი, სვეინკი*!

შეწყალება შესთავაზეს, მაგრამ თქვა ჩემს ვაჟებს მსურსო მივყვერა ეპისკოპოსმა დადი გუდმუნდსონს ჩაუარა, აღმართა ხელი და პირჯვარი გადასახა მას. ყველა აკურთხა, ვინც კი კუნძისკენ მიმავალ გზაზე შემოხვდა და მერე სიხარულით დაეშურა სიკვდილს, ხელი მოეცარა ჯალათს. მესამე დარტყმისას ეპისკოპოსს აღმოხდა:

– **In manus tvas, Domine, commendo spiritum meum**.*

თავი ტანს მხოლოდ შვიდი დარყმის შემდეგ მოეხლიჩა.

მთელი დღე ეყარა მათი გვამები სიკვდილით დასჯის ადგილზე და სასაფლაოს განსასვენებელი მხოლოდ კეთილი ხალხის სიტყვის წყალობით ჰპოვეს. ისინი ეკლესიის გარეთ ქანდარის კედელთან დაკრძალეს.

ეპილოგი

გაგაფხულისთვის მამა სიგურდურმა სამხრეთით, სკაულჰოლტისკენ ოცდაათი კაცი გაგზავნა, რათა მამამისისა და თავისი ძმების ნეშტები ჰოულარში გადმოესვენებინათ. ჩრდილოეთისაკენ მგზავრობის შესახებ წყაროები ერთმანეთს არ ემთხვევა, შედარებით გვიანდელთ კი ლეგენდის იერი უფრო დაჰკრავთ. ერთ-ერთი წყაროს მიხედვით ნეშტები ორ-ორ ცხენს შუა გადებული ხის სანეშტეებით გადაუსვენებიათ. ხეზე ბანზალაკები და ზარები ყოფილა მიმაგრებული და გაბმით რეკდნენ თურმე. დიდი რეკვა იყო გამართული იმ ეკლესიებშიც, რომელსაც პროცესია გვერდით ჩაუვლიდა ხოლმე. ამბობენ, როდესაც სკაგაფიორდურზე, ჰერადსვეტნში ყინული დნობას იწყებდა, პროცესიამ ერთი ხიდი მონახა ზედ, მაგრამ შედგნენ თუ არა, ქვევიდან წყალმა ამოხეთქა და ყინული გასკდაო. იმასაც ამბობენ ეპისკოპოსისა და მისი ვაჟების კუბოებს სასწაულებრივი ძალა გარდმოეცათ და უჩინოთ, რომლებიც მათ შეეხნენ, თვალის ჩინი დაუბრუნდათო. ასე განკურნებულან სხვა სნეულნიც.

მოჰკრეს თუ არა თვალი პროცესიას, ყველა ზარს შემოჰკრეს ჰოულარში და იქამდე რეკდნენ, ვიდრე ნეშტები ეკლესიაში არ დაასვენეს. ყველაზე ლამაზი თქმულების მიხედვით როდესაც პროცესია ვასკარდში ჩავიდა, ჰოულარის დედა-ზარმა ლიკაბოინგმა თავისით იწყო რეკვა და არ დამცხრალა, ვიდრე პროცესია ჰოულარს არ მიუახლოვდა. მაშინ კი ზარს ისეთი სიშმაგით დაურეკია, რომ გაბზარულა კიდეც

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ეპისკოპოსისა და მისი ვაჟების შესახვედრად ბილიკს დაადგა ყველა მოძღვარი თუ მრევლთაგანი და შინ ბღვა ხალხმა ჩამოასვენა. ყოველივე ამაზე სიგურდურ იოუნსონმა იბრუნა“.

თავის წიგნში იოუნ არასონის შესახებ გუდბრანდურ იოუნსონი ბუსტად მიგვითითებს თუ რა ადგილზე იქნენ დამარხულნი ეპისკოპოსი და მისი ვაჟები ჰოულარის კათედრალურ ეკლესიშაი. ისინი „დამარხეს ეკლესიის იატაკის შუაგულში, ეკვდერის პარალელურად. ეს ეკლესია 1624 წ. დაინგრა, ხოლო ის, რომელიც მის შემდეგ ააშენეს, შედარებით მოკლე იყო და საფლავები ეკლესიის ბღურბლქვეშ აღმოჩნდნენ.* ეკლესია, რომელიც 1763 წ. აიგო და ახლაც დგას, იმ ეკლესიაზე მცირეა, რომლის ადგილიც ჩაიბარა, საფლავები კი ამჯერად გარეთ მოექცნენ. 1918 წ. ის, სადაც ამ სამარხის პოვნას იმედოვნებდნენ, გათხრები იქნა ჩატარებული. ნაპოვნია ერთ საფლავში მყოფი სამი ადამიანის ნეშტი, ახლო-მახლო კი არასოდეს არავითარი სამარხები არ ყოფილა. ის, რომელიც შუაში იწვა, ხანშიშესული უნდა ყოფილიყო, თავი მარჯვენა იღლიაში ედო, დანარჩენი ორი კი უფრო ახალგაზრდები იყვნენ“.

როგორც ჩანს, მამისა და ვაჟების მკვლელებს დიდხანს არ ეწერათ „თავისუფლად ეპარპაშათ ფროუნში“.* მოახლოვდა წმინდა პავლეს დღე (25 იანვარი) და ჩრდილოელებმა სათევზაოდ სამხრეთით გაცურეს.

ამ დროს ქრისტიან მოხელეც სასწრაფოდ სამხრეთით, ნესისკენ გაემართა, რათა ხალხი დაესაქმა იმ ხომალდებზე, რომლებიც სათევზაოდ ვიდეის მონასტრის კუთვნილი ნაპირებიდან უნდა გასულიყვნენ. ფოგტი წინასწარ გააფრთხილეს, რომ არ გამგზავრებულიყო სამხრეთით, რადგან ჩრდილოელ მეთევზეებთან პირისპირ შეხვედრა არც თუ უხიფათო იქნებოდა. ქრისტიან მოხელეს ყური არ უთხოვებია გაფრთხილებისთვის და ისე მოიქცა, როგორც ჩაფიქრებული ჰქონდა. სრულიად დარწმუნებული გახლდათ, რომ გასულ შემოდგომაზე ჩადენილი მისი ავკაცობა ჩრდილოელებს დავიწყებულიც ექნებოდათ. ისტორია მოგვითხრობს, რომ გრუნდელ თოურუნს (იოუნ არასონის ქალიშვილი. მთარგმ.) მეთევზეების დიდი რაზმი შეუკრებია, რათა ქრისტიან მოხელე და ყველა დანიელი სუდურნესში (სამხრ. ისლანდია. მთარგმ.) გაებაწრათ და სიცოცხლე შეემოკლებინათ მათთვის. მოხელე ქირკიუბოულში იყო გაჩერებული, როდესაც ჩრდილოელები დაადგნენ. ყველა ისლანდიელს შესთავაზეს გამოსულიყვნენ იმ სახლიდან, გლეხისგან კი ნებართვა აიღეს, თუკი თავიდან შეაკეთებდნენ, დაენგრიათ სახლი. ამრიგად ისინი შიგნით შეცვივდნენ და ათი დანიელი მოკლეს. თავყბადალეწილი ქრისტიან მოხელე გარეთ გამოვარდა. მოსასხამი რამდენადმე იფარავდა დარტყმებისგან, მაგრამ რა გაქცევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააპირა, თოურუნის თვრამეტი წლის მსახური გამოენთო ზვიგენის ასაქნელი უზარმაზარი ბებუთით ხელში.

– ახლავე მოვარჯულებ! – თქვა და ბებუთი „მოსასხამს ქვემოთ, მუცელსა და ბარძაყს შორის ნაწლავებში ჩასცა.“ აქ დასრულდა იმ დანიელი კაცის ცხოვრება, რომელიც ისლანდიელებს ჭირის დღესავით სძაგდათ. ამბობენ ქრისტიან მოხელეს მკვლელმა ჩრდილოეთით, ეიაფიორდურში გაქუსლა, რათა ეს ამბავი თოურუნისთვის ეხარებინაო. სამი დღე უმგზავრია ნაცრისფერი საუცხოო ბედაურით, რომელიც ადრე არი ლეგმადურს ჰყოლია, მეორენი კი ამბობენ ცხენი ქრისტიან მოხელისა იყოო.

ქრისტიან მოხელის განვლილ გზას გაუყვნენ სამხრეთ ისლანდიაში დანარჩენი დანიელებიც. მოკლულთა რიცხვი ცხრა ან თოთხმეტი უნდა იყოს. ქრისტიან მოხელის მკვლელები მოგვიანებით ბოროტმოქმედებად იქნენ შერაცხულნი, მაგრამ გარდა ერთისა განაჩენში არც ერთის ვინაობა არ არის დასახელებული. მათი ჩავლებაც ვერ მოხერხდა, რადგან, სრული ჭეშმარიტებაა, რამდენიმე მათგანი ქვეყნიდან გაიქცა და ინგლისში ჩავიდა.

ისტორია გვიამბობს, რომ იმ ისლანდიელებს, ვისაც კი იოუნ ეპისკოპოსის შეპყრობასა და სიკვდილით დასჯაში ერია ხელი, საკადრისი მიეგზღოთ. ჯალათი იოუნ ოულავსონი ჩრდილოელებმა შეიპყრეს და გამდნარი ტყვია ჩაასხეს ხახაში. მეტის ღირსი არც იყო. სნოუქსდალურელ დადი გუდმუნდსონს კი ხალხურმა თქმულებამ უსაზარლესი სიკვდილი მიაკუთვნა. როდესაც ის და ეპისკოპოსი ერთმანეთს დაშორდნენ, ისეთი საშინელი სენი შეჰყრია, რომ ხორცი ცოცხლად შემოალპა და ნაფლეთები სცვიოდაო. „ზოგიერთები ამბობენ, რომ მატლები გასჩენია ხორცში და ამ ვაებაში მომკვდარა“.

გადმოცემები ჰოულარელი მამისა და ვაქებისთვის შურისძიების შესახებ ნათლად ირეკლავს იმ განწყობას, რომელსაც ისლანდიელები ავკაცთა მიმართ იჩენდნენ. ეს ტრაგიკული ისტორია მრავალი პოეტის, მემატიანისა და აგიოგრაფის სულს შეეხო. მათ ნაწარმოებებში იკითხება ის აზრი, რომ ჰოულარელი მამისა და ვაქების სიკვდილით დასჯა ყველაზე დიდი ბოროტმოქმედება იყო, რომელიც კი ისლანდიელი ხალხის გრძელ სევდიან გზაზე ჩადენილა ოდესმე.

ახლა საგა დანიაში გადაინაცვლებს. იოუნ ეპისკოპოსისა და მისი ვაქების სიკვდილით დასჯის ამბავმა იქ მხოლოდ ზაფხულის მერე, 1551 წ. ჩააღწია. იოუნ ეპისკოპოსის სიკვდილამდე მეფეს ცუდი ხმები მისდიოდა ისლანდიაში შექმნილი მდგომარეობის, ეპისკოპოსის მხედრობებისა და ჰამბურგელთა გამოხტომების შესახებ. ეს ამბები მეფისთვის სელაურდალურელ მამა გისლი იოუნსონს და მამა ოულავურ ჰიალტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სონს ჩაჰქონდათ. ცუდი ამბები ჩაუტანა მეფეს ჰირდსტიოური ლაურენტიუს მულემაც, როდესაც 1550 წლის შემოდგომაზე ისლანდიიდან გაემგზავრა. გადაქანცული იყო გერმანელი ვაჭრებისა და ჰოულარელების გამოხტომებით. მეფე მიხვდა, რომ რაღაც უნდა ეღონა. ახლა მას მთელი იმედები გადაეწურა, რომ მღელვარებები მისი ჩარევის გარეშე ჩაცხრებოდა ისლანდიაში. სხვა გამოსავალი არ იყო, მკლავები უნდა დაეკაპიწებინა. ყველაფერს ისიც დაემატა, რომ მის წერილს იოუნ არასონის დაპატიმრებისა და მის ადგილზე სხვა ეპისკოპოსის არჩევის შესახებ არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ამიტომ 1551 წლის დააწყისში მეფემ სამხედრო ექსპედიცია მოამზადა და ოთხასკაციანი რაზმი სამი-ოთხიხომალდიც ისლანდიისკენ გაგზავნა. თავდაპირველად ეს ჯარი უფრო დიდი უნდა ყოფილიყო, მაგრამ როდესაც აპრილში ქრისტიან III-სა და ჰამბურგელთა შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება, მეფემ აღარ ჩათვალა საჭიროდ ძალიან ძლიერი ჯარი გამოეგზავნა აქ, სადაც მხოლოდ ერთი მოწინააღმდეგე იყო დარჩენილი ანუ ეპისკოპოსი იოუნ არასონი. მეორე მხრივ თავის მრჩევლებისადმი იმ გაბაფხულზე მიწერილი წერილიდან ჩანს, რომ ამ ლაშქრობაზე მეფე რამდენადმე ორჭოფობს კიდეც. აზრად ჰქონდა აქ მხოლოდ ერთი ხომალდი გამოეგზავნა, ისიც მხოლოდ სამხრეთ ისლანდიაში, რათა იოუნ ეპისკოპოსი და ხალხი მორჩილებაზე ტკბილი სიტყვით დაეყოლიებინა, მაგრამ ამ იდეამ ვერ გაიმარჯვა.

ერთი ხომალდი ქვეყანას სამხრეთიდან უნდა მიდგომოდა ოტო სტიგსონის წინამძღოლობით, რომელიც თავიდან დანიშნათ ისლანდიის გუბერნატორად, ორი კიაქსელ იუულისა და ქრისტოფერ თრონსენის ხელმძღვანელობით – ჩრდილოეთიდან. სწორედ ამ ორ ხომალდზე იყო რაზმის ძირითადი ნაწილი, რადგან ფიქრობდნენ, რომ მთავარი ძალები ჩრდილოეთში იქნებოდა საჭირო. მეფის წარმომადგენლებს, ცხადია, განსაზღვრული მითითებები ჰქონდათ მიღებული თუ როგორ უნდა ემოქმედათ. მათ უნდა შეეპყროთ იოუნ ეპისკოპოსი, მისი სიძე, უახლოესი მხარდამჭერები და ქოპენჰაგენში ჩაეყვანათ ისინი, ხოლო თანამდებობებზე ლუთერანიზმისადმი ლოიალურად განწყობილი ხალხი დანიშნათ. ამ დანიელებს უნდა ეზრუნათ იმაზე, რომ ჰოულარის ეპისკოპოსად ოულავურ ჰიალტასონი ყოფილიყო არჩეული, ჩრდილოეთში პიეტურ ეინარსონი დაესვათ ფოგტად და პატიმრობიდან გაეთავისუფლებინათ ეპისკოპოსი მარტეიტნი, რათა იგი თავის ადგილს დაბრუნებოდა სკაულჰოლტში. ამ ხალხს თაყვანი უნდა ეცა მეფისა და ტახტის მემკვიდრის ფრედერიქ II-თვის. ყოველივე ამასთან ერთად დადი გუდმუნდსონს, ორმურ სტურტლუსონს და კიდევ რამდენიმე კაცს მეფემ წერილი გამოუგზავნა, სადაც ბრძანებს მხარდაჭ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერა აღმოუჩინონ დანიელთა რაზმებს. ჰოულარის საეპისკოპოსოს მცხოვრებლებს კი მეფე სთავაზობს დაემორჩილონ დანიელ მეთაურებს, წინააღმდეგობა გაუწიონ იოუნ ეპისკოპოსს და დადონ ერთგულების ფიცი. მეფემ ჩათვალა, რომ ამჯერად ყველა საქმე მოიკვარახჭინა.

მეფის რაზმები ნაპირს 1551 წლის არაუგვიანეს მაისში ან ივნისში მიაღწევდნენ. ნახეს დანიელებმა, რომ მათი სამხედრო ექსპედიციის საბაბი უკვე ისტორიას ჩაბარებოდა და, ეჭვგარეშეა, დიდადაც აღშფოთდნენ.

ერთგულების ფიცი დადებულ იქნა ალთინგზე ივნისისა და ივლისის შუა პერიოდში. იგივენაირი ფიცი დადო ოცდათექვსმეტმა კაცმა ეიაფიორდურზე, ოდდეირიში 15 ივნისს. ფიცის სიგელში იკითხება იოუნ ეპისკოპოსის, როგორც რამდენიმე მეგობრისა და მოყვრის, ისე მისი ვაჟის მამა სიგურდურის სახელი. მაგრამ ეს, რაღა თქმა უნდა, იძულებითი ფიცი იყო, რომელიც დანიელ ჯარისკაცთა თოფების წინ იქნა მიცემული.

მეორე დღეს, 16 ივნისს, ქრისტოფერ თრონსენმა და აქსელ იუულმა ორი თორმეტეული მოიწვიეს ანუ ე.წ. ოდდეირის სასამართლო. აქ შეიკრა ქრისტიან III-ისა და იოუნ არასონის ურთიერთობათა ბოლო კვანძი. იოუნ ეპისკოპოსი და მისი ვაჟები, არი და ბიორტნი სახელმწიფო დამნაშავეებად იქნენ გამოცხადებულნი და მათი ქონება მეფეს გადაეცა.

ოდდეირის სასამართლოს მეშვეობით მეფე შეეცადა გაემართლებინა იოუნ არასონისა და მისი ვაჟების მკვლელობა და გაეპატიოსნებინა ქრისტიან მოხელის ხსოვნა.

ბოლოთქმა

იოუნ ეპისკოპოსის გარდაცვალება და ამასთან კათოლიკურ ეკლესიაზე დანიის მეფის ხელისუფლების სრული გამარჯვება საბედისწერო წყალგამყოფი აღმოჩნდა ისლანდიელი ხალხის ისტორიაში. იბრძოდა რა საკუთარი არსებობისათვის, კათოლიკური ეკლესია მეფის ძალაუფლების მუხრუჭი იყო და მის დიქტატურას წინ ელობებოდა. ადგილობრივ არისტოკრატთა ხელისუფლება იოუნ არასონის სიცოცხლეშივე გავიდა ისტორიის არენიდან, 1550 წლის შემდეგ კი ისლანდიელებმა დაკარგეს ის ბრწყინვალება, რომელიც უკანასკნელ კათოლიკე ეპისკოპოსთა, განსაკუთრებით კი იოუნ არასონის ცხოვრებას, მოღვაწეობას და ბრძოლას ახასიათებდა და რომელიც კი ადგილობრივ არისტოკრატიას გააჩნდა. მეფის თავდასხმების წინააღმდეგ დაპირისპირებისას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისლანდიელები ახლა უხელმძღვანელოდ დარჩნენ, თუმცა XVI ს-ის მეორე ნახევარში შნოიანი დიდკაცებიც ჰყავდათ. რჯულის შეცვლამდე მრავალი ჰირდსტიოური ისლანდიელი იყო. უცხოელთა რიცხვი კი თანდათან იზრდებოდა, რაც კავშირში უნდა ყოფილიყო ისლანდიასთან ვაჭრობისათვის შეხლა-შემოხლასა და დანიის მეფის მზარდ მეცადინეობასთან დანიელთა ხელში მოექცია მთელი აქაური ვაჭრობა. ლუთერანიზმის შემოღების შემდეგ ჰირდსტიოურებად დანიელები ინიშნებოდნენ, ამასაც თავისი გავლენა ჰქონდა. ხალხის წარმოსახვაში დანიურმა ხელისუფლებამ პიროვნულობა დაჰკარგა და, იოუნ სიგურდსონის განსაზღვრით „იდეურ არსებად" იქცა, რომელიც უსამართლოდ ეპყრობოდა ამა ქვეყნის დიდთაც და მცირეთაც.

მართალია, სასულიერო თუ ფინანსურ სფეროში კათოლიკური ეკლესია ხარბიც იყო და მომთხოვნიც, მაგრამ ის განძეული, რომელიც მას დაუგროვდა, ქვეყნიდან როდი გასულა. ლუთერანიზმის შემოღებით კი ეპისკოპოსთა რეზიდენციების, ეკლესიებისა თუ მონასტრების ქონება მეფემ მიითვისა. დათვლილია, რომ ქრისტიან III-მ შეძლო თავისკენ მოეხვეტა მთელი აქაური მიწების 1/6. ეს საქმე მან სულ რამდენიმე წელიწადში განახორციელა. კიდევ უფრო დიდი ქონება ირგუნა მან ეკლესიისგან. ის სამეფო ჯარიმები, რომლის გადახდაც ეკლესიას ხვდა წილად, ქვეყნიდან გავიდა და მეფის ქისაში ჩაედინა. ე.წ. დიდი სამსჯავროს (1564) დადგენილებით ეკლესიას ჩამოერთვა სასამართლო ძალაუფლება ზნეობის საკითხებში და აქედან გამომდინარე დაჯარიმების უფლებაც. საეკლესიო დაწესებულებები მდიდარი იყო ოქროთი თუ განძეულობით, მორთულობითა თუ სამკაულებით. სულ რამდენიმე განკარგულებით მეფემ ქვეყანას მთელი ეს ძვირფასეულობა წაჰგვარა, რომლის შეფასებაც მრავალი ათასი ძროხის ფასად შეიძლებოდა, რომ აღარა ვთქვათ რა მათი დაუვიწყარი სილამაზისა და როგორც ხელოვნების ნიმუშების ფასეულობის შესახებ. ისლანდია მსოფლიოს ამ სიკეთისაგან განძარცულ ქვეყნად იქცა. მეფის ხელისუფლების სიხარბე ყველა სფეროში იზრდებოდა. გოგირდის ამოღებითა და შევარდნების ჭერით მიღებული მოგება, ისევე როგორც თევზჭერის სარფა, მეფესთან მიდიოდა, რადგან რეზიდენციების სათევზაო ნავმისადგომებს მის მიერ ყადაღა ჰქონდა დადებული. ზევით უკვე ნახსენები იქნა მეფის მზარდი მეცადინეობა მონაწილეობა მიეღო ისლანდიასთან უცხოელთა ვაჭრობაში და სულ უფრო და უფრო უჭერდა მხარს დანიელ ქვეშავრდომთა ვაჭრობას, რომლებმაც მოგვიანებით სავაჭრო მონოპოლიის წყალობით ყველაზე მეტად გაიტეხეს სახელი.

ეჭვგარეშეა, ზურგსუკან მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე კათოლიკური ეკლესია მდიდარი იყო ძველი ხალხური წესებითა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრადიციებით, რომლებიც კათოლიციზმის მოსპობისას ისე დაიკარგნენ, რომ მათ ადგილზე სხვა აღარაფერი მოსულა, ყოველ შემთხვევაში პირველ ხანებში მაინც. სულიერი განძეულობა ახლა ეკონომიკისა და გარეგანი პირობების ანაბარა დარჩა. ამიტომაც ლუთერანობის შემოღებისას შეიმჩნევა ერის სულიერი ცხოვრების რეგრესი. მაგალითად შეთხელდა საავტორო (პირველყოფილი) პოეზია. რეფორმატორული კულტურის ქურუმები უპირატესობას სასულიერო ცხოვრების ამსახველ თარგმანებს ანიჭებდნენ, ხოლო ფსალმუნთა მათ მიერ შესრულებული თარგმანები უმეტესწილად გულისამრევად ნათითხნი ლექსები იყო. ამ თარგმანებს ხალხი იოუნ არასონისა და სიტყვის სხვა ოსტატთა ღვთაებრივ ლექსებს ადარებდა. ლუთერანიზმის შემოღების შემდეგ ზოგიერთი პოეტის პოეზიაში გარდასული დროის დატირებაც ჩანს. პოეტი ბიარტნი იოუნსონი ამბობს:

ყველაფერს სხვა ეშხი ჰქონდა
ადრე, ძველ დროს, პაპობისას.
ნაწერებიც, მორთულობაც
დაგლიჯეს დ გადაბუგეს,
ქრისტეს ხატი დაამტვრიეს,
კვეთურობაც ჭიებს მისცეს,
ზარებს ენა დააგლიჯეს
და ახალ რჯულს თაყვანი სცეს.

იოუნ სიგურდსონის სიტყვით ისლანდიელებმა „ეპისკოპოს იოუნ არასონისა და მისი ვაჟების გარდაცვალება ისე გაიცნობიერეს, თითქოს მათთან ერთად სხვა უკანასკნელი ისლანდიელებიც გარდაიცვალნენ“. თავისი რწმენისა და ბრძოლისათვის იოუნ არასონი მოწამეობრივი სიკვდილით მოკვდა. ისლანდიელთა ბრძოლაში იგი სიმბოლო გახლდათ იმ ვაჟკაცობისა და ჩაუკლავი რწმენისა, მთებს რომ გადააბრუნებს ხოლმე და ლამაზი მაგალითი იმათთვის, ვინც შემდგომ ერი ჯადოქნილის ძილისგან გამოაფიზლა, მაგალითი, რომელმაც „გამოჭედა ზნე და გამოაწრთო ვაჟკაცობა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბატი – მამათა მონასტრის წინამძღვარი. ირჩეოდა თვით ბერების მიერ, ამტკიცებდა ეპისკოპოსი.

ალთინგი – ქრისტეშობისშემდგომი ევროპის პირველი პარლამენტი. დაარსდა 930 წ. ალთინგზე მონაწილეობას მდაბიონიც იღებდნენ. ასე ეწოდება ისლანდიის პარლამენტს დღემდე.

ამით მან თავისი ნათესავი ნორვეგიელები... – ისლანდიელები ნორვეგიელების შთამომავლები არიან.

ამ მოძღვრების გავრცელებას ფრედერიქ I პასიურად შეჰყურებდა – ფრედერიქ I-მა პროტესტანტებს სარწმუნოებრივი თავისუფლება მიანიჭა.

არქიეპისკოპოსი – იგულისხმება ნორვეგიელი არქიეპისკოპოსი, რომელსაც რეზიდენცია ნიდაროსში (იხ.) ჰქონდა.

აურტნი მაგნუსონი – (1663-1730) სწავლული, სიძველეთმცოდნე, ძველი ხელნაწერების შემგროვებელი. ცხოვრობდა ძირითადად დანიაში, ქოპენჰაგენში, მუშაობდა მეფის საიდუმლო არქივში. მთელი ცხოვრება ემსახურა ძველსკანდინავიური, განსაკუთრებით ძველისლანდიური ხელნაწერების ძიებასა და შეგროვებას. ისლანდიის დღევანდელი ხელნაწერთა ინსტიტუტი მის სახელს ატარებს. მისი სახე ისლანდიური ქროუნას (კრონი) ერთ-ერთ ბანკნოტზეც კი არის გამოსახული.

ბადსტოვა– ღარიბი გლეხის ძველისლანდიური სახლის ის ნაწილი, სადაც ჭამდნენ, ძაფს ართავდნენ და ეძინათ.

ბერგენი – ქალაქი დასავლეთ ნორვეგიაში. დაარსდა 1070 წ.

ბესასტადირი – ადგილი აულტანესის კონცხზე, რეიკიავიკის მახლობლად, XIII ს-ში სნორი სტურტლუსონის (იხ.) მიწა, შუა საუკუნეებში მეფისნაცვლის, დღეს კი პრეზიდენტის რეზიდენცია.

ბიურგერი – მოქალაქეთა წოდების წევრი.

გოდი – საგვარეულო ქურუმი.

გუდბრანდურ თორლაუქსონი – (1541 ? - 1627) ჰოულარის ეპისკოპოსი 1571 წლიდან, თავისი დროის უგანათლებულესი და ერთ-ერთი გავლენიანი ადამიანი. მან შეისყიდა იოუნ არასონის სტამბა და დიდად განავითარა საგამომცემლო საქმე ისლანდიაში. მას ეკუთვნის ბიბლიის პირველი ისლანდიური ნაბეჭდი გამოცემა (1584).

გუდმუნდურ კეთილი (არასონი) – (1160-1237) ისლანდიელი ეპისკოპოსი. მისდევდა ასკეტურ ცხოვრებას და განთქმული იყო გულსათნოებით. უბრალო ხალხმა იგი სიცოცხლეშივე აღიარა წმინდანად, მაგრამ პაპს ეს არ დაუმტკიცებია. 1201 წ. ჰოულარის ეპისკოპოსი გახდა.

გუდმუნდურ მძლავრი – (X-XI სს.) თავისი დროის ერთ-ერთი გავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენიანი პიროვნება.

გულდენი – ჰოლანდიური ფულის ერთეული

გუსტავ ვასა – (1496-1560) შვედეთის მეფე. 1527 წ. შვედეთში დაამყარა ლუთერანობა და ეკლესიის ქონებას დაეპატრონა. მანვე დააკანონა ის, რომ შვედეთის ტახტი მემკვიდრეობით უნდა გადასულიყო. დიდად უწყობდა ხელს მანუფაქტურისა და ვაჭრობის განვითარებას.

dispenserra (ლათ.) – განახორციელოს მართლმსაჯულობა

დროუჰტქვაიდი – ძველსკანდინავიური ლექსის ერთ-ერთი სახეობა.

ეიტლ სკატლაგრიმსონი – (930-990) ვიკინგთა ეპოქის ისლანდის უდიდესი სკალდი (იხ.).

ეპისკოპოსს იმდენად შეუგვიანდა ... უცხოეთში გამოიზამთრა – ზამთრობით ისლანდიისკენ ხომალდები თითქმის არ გადიოდნენ.

et cetera – (ლათ.) და სხვა

ექსარაუ – მდინარე სამხრეთ-დასავლეთ ისლანდიაში. მის ერთ-ერთ კუნძულზე ალთინგის (იხ.) დროს ორთაბრძოლები ტარდებოდა ხოლმე.

ექსარაურთინგი – ლეგრეტას (იხ.) გავრცელებული სახელი XVI-XIX სს.

ვიდეი – კუნძული რეიკიავიკის მახლობლად, რომელზედაც 1226 წ. დაარსდა შემდგომ ისლანდიის უმდიდრესი მონასტერი.

თეთრი ლუდი – აქ: ლუდი, რომელსაც რამდენიმე დღეს ადუღებენ.

თენსბერგი – ქალაქი სამხრეთ ნორვეგიაში, დაარსდა 870 წ.

თინგი – საოლქო უმაღლესი სასამართლო და განმკარგულებელი ორგანო საბჭოს სახით, რომელზედაც მონაწილეობას იღებდა მოსახლეობაც. საკითხი, რომელიც თინგზე ვერ წყდებოდა, ალთინგზე (იხ.) გაჰქონდათ.

თინგვეტლირი– ადგილი, სადაც ალთინგი (იხ.) იმართებოდა ხოლმე (სამხრეთ-დასავლეთ ისლანდია).

თუმცა ქვეყანაში ახალი რჯული იყო შემოსული – იგულისმხება ლუთერანობა.

ინდულგენცია – (ლათ. ინდულგენტია – მიტევება, წყალობა) სიგელი, რომლითაც ადამიანს მიეტევებოდა არა მხოლოდ უკვე ჩადენილი, არამედ „სამომავლო“ ცოდვებიც. ი-ცია გაიცემოდა კათოლიკური ეკლესიის მიერ და პაპებისთვის უზარმაზარი შემოსავალი შემოჰქონდა. 1517 წ. ლუთერმა ამ სიმახინჯის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა.

In manus tvas, Domine, commendo spiritum meum – (ლათ.) შენ გაბარებ ჩემს სულს, უფალო.

იოუნ არასონის ოჯახზე ის უნდა ითქვას, რომ მამამისი იყო არი –

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისლანდიელთა უმეტესობა გვარს არ ატარებს. გვარის მაგიერ იხსენიება წარმომავლობა. დაბოლოება „სონ“ ნიშნავს ვაჟს, ხოლო „დოუჰტერ“ ასულს. ამრიგად იოუნის მამას არი ერქვა (აქედან არასონ, ე.ი. არისძე, არიძე). ეპისკოპოსის უფროს ვაჟსაც არი ერქვა, მაგრამ იგი არასონი კი არა, იოუნსონი იყო. დღეს ახალი გვარის მიღება კანონითაა აკრძალული.

იოუნ ეინარსონი – (XIII ს.) ისლანდიელი კანონთმეტყველი.

იოუნ სიგურდსონი – (1811-1879) გამოჩენილი პოლიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე, ისლანდიის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი, ისლანდიელთა ერთ-ერთი უსაყვარლესი პიროვნება. 1944 წელს ისლანდიის სუვერენულ სახელმწიფოდ გამოცხადების დღე სწორედ მისი დაბადების დღეს დაამთხვიეს (17 ივნისი).

ისალანდი – ისლანდიის ერთ-ერთი პოეტური სახელი.

„ისლანდიის უბედურება იარაღად იქცევა“ – ფრაზა პოეტ ბიარტნ თორარენსენის ლექსიდან.

item – (ლათ). აქ: ასევე.

იუტლანდი – ნახევარკუნძული, რომელზედაც ძევს დანიის უმთავრესი ტერიტორია.

... იცოდა და შინაარსიც იდო ამ სიტყვებში – ე.ი. თვლიდა, რომ ქრისტიან III უკანონოდ იყო მოსული ხელისუფლების სათავეში.

causas papales – (ლათ.) საპაპოს საქმეები

ლატერანის ყრილობა – ხუთი საეკლესიო ყრილობა რომში (1123, 1139, 1179, 1215, 1512-17).

ლეგატი – პაპის ან არქიეპისკოპოსის რწმუნებული.

ლეგმადური – ადგილობრივი ფენებისგან არჩეული უმაღლესი ხელისუფალი, ამტკიცებდა ჯერ ნორვეგიის, შემდეგ კი დანიის მეფე.

ლეგრეტა – 36 გოდისაგან (იხ.) შემდგარი უმაღლესი სასამართლო ინსტანცია ალთინგზე (იხ.). ლ-ს მართავდა კანონთმეტყველი (დაახლ. სპიკერი).

ლეგრეტუმადური – ლეგრეტას (იხ.) წევრი.

ლენი – ტერიტორია (ერთეული), რომელსაც მეფე ან სხვა ფეოდალი გადასცემდა ვასალს იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი მის სამსახურში ჩადგებოდა და მის მიერ წარმოებულ ომებშიც მიიღებდა მონაწილეობას. შუასაუკუნეთა მიწურულისთვის ლ. მემკვიდრეობითი გახდა.

ლენსმანი – ლენის (იხ.) მფლობელი დიდგვაროვანი.

ლენჰარდი – ერთ-ერთი ფოგტი (იხ.) ისლანდიაში, ეროვნებით გერმანელი. ავკაცობისა და ყაჩაღობის გამო ისლანდიელებმა ჩაკლეს 1502 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლილია – XIV ს-ის ულამაზესი ისლანდიური პოემა. ლილიაში (ე.ი. „შროშანში“, ისლ.) იგულისხმება მარიამ ღვთისმშობელი. პოემა დაწერილია ბერ ეისტეიტნ აუსგრიმსონის მიერ.

ლოუდი – 1/32 ფუთი.

მათი ადმინისტრაციული რაიონები ადრე გაცილებით დიდი იყო – აქ ავტორი ისლანდიის ძველ ოლქებს დღევანდელ ადმინისტრაციულ ერთეულებს ადარებს.

მაგნუს კანონთსრულმქმნელი – (მაგნუს VI) (1238-1280) ნორვეგიელი მეფე. შემოიღო რაინდისა და ბარონის ტიტულები, მანვე შეადგინა ნორვეგიის ახალი კანონები.

მეათედი – საეკლესიო გადასახადი კერძო შემოსავლიდან 10%-ის ოდენობით.

მეოთხედი – 965-1800 წწ. ისლანდია იყოფოდა აღმოსავლელთა, ჩრდილოელთა, დასავლელთა და სამხრეთელთა მეოთხედებად, რომლებიც თავის მხრივ უფრო წვრილ ადმინისტრაციულ ერთეულებისაგან შედგებოდნენ.

მერკი – 216 გრამი.

ნაპირებზე ზღვა დიდძალ ხე-ტყეს რიყავდა – საზღვაო დინებებს ისლანდიაში (განსაკუთრებით ჩრდილოეთ ნაწილში) უამრავი ხე-ტყე ჩააქვს. იყო დრო, როდესაც ზოგიერთები „იმპორტული“ მორების გაყიდვით ირჩენდნენ თავს. ამ ხე-ტყისგან ერთი მომცრო ეკლესიაც კი იქნა აგებული.

ნიდაროსი– დღევანდელი ქალაქი თრონჰეიმი ნორვეგიაში, დაარსდა 997 წ.

ოლდენბურგი – ქალქი დასვლეთ გერმანიაში.

ორკნეის კუნძულები – 70, ამათგან 20 დასახლებული კუნძული შოტლანდიისგან ჩრდილოეთით, მოსახლეობა 18.900, 1098-1472 წწ. ნორვეგიის სამფლობელო, დღეს შოტლანდიის ტერიტორია.

ორჯერვე გეახელით როსტოკის რვა-რვა... ლუდს – გაუგებარია ზომის რა ერთეული იგულისმხება.

პინინგი – (დიდრიქ) მეფის ნაცვალი XV ს-ში. ყოველმხრივ უწყობდა ხელს გერმანელთა ვაჭრობას ისლანდიელებთან. დაახლ. 1491 წ. მოკლეს ინგლისელმა ვაჭრებმა.

პრიორი – აბატის (იხ.) თანაშემწე, ბერთა მეთვალყურე.

პრობსტი – უფროსი პასტორი.

რიმები – (მხ. რიცხვ. რიმა) პოეზიის მკაცრი წესებით შეკრული ვრცელი ლექსი ან პოემა, უმეტესწილად ისტორიული ხასიათისა, რომელსაც ამბობდა სახალხო მთქმელი ან იკითხებოდა ჯგუფურად. რ-ები ჩაისახა XIV ს-ში. მას ზოგჯერ ისლანდიურ ბალადასაც უწოდებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსტოკი – ქალაქი აღმოსავლეთ გერმანიაში, თითქმის ზედ ბალტიის ზღვასთან, შუა საუკუნეებში ჰანზას კავშირის (იხ.) ერთ-ერთი უაქტიურესი წევრი.

საგების საუკუნე – 930-1030 წწ. ამ პერიოდში მომხდარი ამბები საფუძვლად დაედო ე.წ. ისლანდიელთა საგებს (უცნობ ავტორთა მიერ ჩაწერილი ან დაწერილი მხატვრულ-ისტორიული ხასიათის ნაწარმოები).

სავაჭრო მონოპოლია – იმ მიზნით, რომ ისლანდიაში დანიელ ვაჭრებს სრული უპირატესობა მოეპოვებინათ, 1602-1787 წწ. ისლანდიელებს აეკრძალათ სხვა უცხოელებთან ვაჭრობა. გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ ან ჰოლანდიურ ხომალდზე ასვლა კონტრაბანდისტობასთან იყო გაიგივებული. ასეთმა შეზღუდვებმა ქვეყანა უკიდურეს სიღატაკეში ჩააგდო, რასაც თვით დანიელთათვის მოჰქონდა ზარალი.

საპრობსტო – პრობსტის (იხ.) სამრევლო რაიონი.

საფლავები ეკლესიის ზღურბლქვეშ აღმოჩნდნენ – კათოლიკეთა მიმართ ლუთერანების ასეთი გულგრილობა არ არის გასაკვირი. იოუნ არასონი ჯეროვნად მხოლოდ მრავალი თაობის მერე დაფასდა.

სახალხო მმართველობა – /930-1262/ ოქროს ხანა ისლანდიის ისტორიაში, როდასაც მდიდარი და მდაბიო თანასწორი იყო კანონთან.

სერვიტუტი – (ლათ. სერვიტუს - მონობა, დამორჩილება, ბეგარა) სხვისი ქონების სარგებლობის უფლება, მაგ: სხვის მამულში გზის გაყვანის, სიარულის, შეშის მოჭრის და ა.შ.

სვეინკი – "სვეიტნის" კნინობითი ფორმა. აქ — აგდებით.

სისლა – ოლქი, რაიონი.

სკალდი – პოეტი ძველ სკანდინავიაში. სკალდის ოსტატობა ობიექტურობითა და ექსპრომტის სისრულით ფასდებოდა.

სნორი სტურტლუსონი – /1178-1241/ უთვალსაჩინოესი ისლანდიელი კალმოსანი, ისტორიკოსი და პოლიტიკოსი. შეაგროვა და ჩაიწერა ძველსკანდინავიური პოეზიის დიდი ნაწილი. მე-13 საუკუნის მეორე ნახევრის ისლანდიის პოლიტიკურ ცხოვრებაში ეს სწავლული დიდ როლს თამაშობდა. მონაწილეობდა რა წარჩინებულთა შორის გაჩაღებულ ინტრიგებში, ტრაგიკულად დაიღუპა მოქიშპეთა ხელით.

სისლუმადური – მოსამართლე და ოლქის მმართველი. ასე ეწოდება ამ უკანასკნელს დღემდე.

სორე – ქალაქი დანიაში /კუნძულ შელანზე/.

სტავანგერი – ქალაქი სამხრეთ დასავლეთ ნორვეგიაში, დაარსდა მე-12 საუკუნეში.

სტურტლუნგა – მე-12-13 საუკუნეთა საგების კრებული.

სტურტლუნგთა პერიოდი – /ან "სტურტლუნგთა საუკუნე"/ 1220-

ეროვნული ბიბლიოთეკა

1261 წ.წ., როდესაც ქვეყნის უწარჩინებულესმა გვარებმა ძალაუფლებისთვის იწყეს ბრძოლა. ამ ბრძოლაში ყველაზე მეტ პრეტენზიას სტურტლუნგთა ძლიერი გვარი აცხადებდა. ამ პერიოდში გაძლიერდა ისლანდიაზე ნორვეგიის მეფის გავლენა და 1262 წ. ქვეყანა ნორვეგიის ვასალი გახდა.

სულეიმან I – /1520-1566/ თურქეთის უძლიერესი სულთანი.

ტრენტოს ყრილობა – იტალიის ქალაქ ტრენტოში 1545-1563 წ.წ. გამართული საეკლესიო ყრილობა, რომლის მიზანი იყო კათოლიკური ეკლესიის პროტესტანტთა კრიტიკისაგან დაცვა და თავდაცვიდან შეტეტვაზე გადასვლა.

ფარერის კუნძულები – 20-ზე მეტი კუნძული ატლანტიკის ოკეანეში (17 დასახლებული) ისლანდიასა და შოტლანდიას შორის, დანიის ტერიტორია, მოსახლეობა 47 000. 1948 წლიდან ფ. კ-ებს აქვთ ავტონომია. ფარერული ენა გერმანიკული ჯგუფის ჩრდილოურ შტოს განეკუთნება, მას ზოგჯერ დასავლეთ სკანდინავიურ დიალექტსაც უწოდებენ. მისი უახლოესი მონათესავე ენებია ნორვეგიულის დასავლური კილო-კავები და ისლანდიური. ფარერელებს აქვს საკუთარი სალიტერატურო ენა. დედაქალაქი თორშჰაუნი – 13 000 (1987 წლის მიხ.).

ფიუნი – სიდიდით მეორე კუნძული დანიაში (შელანის შემდეგ).

ფრანსუა I – (1494-1547) საფრანგეთის მეფე. მის კარზე ყვაოდა ხელოვნება.

ფროუნი – იხ. ისალანდი.

ქალმარის უნია – დანიას, შვედეთსა და ნორვეგიას შორის 1397 წ. შვედეთის ქალაქ ქალმარში დადებული შეთანხმება, რომლის მიხედვითაც სკანდინავიის ყველა ქვეყანას უნდა ჰყოლოდა ერთი მეფე და ჰქონოდა ერთიანი საგარეო პოლიტიკა.

ქარლ V – (1500-1558) 1516 წ. ბაბუისაგან ფერდინანდო II-გან მემკვიდრეობად ესპანეთის ტახტი მიიღო. 1519 წ. გარდაიცვალა მისი მეორე ბაბუა მაქსიმელიან I და ამრიგად ქარლV გერმანიის იმპერატორიც გახდა. იგი ლუთერანობის დიდი მოწინააღმდეგე იყო.

ქლაინგურ თორსტეინსონი – (1102-1176) ისლანდიელი ეპოსკიპოსი, რომალმაც სკაულჰოლტში ახალი ეკლესია ააგებინა.

ქრისტიან I – (1426-1481) დანიელი მაფე, შლეზვიგელი ჰერცოგი და ჰოლშტაინელი გრაფი (იხ. შლეზვიგ-ჰოლშტაინი).

ქრისტიან II – (1481-1559) ნორვეგიის გუბერნატორი 1506-1512 წ.წ. 1513-1523 წ.წ. დანიისა და ნირვეგიის მეფე. 1520 წლიდან დაეუფლა შვედეთსაც.

ქრისტიან მოხელეს გამბედაობა აღარ ეყო... – შიშობდა, რომ ამ ხნის განმავლობაში ჩრდილოელები თავდასხმას მოაწყობდნენ მასზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეპისკოპოსს გაათავისუფლებდნენ, რასაც უსიამო შედეგები მოჰყვებოდა.

შელანი – დანიის უდიდესი კუნძული, რომელზედაც გაშენებულია ქოპენჰაგენი.

შეტლანდის კუნძულები – შოტლანდიისგან ჩრდილოეთით, 200 კმ-ით დაშორებული კუნძულები, შოტლანდიის ტერიტორია. V ს-ში აქ პიქტები დასახლებულან, 875 წ. დაიპყრო ნორვეგიის მეფე ჰარალდრ ჰარფაგრმა, ხოლო 1380 წლის შემდეგ დანიას დაემორჩილა. 1469 წ. დანიელებმა ეს ტერიტორია გირაოდ გადასცეს შოტლანდიელებს, 1590 წ. კი საბოლოოდ დაკარგეს. მე-18 ს-მდე აქ დასავლეთ სკანდინავიურ კილო-კავ ნორნზე მეტყველებდნენ.

შლეზვიგ-ჰოლშტაინი – დასავლეთ გერმანიის ერთ-ერთი მხარე (დანიის სამხრეთით). ისტორიულად ეკუთვნოდა ხან დანიას, ხანაც გერმანიას.

ძველი ტრაქტატი – ისლანდიელთა და ნორვეგიის მეფის რწმუნებულთა მიერ 1302 წლისათვის დადებული შეთანხმება იმის თაობაზე, რომ ისლანდიელები არ დაემორჩილებოდნენ ნორვეგიელი მეფის გამოძახებებს, ხოლო ყველა ლეგმადური (იხ.) და სისლუმადური (იხ.) ეროვნებით ისლანდიელი უნდა ყოფილიყო.

წინააღმდეგ შემთხვევაში იგივე მოხდებოდა, რაც ნორვეგიაში მოხდა — ქალმარის კავშირის დროს (იხ.) ნორვეგიულმა ენამ დიდი გავლენა განიცადა დანიურისაგან, მე-15-16 ს.ს. კი დანიური ნორვეგიის ლიტერატურული ენა იყო. საზოგადოების მაღალი ფენების წარმომადგენლები დანიურად მეტყველებდნენ (მკვეთრი ნორვეგიული კილოთი) (აღსანიშნავია, რომ თავის ქმნილებებს ჰენრიქ იბსენი დანეურად წერდა). 1929 წ. ამ ნარევ ენას რიქსმოლი (სახელმწიფო ენა) ან ბუკმოლი (მწიგნობრული ენა) ეწოდა. მე-19 ს. მასწავლებელი, პოეტი და თვითნასწავლი ლინგვისტი ივარ ოსენი (1813-1896) სუფთა ნორვეგიული დიალექტების კვლევაძიებას და ჩაწერას შეუდგა. სოფლის კილო-კავებზე დაყრდნობით მან შეძლო გამოეყვანა ოპტიმალური ენა, რომელიც საგრძნობლად განსხვავდებოდა რიქსმოლისაგან (თუ არ ჩავთვლით დანიური და ნორვეგიული ენების ისტორიულ მსგავსებას და საერთო წარმოშობას). ამ ენას ლანსმოლი (სოფლის ენა) ანუ ნი-ნორშკა (ახალი ნორვეგიული) ეწოდა. დღეს სკოლებში ისწავლება რიქსმოლიც და ლანსმოლიც. ასევე თანაბარი უფლებებით სარგებლორს ორივე ენა ოფიციალურ უწყებებში, საბუთებში, ლიტერატურაში და ა.შ. ნორვეგიული ენის შესწავლისას ასეთი "ორენოვნება" გარკვეულ სირთულეებს ქმნის.

ჰანეს ჰავსტეინი – (1861-1922) ისლანდიელი პოლიტიკოსი და პოეტი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისლანდიის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს პირველი მინისტრი.

ჰანზას კავშირი – მე-12-16 ს.ს. სავაჭრო კოალიცია, რომლის წევრებიც უმეტესად ჩრდილოეთ გერმანიის ქალაქები იყვნენ. ჰ.კ-ის სათავეში იდგა ქ. ლიუბეკი. კავშირს მთელი ჩრდილოეთ ევროპის ვაჭრობა ეპყრა ხელთ.

ჰაპნარფიორდური – პატარა ქალაქი სამხრეთ-დასავლეთ ისლანდიაში რეიკიავიკის მახლობლად, სკაულჰოლტის საეპისკოპოსოს ტერიტორია.

ჰატლგრიმურ პიეტურსონი – (1614-1674) პასტორი, ისლანდიის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი პოეტი. მისი "ვნების ფსალმუნები" (1666) ისლანდიაში სამოცჯერ არის გამოცემული და თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე.

ჰევდინგი – თავისუფალ და დამუკიდებელ მიწათმოქმედთა შორის გამორჩეული დიდგვაროვანი. მოგვიანებით ამ სიტყვამ „დიდგვაროვნის" ან „ბობოლას" მნიშვნელობა შეიძინა. ზოგჯერ საქებარ ეპითეტადაც იხმარება – ვაჟი, ვაჟკაცი, კაცური კაცი.

ჰირდსტიოური – ნორვეგიის, შემდეგ კი დანიის მეფის ნაცვალი ისლანდიაში XIII-XVII სს.

ჰრაპნი ეკლესიიდან ოქრო-ვერცხლის გაპარებაში დაეხმარა – ეს ძვირფასეულობა იოუნ არასონმა არა მითვისების, არამედ გადამალვისა და ეკლესიისათვის შენარჩუნების მიზნით გაიტანა.

ჰუსავიკი – პატარა ქალაქი ჩრდილოეთ ისლანდიაში.

[1] ე.წ. გრაფის ომი მომდევნო თავებში იქნება განხილული (თარგმ.) თავი ითარგმნა მნიშვნელოვანი შემოკლებებით.

[2] თავი ითარგმნა მნიშვნელოვანი შემოკლებებით.

[3] სტეიტნი მარტეიტნის მცველს ერქვა.

[4] ფრაზა პოეტ ოდდურის ლექსიდან იოუნ არასონის შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

1. შესავალი 6
2. აკვნიდან დიდებამდე 15
3. გზა ჰოულარისაკენ მიემართება 18
4. თამაშში არავინ არავის ძმა არ არის 20
5. ახალი დროება 26
6. სკანდინავიური პოლიტიკის გარდატეხა
   და ულავ ენგილბრიკტსონი 30
7. ჰოულარელი ეპისკოპოსი 36
8. სიფიცხე შორსმჭვრეტელობით ფასდება.
   ტეიტურის საქმე 39
9. იოუნ არასონის შვილები 43
10. კულტურის ქურუმი და სკალდი 49
11. გრაფის ომი და რეფორმაცია სკანდინავიაში 52
12. ძველისა და ახლის შესაყარზე.
   ეგმუნდურ პაულსონი და რეფორმატორები 55
13. ისლანდია ორ სახელმწიფოდ იხლიჩება 64
14. ხანი ბრძოლებს შორის 69
15. მეფე, პაპი და იმპერატორი 81
16. „გადაეღობა ვინმე კვერთხოსანი“ 84
17. „მცირე რამ შველა იქნება“ 91
18. გზის ბოლო 94
19. ეპილოგი 97
20. ბოლოთქმა 101
21. განმარტებები 104

შეკ. №348

სააქციო საზოგადოება „ფარნავაზი“ გრ. რობაქიძის გამზირი №7

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნი ეძღვნება გრიგოლ მაჭავარიანის ნათელ ხსოვნას



1962 – 1996

გრიგოლ მაჭავარიანი იყო ერთადერთი ქართველი, რომელიც ფლობდა ისლანდიურ ენას, როგორც მშობლიურს. ისლანდიური ენა მან დამოუკიდებლად შეისწავლა. მისი ცოდნით აღფრთოვანებულმა ისლანდიელებმა გრიგოლ მაჭავარიანი 1992 წ. ნოემბერში ისლანდიაში მიიწვიეს (ექვსი თვით), სადაც მან თარგმნა ქართულიდან „შუშანიკის წამება“ და ისლანდიურიდან - წინამდებარე წიგნი და რამოდენიმე ისლანდიური საგა.

1994-95 წ.წ. გრიგოლ მაჭავარიანი რეიკიავიკის, ბერლინის და სორბონის უნივერსიტეტების სკანდინავიური ფაკულტეტების საპატიო წევრად იქნა არჩეული.

1996 წ. თებერვალში მან ჩაუყარა საფუძველი საქართველოში საზოგადოება „სკანდინავიური სახლი“-ს დაარსებას, რომელიც ამჟამად მისი სახელობისაა.

და ალბათ კიდევ ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებდა ეს სიცოცხლის მოყვარული ახალგაზრდა კაცი, რომ არა ის საბედისწერო შემთხვევა...